გერონტი ქიქოძე

თანამედროვის ჩანაწერები

არეტე
2003

გერონტი ქიქოძე
თანამედროვის ჩანაწერები

Geronti Kikodze
Notes of a Contemporary Man

პირველი გამოცემა. 2003

© მანანა ქიქოძე, 2003
© "არეტე", 2003

© Manana Kikodze, 2003
© "Arete" 2003

ISBN - 99940-745-6-3

I

თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე, მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებიდან 1921 წლის თებერვლამდე, ქართველი დემოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილი თავის ბელადად ნოე ჟორდანიას თვლიდა. ეს იყო ტემპერამენტიანი პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც ოდნავ შესამჩნევი ენაბრგვილობა ხელს არ უშლიდა პოპულარული სახალხო ტრიბუნი გამხდარიყო. მაგრამ რადგან იმ დროს ლეგალური სახალხო ტრიბუნა არ არსებობდა, თავისი პოლიტიკური ნიჭი მან თავდაპირველად პრესაში და ფარულ პარტიულ კრებებზე, ხოლო ბოლო წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტში და მთავრობაში გამოამჟღავნა.

თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, სადაც დამოუკიდებელი ხასიათის მოწაფეები მატერიალისტები და ათეისტები ხდებოდნენ, ნოე ჟორდანიამ მასავით ღარიბი მეგობრების დახმარებით რამდენიმე წელიწადი დასავლეთ ევროპაში გაატარა. იქ მან მეტი დრო მოანდომა საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების დაკვირვებას, პარლამენტის, პრესის, სკოლის გაცნობას, ვიდრე მარქსის "კაპიტალის" და ენგელსის "ანტი-დიური-

ნგის" კითხვას. ნოე ჟორდანია აღტაცებული იყო შვეიცარიის, საფრანგეთის, ინგლისის დემოკრატიული წესწყობილებით, ის გაიტაცა ოცნებამ, რომ მისი სამშობლოც პარლამენტური დემოკრატიზაციის გზით თანდათან უმტკივნეულოდ გადავიდოდა სოციალიზმის სამეფოში. ჯერ კიდევ ევროპაში ყოფნის დროს ნოე ჟორდანიამ თავდაპირველად ალექსანდრე ჭყონიას "მოამბეში", ხოლო შემდეგ გიორგი ნერეთლის "კვალში" რამდენიმე წერილი მოათავსა. ეს წერილები მისმა თანამოაზრეებმა მესამე დასელებმა აღტაცებით მიიღეს. მათ იმედი მიეცათ, რომ მათი ავტორი საუკეთესო გამოსავალს იპოვნიდა იმ ჩიხიდან, სადაც ქართული საზოგადოებრივი აზროვნება მოექცა სამოციანელ თერგდალეულთა და ოთხმოციანელ ხალხოსანთა იდეების ამოწურვის შემდეგ.

ნოე ჟორდანია უკვე ოცდაათი წლის ვაჟკაცი იყო, როდესაც უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნდა. მან თავისი პატარა ხელჩანთით იქიდან ნაკლები დოგმები ჩამოიტანა, ვიდრე აქედან წაიყო. ჩქარა ის სათავეში ჩაუდგა ყოველკვირეულ ჟურნალ "კვალს", სადაც 1898 წლის იანვრის ნომრებში სახელმძღვანელო წერილები მოათავსა კაცობრიობის ეკონომიური ცხოვრების განვითარებაზე, მის გადასვლაზე მამულის პრინციპის ბატონობიდან კაპიტალის ბატონობაზე, კაპიტალის ბატონობიდან შრომის დემოკრატიაზე.

როგორც ნოე ჟორდანიას მიმდევრებს, ისე მის მოწინააღმდეგეთა წრეებში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მისმა წერილებმა ინტელიგენციაზე. ამ წერილებში ის ამტკიცებდა, რომ ინტელიგენციას თავისი თავი რაღაც ბუმბერაზად ნა-

რმოუდგენია, ნამდვილად კი ის ნაცარქექიაა, რომ ხალხი და ინტელიგენცია ერთმანეთს დაშორებული არიან და თავთავიანთი გზით მიემგზავრებიანო. ინტელიგენცია თავისდაუნებურად რეაქციულ როლს თამაშობს, ის იძულებულია ფულიან ხალხს დაემორჩილოს და ემსახუროს; მშრომელ ხალხს კი შეუძლია უინტელიგენციოდ იცხოვროს და თავისი გზა გაიკვლიოს, მას ამისთვის ინტელიგენციის იდეები არ სჭირდება იმიტომ, რომ იდეას არაფრის დარღვევა არ შეუძლია, გარდა იდეისა, ხოლო ადამიანის მდგომარეობას თვით ადამიანი სცვლის, ნივთიერების დარღვევა თვით ნივთიერების საქმეაო.

ამ ცოტა არ იყოს დემაგოგიური აქცენტის ტლანქ მატერიალიზმთან ერთად ნოე ჟორდანია ზნეობრივი ოპტიმიზმის მქადაგებლად გამოდიოდა. ის ამტკიცებდა, რომ თანამედროვე ქართველობა შეუდგა ევროპული ცივილიზაციის შეთვისებას, მის დანერგვას საკუთარი კულტურის ნიადაგზე. ეს კი ნიშნავს შრომის, შეგნების და აღორძინების ეპოქის დაწყებასო. ამ თვალსაზრისით ის ბრძოლას უცხადებდა ყველა დრომოჭმულ და უკანდამხევ ძალებს, უწინარეს ყოვლისა, ფეოდალიზმის ნაშთებს და მათ დამცველებს, რომელთა შორის ცენტრალურ ფიგურად ილია ჭავჭავაძეს თვლიდა.

ნოე ჟორდანიას პოლემიკური სტატიების სერია "ჩვენი პრესა" უმთავრესად ილია ჭავჭავაძის და გაზეთ "ივერიის" წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ პოლემიკაში მესამე დასის მეთაურმა ნაკლები სამართლიანობის და ზომიერების გრძნობა გამოიჩინა, ვიდრე მას ჩვეულებრივ ახასიათებდა. ილია ჭავჭავაძემ შექმნა კამარილია, რომლის წყალობით

ბურუსი გადაეფარა ჩვენს ეროვნულ შეგნებას და შეუძლებელი გახდა ყოველი დამოუკიდებელი და ნათელი აზროვნება. მან ფეოდალიზმის დროშა ააფრიალაო, - ამტკიცებდა ჟორდანია.

როდესაც 1907 წლის ზაფხულის მიწურულში ილია ჭავჭავაძე მოკლეს, ნოე ჟორდანიამ მის ხსოვნას შედარებით უფრო მიუდგომელი ნეკროლოგი მიუძღვნა, მან განაცხადა, მესამე დასელები, როგორც მარქსისტებს შეეფერება, ნიჰილისტურად არ უცქერიან წარსულს. ისინი ყოველ ისტორიულ ეპოქაში ხედავენ საფეხურს, რომელიც პროგრესული იყო თავის დროზეო. სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც ცვივაო. საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ სიკვდილით დასაჯა დიდებული ქიმიკოსი ლავუაზიე, მაგრამ ამის გამო რევოლუცია არავის დაუგმია, გარდა რეაქციონერებისაო.

ლონდონის ყრილობაზე, სადაც რუსეთის სოციალდემოკრატია ორად გაითიშა, ნოე ჟორდანია პარტიის მემარჯვენე ფრთას, ეგრეთწოდებულ მენშევიკებს მიემხრო. ლონდონიდან საქართველოში უკან დაბრუნებულ ნოე ჟორდანიას ბათუმიდან თბილისამდე მოგზაურობა ფარულად მოუხდა, მაგრამ ეს მოგზაურობა ტრიუმფალური იყო. თითქმის მთელი სოციალ-დემოკრატიული მასა მას მიემხრო. ამ გარემოებამ ცხადჰყო, რომ ქართველი ერის დემოკრატიული ფენები პოლიტიკური ინსტინქტის ზეგავლენით რეფორმების იდეას და პარლამენტარიზმს აძლევდა უპირატესობას რევოლუციური დიქტატურის ტერორის წინააღმდეგ. მაგრამ ნოე ჟორდანიას დაუპირისპირდა იოსებ ჯუღაშვილი, რომელიც მასავით პოპულარული არ იყო საქართველოს ფართო საზოგადოებრივ წრეე-

ბში, სამაგიეროდ მას სჭარბობდა, როგორც კონ-
სპირატორი. იგი გარშემორტყმული იყო მუშების
და ინტელიგენტების მცირერიცხვოვანი, მტკიცედ
შემჭიდროებული რაზმით, რომელიც სიტყვის შე-
უბრუნებლად ასრულებდა მომავალი დიქტატორის
ნებისყოფას.

ნოე ჟორდანიას მეორე იდეური მოწინააღმდე-
გე, აგრეთვე ძლიერ პოპულარული, პატრიოტულ-
ად მოაზროვნე ქართულ ინტელიგენციაში იყო არ-
ჩილ ჯორჯაძე. ეს იყო სიცოცხლის აზრის მაძიე-
ბელი ადამიანი, ფილოსოფიური ინტერესის მქონე
პუბლიცისტი. მან საკმაოდ რთული გზა განვლო,
სანამ ქართველი სოციალ-ფედერალისტების იდეო-
ლოგი გახდებოდა. უფრო დიდხანს, მგონია, ნაწი-
ლობრივ ლევ ტოლსტოის გავლენის ქვეშ იმყოფე-
ბოდა და რაღაც თავისებურ მშვიდობიან ანარქ-
იზმს აღიარებდა. 1901 წელს ის ევროპიდან თბი-
ლისში ჩამოვიდა და "ცნობის ფურცელში" დაიწყო
თანამშრომლობა. 1903 წელს ხელახლა პარიზში
დაბრუნდა, რათა ანდრო დეკანოზიშვილთან ერთ-
ად იქ დაეარსებინა გაზეთი "საქართველო", სადაც
საქართველოს ისტორიულ უფლებებს იცავდა. ეს
უფრო აზროვნების კაცი იყო, ვიდრე მოქმედები-
სა. მას აინტერესებდა ბუდიზმი, კანტის ფილოსო-
ფია, სქესობრივი სიყვარულის მეტაფიზიკა, ხელო-
ვნება. ის ოცნებობდა, რომ კაცობრიობას მშვიდო-
ბიანი ევოლუციის გზით სისხლის დაუღვრელად
დაეძლია ეროვნული და კლასობრივი შუღლი და
უზენაესი ჰარმონიისთვის მიეღწია.

იმ კამათში, რომელსაც არჩილ ჯორჯაძე ნოე
ჟორდანიას და მისი მიმდევრების წინააღმდეგ აწ-
არმოებდა გაზეთის ფურცლებზე, ზოგიერთ პრობ-

ლემას უფრო თეორიული ხასიათი ჰქონდა, ზოგს კი პრაქტიკული. ნოე ჟორდანია ამტკიცებდა, თანამედროვე ეროვნება კაპიტალისტური წესწყობილების ნაყოფია, ის ფეოდალური ეკონომიური ურთიერთობის პირობებში ვერ განვითარდებაო. ქართველი ერი ახალგაზრდა ერია, მისი ნაციონალური შეგნება მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვაო. იმ დროს, როდესაც რუსეთის შესვლა პოლონეთში იმას ნიშნავდა, რომ უფრო დაბალი კულტურა უფრო მაღალს იმორჩილებდა, საქართველოში, პირიქით, რუსეთმა უფრო მაღალი პოლიტიკურ-ეკონომიური წესწყობილება შემოიტანაო. ამას ქართველი ხალხი გრძნობს და ამიტომ წინააღმდეგია ყოველი ანტირუსული პოლიტიკისა, და კერძოდ, ტერიტორიული ავტონომიის იდეა მიუღებლად მიაჩნიაო.

არჩილ ჯორჯაძე ივანე ჯავახიშვილისა და სხვა ისტორიკოსების დამოწმებით ამტკიცებდა, ქართველ ხალხს, განსაკუთრებით მის იდეურ და პოლიტიკურ ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ ძლიერი ფეოდალური მონარქიის შექმნამდე ჰქონდათ გამახვილებული ნაციონალური შეგნებაო. რუსეთის პოლიტიკური რეჟიმის დამყარებას მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართველი არისტოკრატია უფრო ადვილად შეურიგდა, ვიდრე ქართველი გლეხკაცობა, რომელმაც რამდენიმე მძლავრი აჯანყებით უპასუხა ეროვნული სახელმწიფოს გაუქმებასო. რაც შეეხება ტერიტორიული ერთეულების შექმნას და მათ ფედერაციულად შეკავშირებას, ეს არ ნიშნავს ინტერნაციონალიზმის იდეალის ღალატს, პირიქით, ხელს შეუწყობს ერთა სოლიდარობის განმტკიცებასო.

როდესაც 1910 წლის გაზაფხულზე არჩილ ჯორ-ჯაძის ოთახში შევედი ახლანდელი ილია ჭავჭავა-ძის ქუჩის კუთხეში, წინ შემომეგება დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის მამაკაცი, რომელსაც ცალი ხელი მოჭრილი ჰქონდა და პროტეზს ხელთათმა-ნი უფარავდა. ის ძალიან გამხდარი იყო, ტუბერ-კულოზის უკანასკნელ სტადიაში იმყოფებოდა და თითქოს სულიერ ძალებს იკრეფდა, რათა თავისი სიტყვა ეთქვა, არა მარტო თავის სამშობლოს ბე-დზე, არამედ სიცოცხლისა და სიკვდილის ამოცა-ნებზეც. როგორც ეტყობოდა, მას ძალიან მგრძნო-ბიარე გული ჰქონდა. მისი მოსაუბრე ძალიან და-ძაბული უნდა ყოფილიყო.

არჩილ ჯორჯაძესთან საუბრის დროს მის ოთ-ახში შემოვიდა მოხდენილად ჩაცმული, მიმზიდვე-ლი გარეგნობის შუახნის მამაკაცი: ის აღმოჩნდა გიორგი ლასხიშვილი. რუსეთის რევოლუციურ მო-ძრაობაში მონაწილეობისათვის გიორგი ლასხიშვი-ლი მეფის მთავრობას სტუდენტობის დროს დაეს-საჯა და რამდენიმე წლით ციმბირში გაეგზავნა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაიწყო თანამშრომლობა. ლა-სხიშვილი სოციალ-ფედერალისტური პარტიის და-არსების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო და ყოველთვის ამ პარტიის ცენტრალურ ფიგურას წა-რმოადგენდა. მაგრამ თავად ის ძალიან თავმდაბ-ლად აფასებდა თავის ლიტერატურულ და პოლი-ტიკურ მოღვაწეობას. შეიძლება ითქვას, რომ გი-ორგი ლასხიშვილი თავისი გულთბილობით, გონე-ბამახვილობით და ტაქტით იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც უფრო საზოგადოების სა-მკაულს წარმოადგენენ, ვიდრე მწერლობის და პო-

ლიტიკური ტრიბუნისა. და მას საზოგადოებაში მეტი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული, ვიდრე ბევრ მასზე უფრო გამოჩენილ მწერალს და პოლიტიკურ მოღვაწეს.

მესამე ცნობილი ფედერალისტი სამსონ ფირცხალავა, რომელიც ოცი წლის განმავლობაში "კალამის" და "სიტყვის" ფსევდონიმით სისტემატურად ბეჭდავდა ფელეტონებს "ცნობის ფურცელსა" და "სახალხო გაზეთში", მონამის როლს შეასრულებდა, თუ რელიგიური დევნის ეპოქაში დაბადებულიყო. რადგან ჩაგრული ერის შვილად დაიბადა, მის შეგნებაში ყოველი რელიგიური და მეტაფიზიკური იდეა სამშობლოს სიყვარულს დაეჩრდილა. ევროპაში ფირცხალავა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ წავიდა მთავრობის ნებართვით. პარიზში მას რამდენიმე წერილი და ბროშურა გამოექვეყნებინა საქართველოს ისტორიის პრობლემებზე. ამას გარდა, თურმე ქართული ენის გაკვეთილებს აძლევდა ემიგრანტების ბავშვებს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამსონ ფირცხალავა თბილისში დაბრუნდა საბჭოთა მთავრობის ნებართვით. მე მას რამდენჯერმე შევხვდი. მითხრა, უცხოეთში სამშობლოს ნატვრა მკლავდა, მინდა ჩემი ძვლები საქართველოს მიწაში დავასვენოო. თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ კვირაში ერთხელ შეეძლო მთაწმინდაზე ასულიყო და იქიდან თბილისისათვის გადმოეხედა. თითქმის ოთხმოცდ წელს იყო მიღწეული, მაგრამ ბოლო დრომდე შეინარჩუნა გონებრივი ინტერესი, ახალგაზრდული თვალების ელვარება და რწმენა, რომ საქართველოს ბრწყინვალე მომავალი ელოდა. სამსონ ფირცხალავა იმდროინდელი უშიშროების მინისტრის გენერა-

ლი რუხაძის განკარგულებით დაატუსაღეს, სსვა უკან დაბრუნებულ ემიგრანტებთან ერთად. მისთ-ვის დაებრალებინათ ტრუმენის მიერ შემოგზავნილი ჯაშუში და დივერსანტი იყავიო. ამის შემდეგ, სამსონ ფირცხალავა მხოლოდ სიზმარში ვნახე: სახე გაბრწყინებული ჰქონდა, ღიმილით მითხრა, უკვე გამათავისუფლესო. არ ვიცი სად გარდაიცვალა, სატუსაღოს საავადმყოფოში თუ ეტაპში.

კიტა აბაშიძე კარგი ორატორი იყო და ძალიან კარგად იცნობდა ფრანგულ, რუსულ და ქართულ ლიტერატურას. მისი კრიტიკული წერილები, რომელნიც შერჩევით ორ ტომად გამოსცა, დაწერილი იყო დიდი მოკრძალებით მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზიის და პროზის ოსტატებისადმი; პარტიულმა მიკერძოებამ და ევოლუციონიზმის თეორიამ, რომელიც კიტა აბაშიძემ დროგმად აღიარა ფრანგი კრიტიკოსის ფერდინანდ ბრიუნეტიერის ზეგავლენით, მას ხელი შეუშალა მართებულად შეეფასებინა ახალი ქართული ლიტერატურის ცალკეული მოვლენები. მან მართებულად არ დააფასა გიორგი წერეთელი, რომელიც მდარეხარისხოვანი ნატურალიზმის წარმომადგენლად გამოაცხადა, ხოლო ეგნატე ნინოშვილი მხატვრული ლიტერატურის გარეშე დააყენა.

კიტა აბაშიძე დიდი გულისხმიერებით ეგებებოდა ყოველ ახალ მოვლენას ქართულ მწერლობაში: სხვათა შორის, აღტაცებით მიესალმა სანდრო შანშიაშვილს და იოსებ გრიშაშვილს, შემდეგ გულისხმიერად შეხვდა ცისფერყანწელების გამოსვლას. მაგრამ რამდენიმე ახალგაზრდა პროზაიკოსი, რომელნიც მან ქართველ მოპასანებად გამოაცხადა, დღეს საბოლოოდ დავიწყებულია.

გიგო რცხილაძე ფილოსოფიურად განათლებული იურისტი იყო. მისი კრიტიკული წერილები, რომელთაც იშვიათად აქვეყნებდა "ზანგის" ფსევდონომით, კარგ გემოვნებას მოწმობდნენ. მისი თაოსნობით დაარსდა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება, რომელმაც ალმანახ "გრდემლის" ორ ტომს გარდა რამდენიმე კარგი წიგნი გამოსცა.

ილია აგლაძესთან მე განსაკუთრებული მეგობრული გრძნობა მაკავშირებდა. თავისი ახოვანი ტანით, შრომისმოყვარეობით, კეთილსინდისიერებით და პირდაპირობით ის ქართველი მოდგმის საუკეთესო წარმომადგენლად ჩაითვლებოდა. ილია აგლაძე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაცი იყო, როდესაც ოთხმოცდაათიან წლებში თანამშრომლობა დაიწყო ილია ჭავჭავაძის "ივერიაში". მშვენივრად ფლობდა ქართულ ენას და ძალიან კარგად გადმოთარგმნა რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები, სხვათა შორის, კნუტ ჰამსუნის "ვიქტორია". როგორც პერიოდული გამოცემების და წიგნების სტილისტმა, მან დაუფასებელი როლი შეასრულა თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, როდესაც ქართული ენა სტიქიონის ანაბარა იყო მიტოვებული და მისი ნორმები დადგენილი არ იყო, მის ლექსიკას დანაგვიანება ემუქრებოდა, ხოლო მის გრამატიკულ წყობას - შერყვნა. ილია აგლაძეს ძალიან უყვარდა ინტიმური მეგობრული სუფრა: ეს იყო ერთადერთი სანაზღაურო, რომელსაც თავისი დამქანცველი და უმადური შრომის პაუზებში პოულობდა.

საქართველოს აგრეთვე მრავალრიცხოვანი და ბრწყინვალე უპარტიო ინტელიგენცია ჰყავდა.

II

პირველი მსოფლიო ომის დროს ნოე ჟორდანია ანტანტის ორიენტაციას მიემხრო და რუსეთის მთლიანობის დამცველად გამოვიდა. მაგრამ ერთ რუსულ ყოველთვიურ ჟურნალში მან დაბეჭდა სტატია, სადაც განაცხადა, ოსმალეთის სომხეთს ტერიტორიული ავტონომია უნდა მიეცესო. არც ერთ ვილაიეტში იმ დროს სომხობა მოსახლეობის ნახევარს არ შეადგენდა, ზოგან ათ-თხუთმეტ პროცენტსაც არ სცილდებოდა.ამიტომ ასეთი მოთხოვნა ულოგიკო ჩანდა ამ პოლიტიკური მოღვაწის პირიდან, რომელიც ამტკიცებდა, საქართველოს არ შეიძლება ტერიტორიული ავტონომია მიეცეს, ვინაიდან მის აღმოსავლეთ ნაწილსა და მის დედაქალაქში ქართველების გვერდით სხვა ერების წარმომადგენლებიც მრავლად ცხოვრობენო. და თვითონ ქართველი ხალხი ავტონომიას არ მიიღებს, თუნდაც ხონჩით მიართვანო.

ნოე ჟორდანიას მობრუნება ნაციონალური პოზიციებისკენ თანდათან მოხდა: მის რყევას ოქტომბრის რევოლუციამ მოუღო ბოლო. ძნელი წარმოსადგენია, რომ მას ცენტრალიზმის იდეისთვის ეღალატნა, თუ რუსეთში კერენსკის და წერეთლის მთავრობა არ დამხობილიყო. ოქტომბრის რევოლუცია მან ხანგრძლივი ანარქიის დასაწყისად მიიღო. მან წარმოიდგინა, რომ საბჭოთა ხელისუფლება და წითელი არმია ბოლოს ვერ მოუღებდნენ კონტრრევოლუციური ჯარების, შიმშილის და მკბენარების შეტევას და რუსეთი დიდხანს თავს ვერ დააღწევდა არეულობას. ამიტომ ნოე ჟორდანია ძალაუნებურად ჯერ ამიერკავკასიის გამოყო-

ფის იდეას მიემხრო, ხოლო შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობას.

1917 წლის ნოემბერში თბილისის საოპერო თეატრში მოწვეულ იქნა დიდი ეროვნული ყრილობა, სადაც თავი მოიყარეს ქართული პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების (წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქველმოქმედო საზოგადოების, დრამატული საზოგადოების) წარმომადგენლებმა. აქ ნოე ჟორდანიამ, როგორც ყველაზე გავლენიანი პარტიის მეთაურმა, წაიკითხა დეკლარაცია, სადაც განაცხადა, მრავალი საუკუნის წინათ დაფლეთილი ქართველი ერის სხეული გამრთელდა და დაიწერა დიდი ეტრატი თავისუფლებისაო. მაგრამ აღფრთოვანებულ ტაშისცემაში, რომელმაც ეს დეკლარაცია დაფარა, დისონანსივით შეიჭრა ნოე ჟორდანიას სკოლისდროინდელი ამხანაგის, ქართველ კომუნისტთა უხუცესის ფილიპე მახარაძის სიტყვები: მე თქვენ პირადად ყველას დიდ პატივს გცემთ, მაგრამ იძულებული ვარ ვაღიარო, რომ აქ მკვდარი ან მომაკვდავი ორგანიზაციების რწმუნებულებს მოგიყრიათ თავი, აქ არ გაისმის რევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალების, პროლეტარიატის, გლეხკაცობის და არმიის მძლავრი ხმაო.

საქართველო დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა. მან დაახლოებით ორწელიწადნახევარი იარსება. მისი მთავარი ხუროთმოძღვარი ნოე ჟორდანია იყო. როგორც დროებითს პარლამენტში, ისე დამფუძნებელ კრებაში მის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ის თავისუფალი იყო ყოველი ერთპიროვნული დიქტატორული მისწრა-

ფებისაგან და ყურს უგდებდა, როგორც თავისი უახლოესი ამხანაგების, ისე სხვა პარტიების შეგონებასაც, თუ ეს მართებულად და სასარგებლოდ მიაჩნდა სახელმწიფოს ინტერესებისათვის. დამფუძნებელ კრებაში ასოცი დეპუტატიდან თითქმის ოთხმოცდაათი სოციალდემოკრატი იყო. როგორც ნოე ჟორდანიას დოქტრინას შეეფერებოდა, სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში ინტელიგენცია ძლიერ სუსტად იყო წარმოდგენილი, მის დიდ უმრავლესობას გლეხები და მუშები შეადგენდნენ. დანარჩენი ადგილები განაწილებული იყო სოციალ-ფედერალისტებს, ნაციონალ-დემოკრატებსა და სოციალისტ-რევოლუციონერებს შორის; სამი თუ ოთხი წარმომადგენელი სომხების ნაციონალისტურ პარტიას დაშნაკციუტუნსაც ჰყავდა. მე არჩეული ვიყავი ნაციონალ-დემოკრატიის სიით, მაგრამ ჩქარა გამოვედი პარტიიდან. ასე რომ ერთადერთი უპარტიო დეპუტატი მე ვიყავი. რადგან ნოე ჟორდანიას დამფუძნებელ კრებაში აბსოლუტური უმრავლესობა ჰყავდა, მან წმინდა პარტიული სამინისტრო შეადგინა. ამ მთავრობის საიმედო საყრდენს სახალხო გვარდია წარმოადგენდა.

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი იყო. ეს გამხდარი ფერმკრთალი მამაკაცი არავის უნახავს გაცინებული. მისი ენერგიული ხელის მოძრაობა, ლაკონური, მბრძანებლური სტილი და პირქუში სახის გამომეტყველება მოწმობდნენ, რომ ის დიქტატორად იყო გაჩენილი. მან თბილისი გაწმინდა სომხის ბურჟუაზიის უკანასკნელი ნაშთებისაგან, მკაცრად ჩააქრობინა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აჯანყება

და სიკვდილით დასჯა დააკანონებინა დამფუძნებელ კრებას; უეჭველია, რამიშვილი სასტიკად გაუსწორდებოდა ქართველ ბოლშევიკებსაც, თუ ორდანიას არ შეეკავებინა და თუ საერთოდ საქართველოს მთავრობა იძულებული არ გამხდარიყო ხელშეკრულება დაედო მოსკოვის მთავრობასთან და ანგარიში გაეწია მისი მოთხოვნებისათვის.

კუპრივით შავ წვერულვაშიანი ნოე ხომერიკი ავტოდიდაქტი იყო. როგორც ეტყობოდა, თავისი ხანგრძლივი არალეგალური მუშაობის დროს ის კარგად გასცნობოდა ქართულ სოფელს და წოდებრივ ურთიერთობას, და როდესაც მიწათმოქმედების მინისტრად დაინიშნა, საკმაოდ კეთილგონიერად ჩაატარა აგრარული რეფორმა. მაგრამ ერთი სანდომიანი ქალით გატაცებამ მას დაავიწყა აგრარული რეფორმაც და საკუთარი ოჯახის ინტერესებიც. ეს კი დიდ დანაშაულად ჩაუთვალეს რიგორისტული მორალით გამსჭვალულ პარტიულ წრეებში.

საგარეო საქმეთა უწყების მესვეურებს წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ დიპლომატის მთავარ სათნოებას ზრდილობიანი საუბარი და კარგად გახამებული საყელო შეადგენდა. საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი ჭკვიანი და დარბაისელი კაცი იყო, მაგრამ მისი სამინისტრო სავსე იყო ფრანგულად და ინგლისურად მოლაპარაკე მოხელეებით, რომელთაც დაუსრულებელი ბანკეტები დროს არ უტოვებდა თუნდ "ტანი" და "ტაიმსი" ეკითხათ. ამიტომ საქართველოს დიპლომატებს, სხვათა შორის, არ გაუგიათ, რომ დიდი ბრიტანეთის კოალიციური სამინისტროს მეთაური ლოიდ-ჯორჯი ლენინის მთავრობას შეუთანხმდა,

რომ მისი მთავრობა არ ჩაერეოდა რუსეთის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ურთიერთობაში.

ყველაზე ცუდად სამხედრო უწყება იყო მოწყობილი. ბოლო დროს მას მეთაურობდა ქალურ სნეულებათა ექიმი პარმენ ჭიჭინაძე, რომელსაც არც თავის სპეციალობაში, არც პარტიულ მუშაობაში არაფრით თავი არ გამოუჩენია. რესპუბლიკის სამხედრო ძალა ორი სრულიად ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი ნაწილისგან შედგებოდა: ერთი იყო რეგულარული ჯარი, მეორე - სახალხო გვარდია. ამ უკანასკნელში მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პარტიის სანდო წევრები შედიოდნენ. გვარდია აღჭურვილი იყო ყოველგვარი პრივილეგიებით და საკუთარ შტაბს ემორჩილებოდა, სადაც ძველი პარტიული მოღვაწეები ისხდნენ, უმთავრესად სტამბების და რკინიგზის სახელოსნოების მუშები. სახალხო გვარდიას მეთაურობდა ყოფილი ბოლშევიკი ვ. ჯუღელი, მხნე, მაგრამ გაორებული სულის ადამიანი, რომელიც თავის ვალდებულების შესრულებას მძიმე ტვირთად თვლიდა, რაიცა ადვილი გასაგები იყო, ვინაიდან მას თავისივე ყოფილი ამხანაგების წინააღმდეგ უხდებოდა რეპრესიების მიღება. ის უზარმაზარი ხისბუდიანი ნაგანის რევოლვერით გამოდიოდა დამფუძნებელი კრების ტრიბუნაზე, სადაც აღიარებდა, როგორ უმძიმდა აჯანყებული აფხაზეთის ან დუშეთელი გლეხების დასჯა; ამავე დროს ჯუღელმა რუსულ ენაზე გამოაქვეყნა თავისი დღიური "მძიმე ჯვარი", სადაც განაცხადა, როდესაც აჯანყებულთა სოფლებს ცეცხლს ვუკიდებდით, ჩემთვის გასაგები ხდებოდა იმპერატორ ნერონის ფსიქოლოგიაო.

მთელი რესპუბლიკა 1919-1920 წლებში ხანძრის

კვამლში იყო გახვეული: ქართველი ბოლშევიკები ხან ერთ პროვინციაში ახდენდნენ ამბოხებას, ხან მეორეში. მათი გამოსვლები განსაკუთრებით ძლიერი იყო აფხაზეთსა, სამხრეთ-ოსეთსა, დუშეთის მაზრასა, ლეჩხუმსა და ნაწილობრივ სამეგრელოში. კახეთმა, ქართლმა, იმერეთმა, რაჭამ, გურიამ საერთოდ უფრო მეტი ერთგულება გამოიჩინა ნოე ჟორდანიას მთავრობისადმი, მაგრამ ბოლშევიკების ძლიერი ჯგუფები ყველგან არსებობდა. ბოლშევიკების ზოგიერთი გამოსვლა გასაოცრად თამამი იყო. ალექსანდრე გეგეჭკორმა სამასიოდე შეიარაღებული კაცით გადალახა ზუგდიდის მაზრა, ლეჩხუმი, რაჭა, მამისონის უღელტეხილი და თერგის ოლქში გადავიდა, რათა იქაური ამხანაგებისათვის დახმარება გაეწია თეთრგვარდიელების წინააღმდეგ. თბილისში შუადღისას რამდენიმე ახალგაზრდა ბოლშევიკმა იუნკრების სასწავლებელი დაიკავა, ეს სასწავლებელი კი მთავრობის სანდო დასაყრდენად ითვლებოდა. სახალხო სახლში გამართულ მიტინგზე ანასტას მიქოიანმა ხალხს მოუწოდა დემოკრატიული მთავრობა დაემხო და საბჭოთა წყობილება დაემყარებინა. მეტეხის ციხიდან ბოლშევიკების მეთაურები გაიქცნენ. მათ შორის იყო ფილიპე მახარაძე. ამბობდნენ, თვით ნოე ჟორდანიამ შეუწყო ხელი თავისი ყოფილი ამხანაგის გაქცევასო. პურის და სურსათის ნაკლებობა, წარმოების და აღებმიცემობის მოშლა, უმუშევრობა, ნიადაგს ქმნიდა უკმაყოფილების გაძლიერებისათვის და გვარდიელებს უჭირდათ მშიერი მასების დაშოშმინება.

რეგულარული ჯარი კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა პარადებზე და არც ბრძოლის ველზე აღ-

მოჩნდა სუსტი. ცხენოსანი მხედარი ქართველი სოციალ-დემოკრატების წარმოდგენაში ფეოდალიზმის ეპოქასთან იყო დაკავშირებული, მათ ეგონათ, რომ კავალერია დემოკრატიულ რესპუბლიკაში ზედმეტიც იყო და სახიფათოც, როგორც უაღრესად არისტოკრატიული ნაწილი. დამფუძნებელი კრება ულუფას იძლეოდა ორმოცდაათი ათასი ჯარისკაცისათვის, მაგრამ წითელი არმიის წინააღმდეგ 1921 წელს მთავრობამ ამის ნახევარიც ვერ გამოიყვანა. როდესაც თბილისში წითელი არმია შემოვიდა, აღმოჩნდა, რომ საწყობები სავსე იყო ამუნიციით და სანოვაგით, ქართველ ჯარს კი ბრძოლის ველზე ბევრი რამ აკლდა.

ქართველი ოფიცრობა სახელგანთქმული იყო ძველი რეჟიმის დროს: მან რუსეთის არმიას რევოლუციამდე ბევრი გამოჩენილი სარდალი, ბევრი კარგი არტილერისტი და კავალერისტი მისცა. სამეფო არმიის დაშლის შემდეგ ქართველი ოფიცრობის დიდმა ნაწილმა სამშობლოში მოიყარა თავი. ის მეტისმეტად მრავალრიცხოვანი იყო პატარა ქართველი ჯარისათვის. ქართველ ოფიცრებს განათლება რუსულ სამხედრო სკოლებში ჰქონდათ მიღებული, სუსტად იყვნენ დაკავშირებული ქართული კულტურის ტრადიციებთან და ვერ ერკვეოდნენ თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაში. ზოგიერთი მათგანი კალაპოტიდან ამოვარდა, შეუდგა აღვირახსნილ დროსტარებას, სპეკულაციას, სახელმწიფო ქონების განიავებას. მაგრამ ქართველი ოფიცრობის დიდმა ნაწილმა მაინც გამოიჩინა პატრიოტული შეგნება და ბოლომდე პირნათლად და ვაუკაცურად შეასრულა თავისი სამხედრო და სამოქალაქო ვალდებულება.

საგარეო ბაზრის უქონლობის გამო სახელმწიფოს და კერძო პირთა მარნებში დიდძალი ღვინო დაგროვდა. მხედრობის და ინტელიგენციის ფართო წრეები თითქო შიშმა მოიცვა, ეს ღვინო არ დაძმარებულიყო. რადგან ყველას არ შეეძლო ოფიციალურ ბანკეტებს დასწრებოდა. დაიწყო გაუთავებელი ღრეობა ოჯახებსა, ყავახანებსა, სასადილოებში. ეს იყო ნამდვილი ლხინი ჟამიანობის დროს. დიდძალი ღვინო ისმებოდა ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს. დიდძალი ღვინო დაიღვარა იმის გამო, რომ ჯერ გერმანიამ, ხოლო შემდეგ ანტანტის სახელმწიფოებმა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა სცნეს. დიდი სიხარული გამოიწვია, აგრეთვე, საქართველოს რესპუბლიკის ცნობამ შვეციისა, ნორვეგიისა და შვეიცარიის მიერ. ეს აღტაცება ადვილი გასაგები იყო: ფრთხილი ნაბიჯით საქართველო პირველად თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების დიდ კონცერტში შედიოდა. ამრიგად, თითქო ბოლო ეღებოდა მის ტრაგიკულ განმარტოებას, რომელიც თითქმის ხუთასი წელიწადი გაგრძელდა. ნახევრად დამშეული ხალხის დიდი ნაწილი მზად იყო უდრტვინველად აეტანა ყოველივე გაჭირვება, ოღონდ კი ეროვნული სახელმწიფოს საძირკველი განმტკიცებულიყო.

გერმანიის სამხედრო-დიპლომატიური მისია, რომელსაც ორი ბატალიონი შემოჰყვა, მხოლოდ ხუთიოდე თვე დარჩა საქართველოში. 1918 წლის დეკემბერში გერმანელების უკანასკნელმა ეშელონებმა ფოთის ნავსადგური დატოვეს. გერმანელები არ ერეოდნენ საქართველოს რესპუბლიკის შინა-

ურ საქმეებში და ცდილობდნენ შეეზღუდათ თავიანთი მოკავშირე თურქეთის აგრესია; მაგრამ მათ ნოე ჟორდანიას მთავრობასთან დასდეს კაბალური ხელშეკრულება, რომლის ძალით ჭიათურის შავი ქვის წარმოება და ფოთის ნავსადგურის ექსპლოატაცია გერმანელ კაპიტალისტთა ხელში გადადიოდა და საქართველო ფაქტიურად გერმანიის კოლონია ხდებოდა. გერმანელების სურვილის წინააღმდეგ, თურქების ჯარმა მაინც დაიჭირა, არა მარტო ბათუმი, რომელიც მას საბჭოთა მთავრობამ დაუთმო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით, არამედ ახალციხე და ახალქალაქიც. თურქების ჯარმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორია მხოლოდ 1918 წლის ოქტომბერში დატოვა. მაგრამ ერთი წლის შემდეგ ბათუმი ინგლისის ჯარმა დაიკავა.

ნოე ჟორდანია ცდილობდა თავი ღირსეულად დაეჭირა, როგორც გერმანელების, ისე ინგლისელების მიმართ, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებდა ამას. თბილისში შემოსვლისთანავე ინგლისის მისიამ განიზრახა გაევრცელებინა პროკლამაცია, სადაც ნათქვამი იყო, ინგლისელები კავკასიაში წესრიგის დასაცავად შემოდიანო. ნოე ჟორდანიამ აკრძალა ამ პროკლამაციის გავრცელება. მან ინგლისის მისიის უფროსს გენერალ ტომსონს განუცხადა, საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად საქართველოს მთავრობას ინგლისის ჯარი არ სჭირდებაო. მაგრამ, როდესაც მე გაზეთ "საქართველოში" დავბეჭდე წერილი, სადაც ვამტკიცებდი, ინგლისი იძულებული სდება თანდათან თავისი პოზიციები დასთმოს წინა აზიაში-მეთქი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან გაფრთხილე-

ბა მივიღე, მომავალში თავი შემეკავებინა ასეთი წერილების გამოქვეყნებისაგან.

მოკლეკაბიან შოტლანდიელ მსროლელებს და ბრინჯაოსკანიან ინდოელებს ხელჯოხიანი ინგლისელი ოფიცრები მეთაურობდნენ. მათმა თავხედურმა ქცევამ რამდენიმე ინცინდენტი გამოიწვია: ბათუმში ერთმა ქართველმა ახალგაზრდამ ინგლისელი ჯარისკაცი მოკლა მათრახის მოქნევისათვის, სამაგიეროდ მეტი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა თბილისელი და ბათუმელი ფეხმსუბუქი ქალების ინტერნაციონალმა, რომელმაც ინგლისელი ოფიცრების წაბაძულობით მოდად შემოიღო წვრილი ჯოხით შეიარაღებული გამოსულიყო ქუჩებში სასეირნოდ.

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ თავის დიპლომატიურ წარმომადგენლად თბილისში გამოგზავნა საქართველოს ძველი მეგობარი "ვისრამიანისა" და "სიბრძნე-სიცრუისას" მთარგმნელი ოლივერ უორდროპი. ის უკვე ხანში იყო შესული და თავშალმოსხმული ჯდებოდა მისი მეგობრების მიერ ცივ დარბაზებში გამართულ ბანკეტებზე. პირველი კითხვა, რომელიც ოლივერ უორდროპს ნოე ჟორდანიასთვის დაესვა, შემდეგი იყო: შეძლებს თუ არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის დაცვას რუსეთის ჯარის შემოსევისგანო. საქართველოს პრეზიდენტს გულდამშვიდებით ეპასუხნა: ჩვენ სხვების დაუხმარებლად, ჩვენი საკუთარი სამხედრო ძალებით შეგვიძლია არა თუ თავი დავიცვათ, არამედ მთელი კავკასიის ტერიტორია დავიკავოთ როსტოვამდე, მაგრამ ეს საჭიროდ არ მიგვაჩნიაო. ეს პასუხი პირველი შეხედვით, თითქო სავსებით დონ-კიხოტური არ იყო.

ჩრდილოეთ კავკასიაში იმჟამად წითელ არმიასა და კონტრრევოლუციურ ჯარებს შორის გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა და სასწორი ხან ერთი მხრით იხრებოდა, ხან მეორეთი; ამიტომ მესამე ძალას, თუნდაც მცირერიცხოვანს, შეეძლო დროებით მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა. მაგრამ დიდი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა საჭირო არ უნდა ყოფილიყო იმის დასანახავად, რომ სამოქალაქო ომი რუსეთში დაუსრულებლად არ გაგრძელდებოდა და ბოლოს საქართველოს საზღვრებთან ან ძლევამოსილი წითელი დროშა აიმართებოდა, ან თეთრი.

ამავე დროს დიდი ბრიტანეთის კოალიციურ მთავრობაში ერთმანეთს ორი თვალსაზრისი ებრძოდა. კონსერვატორი ლორდი კერზონი რუსეთის დანაწილების მომხრე იყო და ფიქრობდა, რომ ინგლისსა და მის მოკავშირეს ამიერ-კავკასიის და ბალტიის ზღვის მონაპირე რესპუბლიკები რუსეთის აგრესიისაგან შეიარაღებული ძალებით უნდა დაეცვათ. პრემიერ-მინისტრი ლიბერალი ლოიდ ჯორჯი კი წინააღმდეგი იყო ძველი რუსეთის დანაწილებისა, მით უმეტეს ინგლისის ინტერვენციისა ახლად წარმოშობილი პატარა სანაპირო სახელმწიფოების დასაცავად. 1920 წლის მიწურულში ამ საკითხში ლოიდ ჯორჯის შეხედულებამ გაიმარჯვა. თუმცა დიდი ბრიტანეთის მთავრობამ საფრანგეთსა და იტალიასთან ერთად სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ დაახლოებით ერთი თვით ადრე იგი შეუთანხმდა მოსკოვის მთავრობას, რომ არ ჩაერეოდა რუსეთისა და ამიერკავკასიის ურთიერთობის საკითხში.

ლოიდ ჯორჯის თვალსაზრისის გამარჯვებას

ნაწილობრივ, საქართველოს და სომხეთის დიპლომატიური მისიების შეუთანხმებლობამაც შეუწყო ხელი. მაშინ ყარსი ჯერ კიდევ სომხეთის ტერიტორიაში შედიოდა. სომხების დელეგატები პარიზში მოითხოვდნენ, რომ მათ შავ ზღვაში გასავალი მისცემოდათ და ამ მიზნით რკინიგზის შტო გაეყვანათ ყარსიდან ბათუმამდე. ამ პროექტმა მკაცრი წინააღმდეგობა გამოიწვია საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის კარლო ჩხეიძის მხრივ. კერზონის თანაშემწეს ის ჯიუტად უარს ეუბნებოდა რაიმე დათმობაზე წასულიყო სომხების დელეგაციის მიმართ. შემდეგ, როდესაც ყარსი ისევ თურქებმა დაიჭირეს, ნათელი გახდა, რომ ქართველი და სომეხი დიპლომატები ფიქციებისთვის იბრძოდნენ ბიზანტიელი თეოლოგების მსგავსად, და მათსავით თავიანთი მტრის გამარჯვებას შეუწყვეს ხელი.

ინგლისის მთავრობამ დააკმაყოფილა საქართველოს მთავრობის თხოვნა და ჯერ კიდევ 1920 წელს ივლისში დაცალა ბათუმი და მისი მიდამოები. დიდი ბრიტანეთის ალამის მაგივრად ქალაქის მთავარ მოედანზე საქართველოს შინდისფერი ალამი აიმართა.

რასაკვირველია, ნოე ჟორდანიასთვის ბოლოს და ბოლოს მაინც ცხადი იყო, რომ საქართველოს დიდი ხნის მანძილზე არ შეეძლო ნეიტრალიტეტი დაეცვა კომუნისტურ და ბურბუაზიულ სამყაროს შორის. იგი, ალბათ, იმასაც ფიქრობდა, რომ მის ლოზუნგს, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, არამედ პირდაპირი გზით სოციალიზმისაკენ, წმინდა თეორიული პროპაგანდისტური მნიშვნელობა ჰქონოდა. ამიტომ მან გადაწყვიტა გარკვეულად გამოეთქვა,

რა ორიენტაციას ადგა მისი მთავრობა.

საქართველოს დამოუკიდებლობა ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა ორგზის სცნეს: პირველად, ფაქტიურად 1920 წლის იანვარში, ხოლო მეორედ - იურიდიულად, 1921 წლის 27 იანვარს, წმინდა ნინოს დღეს.

როგორც კი თბილისში პარიზიდან დეპეშა მოვიდა, რომ დიდი მოკავშირე სახელმწიფოების საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტი სცნო, მოწვეულ იქნა იმჟამად არდადეგებზე დათხოვნილი დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა. ეს სხდომა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა: გამოცხადდა მთელი მთავრობა, დიპლომატების ლოჟებში უცხო სახელმწიფოების, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, შეერთებული შტატების, პოლონეთის, საბერძნეთის, ლიტვის, სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლები ისხდნენ უორდროპის მეთაურობით; ქანდარა გაჭედილი იყო უცხო დამსწრეებით, გარედან დემონსტრაციის აღფრთოვანებული ყიჟინა ისმოდა.

ნოე ჟორდანიამ ჩვეულებისამებრ მოკლე სიტყვა წარმოთქვა. მან განაცხადა, ამიერიდან ქართველი ერი დიდი ევროპელი ერების ოჯახში შევიდა, არა რაიმე მოწყალების სათხოვნელად, არამედ, როგორც თანასწორი თანასწორთა შორისო. საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ ცნო მუშათა კლასის ინტერნაციონალმა ლუცერნში, ხოლო შემდეგ გამარჯვებული სახელმწიფოების საბჭომ პარიზშიო. საქართველოს ბედი დასავლეთს გადაეჯაჭვა და ამ კავშირის განყვეტა არავითარ ძალას არ შეუძლიაო. რა მიგვაქვს ჩვენ ევროპული ერების კულტურულ სალაროში? - იკითხა ნოე

ჟორდანიამ: - ორი ათასი წლის ეროვნული კულ-ტურა, დემოკრატიული წესწყობილება და ბუნებ-რივი სიმდიდრე. ჩვენ სამხედრო კავშირი შემოგ-ვთავაზა საბჭოთა რუსეთმა, მაგრამ უარი ვუთხა-რით: ჩვენი გზები ერთმანეთს დაშორდნენ, ისინი აღმოსავლეთისაკენ მიდიან, ჩვენ - დასავლეთისაკ-ენ. ჩვენ გვინდა რუს ბოლშევიკებს შევძახოთ: პი-რი იბრუნეთ დასავლეთისკენ, გახდით თანამედრო-ვე ევროპელი ერი. მე აქ გადაჭრით უნდა განვა-ცხადო, რომ აღმოსავლეთის ფანატიკოსებს დასა-ვლეთის იმპერიალისტები მირჩევნიაო.

თავისი სიტყვის დასასრულს ნოე ჟორდანიამ ცალ-ცალკე მიმართა ლოჟებში მსხდომარე დიპლო-მატებს, კერძოდ საფრანგეთის, ინგლისის, შეერ-თებული შტატების და იტალიის წარმომადგენლ-ებს და შეაფასა თვითოეული ამ ქვეყნის დამსახუ-რება კაცობრიობის წინაშე. მაგრამ რადგან საქა-რთველოს პრეზიდენტმა ყველა ლოგიკური დასკვ-ნა არ გააკეთა თავისი საზეიმო სიტყვიდან, რად-გან ინგლისი ემზადებოდა ბათუმი დაეცალა, ხო-ლო საფრანგეთი, იტალია და შეერთებული შტა-ტები უარს ამბობდნენ საქართველოში და სომხე-თში თავიანთი სამხედრო ძალები შემოეყვანათ, ცხადი იყო, რომ ამ დასავლეთისადმი მიმართული სიყვარულის დეკლარაციას პლატონური ხასიათი ჰქონდა და მას შეეძლო მხოლოდ მეშურნეობა და გაღიზიანება გამოეწვია კრემლში.

III

დამფუძნებელი კრება, რომელიც 1919 წლის 12 მარტს გაიხსნა სოციალ-დემოკრატიის უხუცესი წე-ვრის სილიბისტრო ჯიბლაძის შინაარსიანი სიტყ-

ვით, შემდეგ თანდათან საკმაოდ მოსაწყენ დაწესებულებად იქცა. ნოე ჟორდანიას მთავრობა ყველა მნიშვნელოვან საკითხს თავის სხდომებზე წყვეტდა. დამფუძნებელი კრება, უმრავლეს შემთხვევაში, მხოლოდ უკანა რიცხვით ადასტურებდა უკვე მიღებულ დეკრეტებს და გაწეულ ხარჯებს. დამფუძნებელ კრებაში მთავრობას არ ჰყავდა იდეურად და რიცხვობრივად ძლიერი ოპოზიცია; მხოლოდ ზოგიერთ სხდომაზე მემარჯვენე ნაციონალ-დემოკრატებს და მათს ლიდერს გრიგოლ ვეშაპელს ერთგვარი გამოცოცხლება შეჰქონდათ თავიანთი გესლიანი გამოსვლებით. მაგრამ ამ გამოსვლებს პრინციპული და მორალური საფუძველი აკლდა.

დიდი საპარლამენტო დღე დგებოდა, როცა ტრიბუნაზე სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერი ირაკლი წერეთელი ადიოდა. ის შეჩვეული იყო უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე გამოსვლას, მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა შესრულებული ჯერ კიდევ მეფის რეჟიმის დროს მეორე სახელმწიფო სათათბიროში, ხოლო შემდეგ, თებერვლის რევოლუციის დროს, კერენსკის მთავრობაში. მეორე სახელმწიფო სათათბიროში მინისტრთა თავმჯდომარე სტოლიპინსა და ირაკლი წერეთლის შორის გაიმართა საპარლამენტო დუელი, რომელიც მეფის პრემიერ-მინისტრმა დაასრულა ისტორიული სიტყვებით: თქვენ გჭირდებათ დიდი რყევა-ზანზარი, ჩვენ კი გვჭირდება დიდი რუსეთი! ამ საპარლამენტო ორთაბრძოლას მოჰყვა სოციალდემოკრატიული ფრაქციის დაშლა და მისი წევრების გადასახლება ციმბირში.

რადგან ირაკლი წერეთელმა თებერვლის რევოლუციამდე ათი წელიწადი სატუსაღოში გაატარა,

მისი სახე მოწამის შარავანდით იყო მოსილი. მაგრამ ის თავის თავზე შეყვარებული ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა. ირაკლი წერეთელი უდავოდ შესანიშნავი ორატორი იყო, განსაკუთრებით ძლიერი რეპლიკების გაცვლა-გამოცვლაში, მაგრამ განუსაზღვრელი ნდობა რუსეთის ზომიერი დემოკრატიისადმი და უნდობლობა ქართველი ერის შემოქმედებითი ძალებისადმი მას ხელს უშლიდა უფრო აქტიურად ემოქმედნა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკაში. ამისდა მიუხედავად მან ფრაქციის დავალებით, ჯერ დროებითს პარლამენტში, ხოლო შემდეგ დამფუძნებელ კრებაში საუცხოო სიტყვები წარმოთქვა საქართველოს დამოუკიდებლობის და თეთრი გიორგის დროშის დასაცავად.

დამფუძნებელმა კრებამ აირჩია კომისია პავლე საყვარელიძის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაავალა კონსტიტუციის პროექტი შეედგინა; ამ პროექტში შეტანილ იქნა საუკეთესო პრინციპები, რაც კი მთელი მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციებში აღმოჩნდა. მაგრამ ეს ეკლექტიკური შემოქმედების ნაყოფი ნაკლებ შეეფერებოდა ქართველი ერის ისტორიულ ტრადიციებს და თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას, ესოდენ განსხვავებულს შვეიცარიის, საფრანგეთის, ინგლისის, ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკის ისტორიული ტრადიციებისა და თანამედროვე მდგომარეობისაგან. ეს თითქო რედინგოტი იყო, რომლის ქვეშ მასრებიანი ჩოხა-ახალუხი მოჩანდა.

დამფუძნებელი კრების დასტურით მთავრობამ ერევანში დიპლომატიურ წარმომადგენლად სოცი-

ალისტ-ფედერალისტი სიმონ მდივანი დანიშნა. ეს იყო ყველაზე უვარგისი დესპანი, რომელიც საქართველოს ოდესმე თავის მეზობელ სახელმწიფოში წარუგზავნია ფარნაოზ მეფის დროიდან. ერევანში ჩასვლისთანავე სიმონ მდივანმა დაიწყო გრძელი სამგლოვიარო სიტყვების წარმოთქმა ყველა დაშნაკელი და არადაშნაკელი სომეხი მოღვაწის საფლავზე. ამ დროს ერევნის მთავრობამ თავი მოუყარა თავის ჯარს, რომელმაც ომის გამოუცხადებლად გადმოლახა საქართველოს საზღვრები და გაჟლიტა იქ მდგომი ქართველი რაზმები. საქართველოს მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ ეს ამბავი დაგვიანებით გაიგეს. გაიმართა საზეიმო სხდომა, ყველაზე უფრო მღელვარე საქართველოს პარლამენტის მოკლე ისტორიაში. ოთხიოდე დაშნაკელი საკმაოდ უმნეო მდგომარეობაში აღმოჩნდა ასოცი აღშფოთებული ქართველი დეპუტატის წინაშე. - ვის მხარეზე დგახართ თქვენ ამ კონფლიქტში? - ჰკითხეს მათ ტრიბუნაზე გამოსულმა ორატორებმა. - რასაკვირველია, სომშობლოს მხარეზე, - უპასუხეს დაშნაკელებმა. - რომელი სამშობლოს, სომხეთის თუ საქართველოში? ამ გულუბრყვილო შეკითხვას მჭევრმეტყველი დუმილი მოჰყვა, რამაც განსაკუთრებული გააფთრება გამოიწვია ერთ ფილოსოფიურად მოაზროვნე ფედერალისტში: მან ხელი სტაცა სკამს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის იატაკზე იყო მიჭედილი.

სომხეთმა ომი საქართველოს წინააღმდეგ ლორეს პროვინციის გულისათვის დაიწყო. ეს პროვინცია სომხებით იყო დასახლებული, მაგრამ წარსულში ხანგრძლივად საქართველოს სამეფოს საზღვრებში შედიოდა და სომხეთ-საქართველოს გა-

მიჯვნის დროს საქართველოს დარჩა, როგორც ყოფილი თბილისის გუბერნიის ნაწილი. ამ ომში პირველად უპირატესობა სომხების მხარეზე იყო. ისინი ძირს დაეშვნენ მეზომდალის ქედიდან, დაიკავეს ლორე და თბილისს მიუახლოვდნენ ოცდაათი კილომეტრის მანძილზე. მაგრამ მდინარე მაშავერას ნაპირებზე დამარცხება განიცადეს და საჩქაროდ დაიწყეს უკან დახევა. მაშინ საქმეში ჩაერია ახლად ჩამოსული დიდი ბრიტანეთის მისიის მეთაური, რომელთანაც სომხები წინასწარ იყვნენ შეთანხმებული. ინგლისელმა გენერალმა ჟორდანიას მოსთხოვა ლორეს საზღვრებთან შეეჩერებინა თავისი ჯარის და გვარდიის წინსვლა. ამგვარად, სადავო პროვინცია, რომელიც სომხეთის ჯარმა უკვე დასცალა, ხოლო ქართველმა ჯარმა ვერ დაიკავა, ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მთელი ლორე სომხეთს გადაეცა: მან მიიღო არა მარტო სამხრეთის ნაწილი სანაინითა და ახპატით, არამედ ჩრდილოეთის ნაწილიც ახტალითა და ალავერდის სპილენძის საბადოებით. ცხადია, ეს ომი სომხებმა ყოველმხრივ უკეთ მოამზადეს და თავიანთ მიზანსაც მიაღწიეს. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ეს ერთ-ერთ ყველაზე სამწუხარო ეპიზოდს წარმოადგენს საქართველოს და სომხეთის ისტორიაში.

ქართველი სოციალ დემოკრატიის ზედიპლომატად აკაკი ჩხენკელი ითვლებოდა. მას ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე, ბერლინში ყოფნის დროს, საფუძვლიანად შესწავლილი ჰქონდა გერმანიის სოციალ დემოკრატიის ყველა პარტაიტაგის ოქმები, რაიცა პატარა ღვაწლად არ ჩაითვლებოდა, ვინაიდან ოცი თუ ოცდახუთი მოზრდი-

ლი ტომის ათვისებას გულისხმობდა. მაგრამ აკაკი ჩხენკელი თავის ამხანაგებზე ნაკლებ იყო შებოჭილი პარტიული დოგმით და დისციპლინით, და სხვებზე ადრე აღიარა ტერიტორიული ავტონომიის პრინციპი. მან დიდი გულმხურვალება გამოიჩინა საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვაში. ჟორდანიას მთავრობამ გერმანიასთან მოსალაპარაკებლად აკაკი ჩხენკელი გაგზავნა და მრჩევლებად ნიკო ნიკოლაძე და ზურაბ ავალიშვილი გაატანა. ამ მოლაპარაკებიდან რეალურად არაფერი გამოვიდა. გერმანიის მთავრობა დიდხანს ყოყმანობდა იურიდიულად ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, ვინაიდან არ უნდოდა საბჭოთა კავშირისთვის ეწყენინებინა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადების შემდეგ. ხოლო, როდესაც მოსკოვთან ხანგრძლივი მოლაპარკების შემდეგ მან გადაწყვიტა აკაკი ჩხენკელის შუამდგომლობა დაეკმაყოფილებინა, უკვე გვიან იყო: თვით გერმანია კატასტროფის წინაშე იდგა.

საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული ცნობა ანტანტის სახელმწიფოებმაც დიდად დააგვიანეს. 1920 წლის დეკემბერში ერთა ლიგამ, ნორვეგიის წარმომადგენლის ფრიტიოფ ნანსენის მხურვალე სიტყვის მიუხედავად, საქართველოს უარი უთხრა წევრად მიღებაზე. ლიგის მონაწილე პატარა სახელმწიფოების უმრავლესობაზე გავლენა მოახდინა საფრანგეთის დელეგატის ვივიანის და დიდი ბრიტანეთის დელეგატის ფიშერის განცხადებამ, საქართველოს და სომხეთის ლიგაში მიღება იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ისინი შეიარაღებული ძალით უნდა დავიცვათ, თუ მათ მეზობელი სახელმწიფოები თავს დაესხნენ, ეს კი ჩვენ არ შეგვიძ-

ლიაო. ამის შემდეგ ერთ თვესაც არ გაუვლია და საქართველოს დამოუკიდებლობა ანტანტის სახელმწიფოებმა მეორედ სცნეს (იურიდიულად). საქართველოს მთავრობამ პარიზში დაუყოვნებლივ იგივე აკაკი ჩხენკელი გაგზავნა. მაგრამ სწორედ იმ დღეს, როდესაც საქართველოს დესპანი, საპატიო ყარაულ გარშემორტყმული ეტლით, საფრანგეთის პრეზიდენტთან მიემგზავრებოდა, რათა მისთვის თავისი რწმუნების სიგელი გადაეცა. თბილისში უკვე წითელი არმიის რაზმები შემოდიოდნენ, ხოლო ბათუმის ნავსადგურიდან საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის ელჩები აპირებდნენ გასვლას.

აკაკი ჩხენკელზე ადრე საქართველოს მთავრობამ პარიზში კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი გაგზავნა თავისი ინტერესების დასაცავად. მათ იქ წელიწადნახევარზე მეტი დაჰყვეს, მაგრამ უფრო პოლიტიკური ცხოვრების მიმდინარეობას მიჰყვებოდნენ, ვიდრე გავლენას ახდენდნენ მასზე. და ეს უფრო მათი უბედურება იყო, ვიდრე მათი ნაკლი, რომ დასავლეთ ევროპის ცენტრში ესოდენ კრიტიკულ ეპოქაში მოხვდნენ. არც კარლო ჩხეიძე, არც ირაკლი წერეთელი განვლილი ცხოვრების გზით იმისთვის მომზადებული არ ყოფილან, რომ გარკვეულიყვნენ პოლიტიკურ ქაოსში, რომელშიც ძველი გამობრძმედილი დიპლომატებიც იბნეოდნენ.

რუსეთის მესამე და მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში კარლო ჩხეიძემ დიდად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. იქ ის მეთაურობდა სოციალდემოკრატიულ ფრაქციას და ყველაზე კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენდა მემარცხენე დეპუტატთა შორის, რომელთაც თავიანთი თამამი გამოსვლებ-

ით ხელი შეუწყვეს რომანოვების რეჟიმის დამხობას. კარლო ჩხეიძის ზოგიერთი გონებამახვილი რეპლიკა ფართოდ ცნობილი გახდა მთელს იმდროინდელ საზოგადოებაში. როდესაც რუსი მონარქისტების ჯამბაზმა პურიშკევიჩმა ის გამოაჯავრა მისი მკვეთრი ქართული აქცენტის გამო და კავკასიელი მაიმუნი უწოდა. კარლო ჩხეიძემ ძველი რუსული ქრონიკით ენით უპასუხა: როდესაც თქვენი წინაპრები ტყეებში დაძრწოდნენ და ნადირის ხორცით იკვებებოდნენ, ჩემი წინაპრები სახარებას თარგმნიდნენო.

ოქტომბრის რევოლუციის დედაარსი კარლო ჩხეიძემაც ისევე თავისებურად გაიგო, როგორც ნოე ჟორდანიამ, ირაკლი წერეთელმა და სხვა მათმა ამხანაგებმა. როდესაც ის იძულებული გახდა პეტერბურგიდან გამოქცეულიყო, მას ეთქვა: ჩვენ ეს სტიქიონი მიწისქვეშეთიდან გამოვიწვიეთ, ეხლა მისი დაშოშმინება სხვებმა იკისრონო. კარლო ჩხეიძეც დარწმუნებული იყო, რომ რუსეთი პოლიტიკურმა ანარქიამ დიდი ხნით მოიცვა და უფრო მოსალოდნელად მიაჩნდა, რომ იქ მონარქიული წესწყობილება აღსდგებოდა; ამიტომ სამშობლოში დაბრუნდა გულგატეხილი. ერთ ხანს იგი დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის სავარძელში იჯდა და კეთილგანწყობილი, ოდნავ სკეპტიკური ღიმილით ხვდებოდა ფრაქციათა ლიდერების გამოსვლებს. შემდეგ, როდესაც კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი ევროპაში იქნენ წარგზავნილი, მათ იქ მოლაპარაკება გამართეს მეორე ინტერნაციონალის ლიდერებთან, რათა ისინი საქართველოს სწვეოდნენ იმის გასაცნობად, თუ როგორ დგამდა მანამდე უცნობი პატარა ერი პირველ ნაბი-

ჯებს სოციალიზმისაკენ.

მეორე ინტერნაციონალის ლიდერების - რაზმეი მაკდონალდის, ემილ ვანდერველდეს, პოლ რენოდელის, ჰიუსმანსის, მადამ სნოუდენის, კარლ კაუცკის და სხვების ჩამოსვლა აუცილებლად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოკლე ისტორიაში. მანამდე საქართველოს დასავლეთ ევროპაში მეტად ვიწრო წრე თუ იცნობდა მოგზაურთა აღწერების და მარი ბროსესა, დიუბუა და მონპერესა და სხვა სპეციალისტების გამოკვლევების წყალობით. ევროპელმა სოციალისტებმა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა ფართოდ პოპულარული გახადეს მოწინავე საზოგადოებაში. და საქართველოს საკითხი ერთხანს ყოველთვის პირველ რიგში იდგა, როდესაც რუს კომუნისტებსა და ევროპელ სოციალისტებს შორის რაიმე მოლაპარაკება იმართებოდა შეთანხმების შესახებ.

კარლ კაუცკი ამ დიდ დელეგაციაში არ ყოფილა. ის საქართველოში მარტო ჩამოვიდა და უფრო პედანტურად, ფანქრით და უბის წიგნაკით აღჭურვილი გაეცნო მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას. როგორც ეტყობა ახლად შობილი სოციალისტური სახელმწიფო მას ბევრად უფრო ნაკლებ მიმზიდველი ეჩვენა, ვიდრე წარმოდგენილი და ნაწილობრივ თავის წიგნებში ("სოციალური რევოლუცია", "სოციალური რევოლუციის მეორე დღეს") ასახული ჰქონდა. მას ეთქვა, ბევრი რამ საქართველოში გაუგებარია ჩემთვისო. არ ვიცი, რა შთაბეჭდილებით დაბრუნდნენ უკან სხვა დელეგატები. ნოე ჟორდანიას მთავრობამ მათ ბევრი ვერაფერი აჩვენა, გარდა უხვი ქართული სუ-

ფრისა და მოფარიკავე ხევსურებისა. მხოლოდ ემილ ვან დერ ველდემ ქართული თეატრის დარბაზში მოხსენება წაიკითხა ფრანგულ ენაზე. მან რამდენიმე ჩვეულებრივი კომპლიმენტი მიუძღვნა საქართველოს ბუნების სიმდიდრეს და სილამაზეს და თქვა, როგორც ეტყობა სოციალიზმი ერთგვარ რელიგიად იქცა პატარა ჩაგრული ერებისთვის, ისინი მისგან ხსნას ელიანო.

იმ დროს დიპლომატიურ მისიებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ის მისია იყო, რომელიც ნოე ჟორდანიამ ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ მოსკოვში გაგზავნა საბჭოთა მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. ის არსებითად, ერთი კაცის, ყოფილი მასწავლებლის გრიგოლ ურატაძისაგან შედგებოდა. საგარეო საქმეთა კომისარიატს კრემლში იმ დროს გ. ჩიჩერინი მეთაურობდა. ის, როგორც ეტყობოდა, მთლად კეთილმორწმუნე კომუნისტი არ იყო, მაგრამ კარგი დიპლომატიური სკოლა ჰქონდა გავლილი.

რკინიგზები რუსეთში დანგრეული იყო სამოქალაქო ომის წყალობით, და გრიგოლ ურატაძეს მოძრაობა ისევე გასჭირებოდა, როგორც მეთვრამეტე საუკუნეში გაუჭირდა მის წინამორბედს დიპლომატიის დარგში საბა-სულხან ორბელიანს. ურატაძე ტალახიანი ჩექმებით შესულიყო კრემლის დარბაზში, სადაც მას ჩიჩერინი დახვედროდა თავისი მრჩევლებითურთ. მათ შორის ყოფილიყო ძველი ბოლშევიკი აბელ ენუქიძე, რომელიც ალბათ, მიწვეული იყო, როგორც საქართველოს საქმეების კარგი მცოდნე. ჩიჩერინს ურატაძე თავდაპირველად შიკრიკად მიეღო. ის წარმომდგარიყო დიდი მაგიდიდან, რომელზეც

თურმე ქაღალდი და ფანქრები ეწყო და ეკითხა, სად არიან საქართველოს დელეგაციის წევრებიო. - საქართველოდან თქვენთან მოსალაპარაკებლად მარტო მე ჩამოვედი, - ეპასუხა ურატაძეს. - ძალიან კარგი, - ეთქვა ცოტა არ იყოს, გაოცებულ ჩიჩერინს. მაშ, დაბრძანდით და ამხანაგურად ვისაუბროთ.

იმ დროს აზერბაიჯანი უკვე გასაბჭოებული იყო. ამიტომ მოსკოვის მთავრობის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს და აზერბაიჯანის გამიჯვნის საქმეში. სადავო ტერიტორიას ზაქათალის ოლქი ანუ საინგილო წარმოადგენდა. ჩიჩერინი დიდ კედლის რუქასთან მისულიყო, დაახლოებით შემოეხაზა საინგილოს საზღვრები და ეთქვა, მგონია, თქვენ ამ ტერიტორიას უნდა ედავებოდეთ აზერბაიჯანსო. გრიგოლ ურატაძეს კარგად არ სცოდნოდა საინგილოს საზღვრები, მაგრამ რადგან გაგონილი ჰქონდა, დიპლომატმა ყოველთვის მეტი უნდა მოითხოვოს, ვიდრე მას მოწინააღმდეგე მხარე სთავაზობსო, საბჭოთა მინისტრისთვის პროტესტი განეცხადებინა იმის გამო, რომ მან თავისი სალოკი თითი სადავო ტერიტორიას მეტად ვიწროდ შემოავლო. მაშინ აბელ ენუქიძეს მისთვის ქართულად ჩაეჩურჩულა: - ბიჭო, დათანხმდი, იმაზე მეტს გაძლევენ, რასაც საქართველოს მთავრობა მოითხოვსო. ამ მოლაპარაკების შედეგად საბჭოთა რუსეთმა 1920 წლის 6 მაისს საქართველოს მთავრობა მოითხოვსო. ამ მოლაპარაკების შედეგად საბჭოთა რუსეთმა 1920 წლის 6 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო. საინგილო კი საბოლოოდ მაინც აზერბაიჯანს დარჩა.

IV

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ორიოდე წლის განმავლობაში მე ახლად დაარსებულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში ვმუშაობდი და ერთხანს მის მთავარ ბეჭდვით ორგანოს "საქართველოს" ვრედაქტორობდი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია საკმაოდ ჭრელ კონგლომერატს წარმოადგენდა. მისი ყველაზე იდეური და აქტიური ნაწილი პატრიოტულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენცია იყო. მე ვცდილობდი ამ ინტელიგენციასთან დამეჭირა კონტაქტი და გაზეთი მისი იდეების და მისწრაფებების გამომხატველ ორგანოდ მექცია, მაგრამ წინააღმდეგობას წავაწყდი პარტიის ფაქტიური ლიდერის სპირიდონ კედიას მხრით, რომელიც ფიქრობდა, რომ პარტიას, უწინარეს ყოვლისა, ქართველი ბურჟუაზიის ინტერესები უნდა დაეცვა. ხოლო ამ ბურჟუაზიის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად ის თვლიდა ქართველ კაპიტალისტებს, რომელთაც წილი ედოთ ბაქოს ნავთის წარმოებაში.

სპირიდონ კედია პატიოსანი ახალგაზრდა კაცი იყო, გულწრფელი მამულიშვილი და კარგი ორატორი; მაგრამ არც განათლება და არც სხვა თვისებები მას ხელს არ უწყობდნენ გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე გამხდარიყო. მას ტულუზისა და პარიზის უნივერსიტეტებში ფიზიოლოგია შეესწავლა, ფრანგული პრესის საშუალებით გასცნობოდა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებას და გულმოდგინეთ თვალყური ედევნებინა საფრანგეთის დეპუტატთა პალატის დებატებისათვის. მაგრამ მისი გონებრივი ჰორიზონტი არსებითად, არ სცილ-

დებოდა პარლამენტის კედლებს და მას ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების დიდ მამოძრავებელ პოლიტიკურ ძალებზე. თუმცა სპირიდონ კედია პირადად უანგარო კაცი იყო, მაგრამ მაინცა და მაინც გადაჭარბებულ სიმკაცრეს არ იჩენდა მეგობრების და თანამებრძოლების შერჩევაში: ამიტომ მუდამ გარშემორტყმული იყო სხვადასხვა ჯურის საქმოსნებით, რომლებიც უკონტროლოდ ხელს ურევდნენ პარტიულ თანხებში და ჩრდილო კავკასიაში ცხენებს, ქერს და ლობიოს ყიდულობდნენ, რათა შემდეგ მაღალ ფასებში გაეყიდათ დამშეული საქართველოს და სომხეთის ბაზარზე; ამას გარდა, ძვირფასი ნოხები და ანტიკვარული ნივთები გაჰქონდათ დასავლეთ ევროპაში. ამ დროს კი გაზეთს ფული არ ჰქონდა, რათა ქაღალდი ეყიდა და სტამბის ხარჯები გადაეხადა. ამას მოსდევდა დაუსრულებელი კონფლიქტები რედაქციის თანამშრომლებსა და მუშებს შორის, რასაც ვერაფერს შველოდა პარტიის ლიდერის ენაწყლიანობა.

ბოლოს, დავინახე, რომ ჩემი შრომა პარტიასა და მის ყოველდღიურ ორგანოში უნაყოფო გახდა და იძულებული შევიქენ გამოვთხოვებოდი ერთსაც და მეორესაც. პარტიის რიგებიდან გასვლამ ვიწრო დისციპლინის სალტეებისაგან გამათავისუფლა, მაგრამ შეასუსტა ჩემი გავლენა დამფუძნებელ კრებაში, ხოლო პრესის კარები, არსებითად, დამეხშო. ამიტომ ჩემი მეგობრის ალექსანდრე არაბიძის დახმარებით ცალკე ბროშურად გამოვეცი ჩემი პოლიტიკური სიტყვები და წერილები; ამ ბროშურაში ვამტკიცებდი, რომ მოსკოვთან შეთანხმება ერთადერთი გამოსავალი იყო იმ ჩიხიდან,

სადაც საქართველო მოექცა მას შემდეგ, რაც ანტანტის სახელმწიფოებმა უარი გვითხრეს სამხედრო და ფინანსურ დახმარებაზე და ჩვენი დესპანები თეორიული ნუგეშისცემით გამოისტუმრეს. მე ვწერდი, თუ დამფუძნებელი კრება საბჭოთა კონსტიტუციას მიიღებს, ჩვენ შეგვიძლია ტერორი და სამოქალაქო ომი ავიცდინოთ. ეს იქნება ძალთა ეკონომია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენისთანა პატარა ერისთვის-მეთქი.

გასაოცარი იყო, რომ არც დამფუძნებელი კრება და არც ნოე ჟორდანიას მთავრობა თითქოს არ გრძნობდა ჩრდილოეთიდან მომაკვდინებელი საფრთხის მოახლოებას. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ემსგავსებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი პატრიარქალურ მწყემსმთავარს, შესაფერს იდილიური არკადიისათვის. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სულიერი დისციპლინის და თავდაჭერილობის შედეგი იყო. ამავე დროს მლიქვნელები, რომელთა რიცხვი, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, იმ დროს დიდი არ იყო, მას ახლადმოვლენილ დავით აღმაშენებელს უწოდებდნენ. ნამდვილად კი ყოველგვარი აღმშენებლობა, ყოველგვარი გონებრივი მოძრაობა შეფერხებული იყო, ვინაიდან დასავლეთი ევროპა, საითკენაც ქართველ სოციალდემოკრატიას ჰქონდა პირი მიბრუნებული, ჯერ კიდევ ქაოსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რუსეთისგან კი ის გამოთიშული იყო.

ნოე ჟორდანია, ჩვეულებრივ, ტლანქი ქსოვილის ნაცრისფერ შალის ტანისამოსს იცვამდა და ყველასთვის ადვილად მისაწვდომი იყო თავის უბრალოდ მოწყობილ ბინაში შიო ჩიტაძის ქუჩაზე.

ის წინააღმდეგი იყო ყოველი გადაჭარბებული მკაცრი სასჯელისა და, აღსანიშნავია, რომ მის დროს სისხლის დანაშაული შედარებით, იშვიათი მოვლენა იყო. ნოე ჟორდანია ცდილობდა აელაგმა თავისი შინაგან საქმეთა მინისტრის დიქტატორული და ტერორისტული მიდრეკილებანი და ხალხის გული უფრო ლმობიერებით დაეპყრო, ვიდრე სიმკაცრით, ლმობიერება კი, ჩვეულებრივ, სიძლიერის მაჩვენებელია. ამიტომ, როცა თბილისის მოსახლეობა ხედავდა, როგორ მოაქროლებდა რუსთაველის პროსპექტზე წვერგაბარდნილი მეეტლე ორცხენიან ეტლს, რომელშიც რესპუბლიკის პრეზიდენტი შეუშფოთებლად იჯდა, მას შეეძლო წარმოედგინა, რომ ქართული დემოკრატიის კიდობანი მტკიცედ იყო შეკრული და ყოველ წარღვნას გაუძლებდა.

ქართველმა ხალხმა მხოლოდ ორჯერ მოასწრო დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე - 26 მაისი ედღესასწაულა. როგორც დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის თავმჯდომარე, მე მონაწილეობას ვღებულობდი ამ ეროვნული დღესასწაულის პროგრამის შედგენაში, მაგრამ მისი ნამდვილი ავტორი უბრალო ხალხი იყო. მთელი თბილისის მოსახლეობა დილიდანვე თავს იყრიდა უზარმაზარ ბუნებრივ ამფითეატრში, სადაც ამჟამად ვაკის ახალი პარკია გაშენებული. ძალდაუტანებელი მხიარულება, სიმღერა, ცეკვა საღამომდე გრძელდებოდა. საუცხოო სანახაობას წარმოადგენდა ქართველი ფიზკულტურელების, ეგრეთ წოდებული "შევარდნების" გამოსვლა, რომელსაც ნიკო ნიკოლაძის ქალ-ვაჟი თამარი და გიორგი ხელმძღვანელობდნენ. ისტორიული და სიმბოლური ჯგუ-

ფების პროცესია, რომელიც ქალაქის ცენტრიდან ამფითეატრისკენ მიემართებოდა, კარნავალს ჰგავდა და აღტაცებას იწვევდა ხალხში. მაგრამ ერთხელ დიდი ავტომანქანა, რომელზეც ეროვნული დამოუკიდებლობის გამომხატველი ახალგაზრდა ქალთა ჯგუფი იყო მოთავსებული, მოულოდნელად შეფერხდა უნივერსიტეტის შენობის მახლობლად და საჭირო გახდა მეორე მანქანის მიშველება, რათა ის ადგილიდან დაძრულიყო. ხალხმა ეს უბედურების მომასნავებელ ნიშნად მიიღო.

V

ნოე ჟორდანიას ალბათ, არასოდეს არ უფიქრია, რომ მის ადგილს თბილისის სასახლეში სერგო ორჯონიკიძე დაიჭერდა. არასოდეს ის ორჯონიკიძეს არ შეხვედრია, როგორც თავის მოწინააღმდეგეს, ის მას სხვა ქართველ ბოლშევიკებზე ნაკლებ იცნობდა. ლენინი კი ორჯონიკიძეს თავის უახლოეს მოწაფედ თვლიდა. როდესაც ლენინი თებერვლის რევოლუციის შემდეგ გერმანიის გზით პეტერბურგში დაბრუნდა, მან თავის მტრებში დიდი აღშფოთება გამოიწვია. კერენსკის მთავრობამ ლენინი სახელმწიფოს მოღალატედ გამოაცხადა. დაისვა საკითხი მისი სამართალში მიცემისა. თვით ლენინი შეშფოთდა, ერთ მომენტში თურმე მზად იყო დროებითი მთავრობის სამსჯავროში წარმდგარიყო თავის გასამართლებლად. ადვილი წარმოსადგენია, რა სახელის გატეხა მოელოდა მას კერენსკის და პერევერზევის გამობრძმედილი ადვოკატებისგან. ამ კრიტიკულ მომენტში ჯუღაშვილმა და ორჯონიკიძემ თავიანთი მასწავლებელი თურმე აიძულეს რაზლივში დამალულიყო და იქ დაელო-

დნა, სანამ პოლიტიკური ვითარება ბოლშევიზმის სასარგებლოდ შეიცვლებოდა; და ტყის განაპირა ტალავარში განმარტოებით მცხოვრებ ლენინთან უშუალო კავშირი სერგო ორჯონიკიძეს ჰქონდა. ის ანვდიდა მას საკვებს და გაზეთებს და ღებულობდა მის მიერ დაწერილ სტატიებს.

ბაქოში მეთერთმეტე არმია 1920 წლის აპრილში სერგო ორჯონიკიძის და კიროვის ხელმძღვანელობით შევიდა. ნახევარი წლის შემდეგ მათ სომხეთის გასაბჭოება მოახდინეს, ანასტას მიქოიანის დახმარებით. როდესაც დღის წესრიგში უკვე საქართველოს გასაბჭოების საკითხი დაისვა, ლენინი, როგორც ეტყობა ყოყმანისა და შეშფოთების გრძნობამ შეიპყრო. მას თითქოს ორჯონიკიძისთვის დაევალებინოს ნოე ჟორდანიასთვის შემდეგი წინადადება მიეცა: საქართველოში შემდგარიყო მენშევიკების და ბოლშევიკების მთავრობა პარიტეტის საფუძველზე; შემდგარიყო ქართული წითელი არმია; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია შეცვლილიყო საბჭოთა კონსტიტუციით, ეკონომიურ პოლიტიკაში ანგარიში გაწეოდა წვრილი ვაჭრების და ხელოსნების ინტერესებს. არ ვიცით, რამდენად სწორია ეს ცნობა, ვინაიდან არავითარი წერილობითი საბუთი ამის შესახებ არ გვინახავს. მაგრამ შესაძლებელია ლენინი იმჟამად ანგარიშს უწევდა მეორე ინტერნაციონალს, როგორც მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტორს და არ უნდოდა გადაემტერებინა მაკდონალდის, ვანდერველდეს და კაუცკის ქართველი მეგობრები: შეიძლება ეს მას საზიანოდ მიაჩნდა სოციალიზმის პერსპექტივების თვალსაზრისით. მაგრამ ორჯონიკიძე უფრო მოქმედებ-

ის კაცი იყო, ვიდრე აზროვნებისა. მან უეჭველია, იცოდა, რომ საბჭოთა რუსეთი დიდხან ვერ იარსებებდა, თუ ხელთ ბაქოს ნავთი არ ექნებოდა. ამავე დროს ის, ალბათ, ფიქრობდა, რომ საბჭოთა ბაქო მუდამ საფრთხის წინაშე იდგებოდა, თუ მეზობლად დამოუკიდებელი საქართველო ეყოლებოდა, მით უმეტეს დასავლეთისკენ პირმიბრუნებული. ასევე ფიქრობდა, ალბათ, ორჯონიკიძის უფროსი ამხანაგი სტალინიც. მათ, ეტყობა, განსაჯეს, რომ ნოე ჟორდანიას და ფილიპე მახარაძის ერთად დასმა ორსაჯდომიან საპრეზიდენტო სავარძელში განუხორციელებელი ოცნება იყო. ამიტომ მათ კიროვთან შეთანხმებით ბაქოში მდგომ მეთერთმეტე არმიას უბრძანეს გადმოელახა მტკვრის და ხრამის შესართავი.

ამ დროს სამგლოვიარო მიტინგების მოყვარული დიპლომატი სიმონ მდივანი ერევანში აღარ იმყოფებოდა. ის გადაყვანილი იყო კიდევ უფრო პასუხსაგებ პოსტზე, სახელდობრ ანკარაში, საიდანაც ნოე ჟორდანიას მთავრობას დიდად გამამხნევებელ დეპეშებს უგზავნიდა. იტყობინებოდა, თურქეთის მთავრობა მზადაა საქართველოს შეიარაღებული ძალით დახმარება გაუწიოს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, მხოლოდ სანაზღაუროდ არტაანის, ართვინისა და არტანუძის დათმობას მოითხოვსო. ჟორდანიას მთავრობამ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა. ამავე დროს არავისთვის საიდუმლოება უნდა ყოფილიყო ქემალისტური თურქეთის და საბჭოთა რუსეთის თანდათანობითი დაახლოება, რის შესახებ ცნობები ქვეყნდებოდა ევროპის პრესაში. 1920 წლის დეკემბერში ლენინმა საბჭოების მერვე ყრილობაზე განაცხადა, თურქეთსა და რუსეთს

შორის მეგობრობა განმტკიცდაო, ხოლო 1921 წლის თებერვლის ბოლო რიცხვებში მოსკოვში გაიხსნა საბჭოთა რუსეთ-თურქეთის კონფერენცია, რომელიც მარტში "მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულებით" დასრულდა.

ერევანში დაშნაკელების პარტიამ 1921 წლის თებერვლის შუა რიცხვებში შესძლო ორი თვის წინათ დამყარებული საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და რამდენიმე დღით სომხეთში ისევ ნაციონალისტური მთავრობა დამყარდა. მან აცნობა ნოე ჟორდანიას, რომ მზად იყო მასთან ერთად ებრძოლა წითელი არმიის წინააღმდეგ. წითელი არმიის მეთაურებმა გადაწყვიტეს ჯერ საქართველო დაეჭირათ, ხოლო შემდეგ სომხეთი.

VI

1921 წლის 15 თებერვალს შულავერში საქართველოს რევოლუციური კომიტეტი შედგა. თავის მანიფესტში მან ქართველ ხალხს აუწყა, რომ წითელი არმია მის გასათავისუფლებლად მოდიოდა. დამფუძნებელმა კრებამ კანონს გარეშე გამოაცხადა რევოლუციური კომიტეტის წევრები. ქართველი ჯარის მთავარსარდალმა გენერალმა კვინიტაძემ ისევე, როგორც ასოცდახუთი წლის წინათ ერეკლე მეფემ, გადაწყვიტა მთავარი ბრძოლა მოწინააღმდეგისთვის თბილისის კარიბჭესთან მიეცა. ცხრამეტ თებერვალს ახლად გაღვიძებულ მოქალაქეებს უკვე შემოესმათ მეთერთმეტე არმიის ქვემეხების გრიალი. ქართულმა არტილერიამ, რომელსაც სახელგანთქმული ქართველი ოფიცრები მეთაურობდნენ, მტერს ენერგიული პასუხი გასცა.

დამფუძნებელი კრების რამდენიმე დეპუტატთან

ერთად სოლანლულის ფრონტზე მივედი და სანგრები დავათვალიერე. ჯარისკაცებიც და მეთაურებიც მხნედ იყვნენ, მხოლოდ ჩიოდნენ, სურსათისა და ტყვია-ნამლის მოწოდება ცუდად არის მოწყობილიო. თბილისის საწყობები კი სავსე იყო ამუნიციით. ერთი დეპუტატი ფედერალისტი სანგრიდან სანგარში გადადიოდა, დღეს თუ არა ხვალ თურქეთის ჯარი წითელ არმიას უკანიდან დაარტყამსო.

მეორე თუ მესამე დღეს ქართველი ჯარი და გვარდია შეტევაზე გადავიდა და ათათხუთასზე მეტი კაცი დაატყვევა. თბილისის მოსახლეობას არც რაიმე ექსცესები ჩაუდენია, არც პანიკა გამოუმჟღავნებია. ყველაზე მეტი დაბნეულობა თვით მთავრობის წევრებს ემჩნეოდა: მინისტრები თავიანთ ადგილებზე არ ისხდნენ, ზოგიერთ მათგანს სამხედრო ფარაჯა ჩაეცვა, მხარზე თოფი გადაეკიდა და სასახლის წინ დადიოდა.

რუს ტყვეებს შორის მძიმედ დაჭრილები ერივნენ. ერთი მათგანი რატომღაც, ერთი სახლის აივანზე დაეწვინათ სოლოლაკში. ერთი ფეხი დაჩეჩქვილი ჰქონდა და სისხლისგან იცლებოდა. გაფითრებული ტუჩებით პაპიროსი ითხოვა. ბენია ჩხიკვიშვილმა, რომლის ვაუკაცურ გარეგნობას და ხასიათს მაღალი ცილინდრი და თეთრი ხელთათმანი ნაკლებ შეეფერებოდა, პორტსიგარი მიანოდა. ვიღაცამ უთხრა, პაპიროსით თბილისის გენერალ-გუბერნატორი გიმასპინძლდებაო. მომაკვდავმა ეს ცნობა გულგრილად მიიღო, მხოლოდ თამბაქო ხარბად მოსწია. ეტყობოდა ყურს უგდებდა არტილერიის ბათქს და ცდილობდა გაეგო, უახლოვდებოდნენ თუ შორდებოდნენ თბილისს მისი ამხანაგები.

კავალერიის უყოლობის გამო ქართველმა ჯარმა ვერ შეძლო პირველი გამარჯვების გამოყენება და წითელ არმიას დრო მიეცა დაშოშმინებულიყო და თავისი რაზმები გადაეჯგუფებინა. ის მოქმედებდა არა მარტო სოღანლუღის და კოჯრის მიმართულებით, არამედ მტკვრის მარცხენა ნაპირზეც, ვაზიანის მიმართულებით. საქართველოს მთავრობამ ცნობა მიიღო, წითელი ჯარის ნაწილებმა კავკასიონის მთავარი ქედი გადმოლახეს მამისონის უღელტეხილითო. მაგრამ ეს ნაწილები იმდენად მცირერიცხოვანნი იყვნენ, რომ მათ არ შეეძლოთ გადამწყვეტი გავლენა მოეხდინათ მთავარი ფრონტის ოპერაციებზე. ამიტომ თბილისის მოსახლეობისათვის მოულოდნელი იყო ცნობა, რომ მთავრობამ და მთავარმა შტაბმა გადაწყვიტეს დედაქალაქის დატოვება. როგორც შემდეგ გამოირკვა ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი და საბედისწერო იყო ფრონტისთვის, სადაც მან დემორალიზაცია შეიტანა.

24 თებერვალს ერთს ჩემ მეგობართან ერთად უძილო ღამე გავატარე. ქალაქის ქუჩებში საოცარი სიჩუმე იდგა. თოვლის ფანტელები უხმოდ ეცემოდნენ ქვაფენილებს. უკან ჩამორჩენილი ჯარისკაცები ჩრდილებივით მოძრაობდნენ, ზოგი მათგანი კედელზე აყუდებდა ან მიწაზე აგდებდა თავის თოფსა და სავაზნეს. ქალაქი ჩაბნელებული იყო. გათენებისას ერთ ნაცნობთან შევედი გასათბობად. მასაც უძილო ღამე გაეტარებინა. ძვირფასი ნოხები დაეზვინებინა და სინანულს გამოთქვამდა, რომ ვერ მოესწრო მათი საზღვარგარეთ გატანა.

როდესაც 25 თებერვალს დილით წითელი ჯარის მზვერავები ფრთხილად ქართული ჯარის სა-

ნგრებს მიახლოვებოდნენ, სახტად დარჩენილიყვნ-ენ, რადგან იქ აღარავინ დახვედროდათ. თავის პოსტზე მხოლოდ ერთი პატარა ნაწილი დარჩენი-ლიყო, უმთავრესად იუნკრებისაგან შემდგარი. მათ, ალბათ, ქართველი ჯარის უკან დახევა უნ-და დაეფარა. იუნკრებმა უკანასკნელ წუთამდე თა-ვგანწირულად იბრძოლეს და თავიანთი ჯარებით ამოავსეს კოჯრის მაღლობების და ქოროღლის სა-ნგრები.

შუადღისას ქალაქის მთავარ მოედანზე გავედი. იქ რამდენიმე მოქალაქეს მოეყარა თავი. შუაბაზ-რიდან გამოჩნდა ცხენოსანი წითელარმიელების პა-ტარა რაზმი, რომელსაც ახალგაზრდა წონოლაქუ-დიანი ოფიცერი მეთაურობდა. მას ცხენის ფეხთ-ქვეშ ვიღაც ხნიერი დედაკაცი ჩაუვარდა და შეს-ჩივლა, ქართველები რუსებს გვჩაგრავენო. - პრო-ვოკატორი! - უყვირა ოფიცერმა და მათრახის ტა-რი მოულერა. შემდეგ მან თავისი ცხენი თვითმა-რთველობის შენობასთან შეაჩერა და შესძახა: - გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! - გაუ-მარჯოს წითელ არმიას, - უპასუხა ერთმა მსხვი-ლმა ხელოსანმა, სომეხმა მექუდემ. ცოტათი უფ-რო გვიან იმავე ცენტრალურ მოედანზე წითელი არმიის საბარგო ავტომანქანა შემოსულიყო და ქა-ლაქის თვითმმართველობის წინ გაჩერებულიყო. მანქანიდან სიტყვა წარმოეთქვა რუს ოფიცერს.

იმავე დღეს ერთ ნაცნობ ახალგაზრდა რუსის ქალს შევხვდი. მეტისმეტად აღელვებული იყო. მან მითხრა მამაჩემი ბაქოში მსახურობდა, წითელი არმიის რიგებში შესულა და დღეს თუ არა ხვალ, ალბათ, საქართველოში შემოვაო; მე კი მთელი ჩე-მი სულით და გულით პატარა საქართველოს მხა-

რეზე ვარო. შეუძლებელი იყო რაიმე ეჭვის შეტანა მის გულწრფელობაში.

აღმოჩნდა, რომ ჩემს გარდა თბილისში კიდევ რამდენიმე დეპუტატი დარჩენილიყო: სოციალისტ-რევოლუციონერი, პროფესორი გიგო ნათაძე, ფედერალისტები პროფესორი შალვა ნუცუბიძე და თედო ღლონტი. ეს უკანასკნელი ყველაზე მემარცხენედ ითვლებოდა თავის პარტიაში და მის მთავარ ბეჭდვით ორგანოს თავისი სტატიებით ავსებდა. მას ენერგია ეყო "სახალხო გაზეთში" დაახლოებით ოცდაათი ფელეტონი მიეძღვნა "ქართველი ქალის და კოოპერაციის" თემისათვის. უფრო საინტერესო იყო მისი რუსული მონოგრაფია: "ბოლშევიკების პოლიტიკა აზიაში".

ყველაზე გამოჩენილი ქართველი ინტელიგენტი, რომელიც ნოე ჟორდანიას მთავრობის ევაკუაციის შემდეგ თბილისში დარჩენილიყო, მიხეილ წერეთელი იყო. ის სრულიად ახალგაზრდა კაცი იყო, როდესაც დასავლეთ ევროპაში წავიდა და იქ ანარქიზმის მიმდევარი გახდა. 1905 წელს მიხაკო წერეთელი ქუთაისის ბარიკადებზე იბრძოდა ქართველ ანარქისტებთან ერთად; მაგრამ შემდეგ გამოეთიშა ძმების გოგელიების ჯგუფს, რომელიც სახიფათო მიჯნაზე იმყოფებოდა კეთილგონიერებასა და სიგიჟეს შორის. 1907 წელს, როდესაც ილია ჭავჭავაძე მოკლეს, მიხაკო წერეთელმა სამგლოვიარო მიტინგზე წარმოთქვა პატრიოტული სიტყვა, რომელიც ბაჩანას ცნობილი სიტყვებით დაიწყო: "ვინა თქვა საქართველოში, რა დიდი ლომი კვდებაო!" ამის შემდეგ კარგა ხანს თბილისში დარჩა და თანამშრომლობა დაიწყო "სახალხო გაზეთში", შემდეგ კი ისევ ევროპაში წავიდა. პირველმა მსო-

ფლიო ომმა მიხაკო წერეთელს ჰაიდელბერგში მოუსწრო. ის დაუკავშირდა გერმანიის მთავრობას, ენერგიული აგიტაცია გააჩაღა დატყვევებული ქართველი ჯარისკაცების ბანაკებში და ხელი შეუწყო მათს ნაციონალურ გათვითცნობიერებას. როდესაც ლოზანაში ჩაგრული ერების კონფერენცია მოეწყო, მიხაკო წერეთელმა იქ მხურვალე სიტყვა წარმოთქვა ანტანტის პოლიტიკის წინააღმდეგ. პირველი მსოფლიო ომის დროს შავ ზღვაში შემოვიდა წყალქვეშა ნავით და გერმანიიდან იარაღი და ფული შემოიტანა. მაგრამ ქართველმა ნაციონალისტებმა ვერც ეს იარაღი გამოიყენეს და ვერც ფული.

არც პოლიტიკურ მოღვაწეობას, არც ანთებული პატრიოტის ტემპერამენტს მიხაკო წერეთლისთვის ხელი არ შეუშლია გამოჩენილი ლინგვისტი გამხდარიყო. მას უმთავრესად აინტერესებდა ძველი წინააზიური ენები, ასირიული, სუმერული, ხეთური და მათი კავშირი ქართულ ენასთან. ის თითქმის დედაენასავით ფლობდა ფრანგულს, გერმანულს და ინგლისურს, ხოლო იტალიურად ზეპირად მთელ თავებს ამბობდა დანტეს "ღვთაებრივი კომედიიდან". მიხაკო წერეთელმა ქართულად გადმოიღო ძველი ბაბილონური პოემა "გილგამეშიანი", ხოლო ქართულიდან გერმანულად გადათარგმნა საბა-სულხან ორბელიანის "სიბრძნე-სიცრუისა". მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორად მიეწვიათ, მაგრამ მას თავის ლექციებში მეტი ინტერესი გამოეჩინა თანამედროვე პოლიტიკური პრობლემებისადმი, ვიდრე ლურსმული წარწერებისა და იეროგლიფებისადმი.

თავისი გამხდარი ტანით, შავგვრემანი სახით, ხშირი თმითა და მეტყველი თვალებით მიხაკო წერეთელი ქართველი ერის ტიპიურ წარმომადგენლად ჩაითვლებოდა, მაგრამ სამხრეთელ ევროპელსაც ჰგავდა. საოცრად გულისხმიერი მეგობარი იყო. მისი გულწრფელობა, მისი გონებამახვილობა და ზნეობრივი სიფაქიზე სასიამოვნოს ხდიდა მის საზოგადოებას. სკეპტიციზმის მიუხედავად, მომქმედი ადამიანი იყო. გულგატეხილი იყო თანამედროვე ქართველ ერზე და ხანდახან სასონარკვეთით ლაპარაკობდა მის მომავალზე; მაგრამ, უეჭველია, ქართველი ერი მას მტკივნეულად უყვარდა.

VII

თბილისის დაკავებისთანავე წითელი ჯარის ნაწილებმა პარადი გამართეს ქალაქის მთავარ მოედანზე. მეორე დღეს თბილისის მოსახლეობამ დიდი სამგლოვიარო პროცესია მოაწყო რუსთაველის პროსპექტზე. წინ მოჰქონდათ შავი კუბოები, რომლებშიაც სანგრებიდან ჩამოტანილი ქართველ ჭაბუკთა გვამები ესვენენ, ხოლო უკან, ნელი ნაბიჯით მდუმარე და თავჩაქინდრული ხალხი მოაბიჯებდა. ეს სანახაობა იმდენად ტრაგიკული იყო, რომ გაოცებასთან შეერთებული მოკრძალების გრძნობას იწვევდა კომუნისტებისა და წითელარმიელების რიგებში. და ახალ ადმინისტრაციას აზრადაც არ მოსვლია ამ პროცესისათვის ხელი შეეშალა. დახოცილი ქართველი მეომრები დასაფლავებული იქნენ დიდი საკრებულო ტაძრის ეზოში, სადაც ამჟამად მთავრობის ახალი სასახლის შენობაა ამართული.

ამ დროს მეზობლად, ძველი სასახლის სახურა-

ვზე, უკვე წითელი დროშა ფრიალებდა, რაიცა სერგო ორჯონიკიძემ დეპეშით აუწყა ლენინს. რაკი თბილისი უკვე აღებული იყო, ხოლო ქართველთა ჯარი საგრძნობ ძალას აღარ წარმოადგენდა, ლენინის წინადადებას ჟორდანიასთან მოლაპარაკების შესახებ არავითარი რეალური მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ამისდა მიუხედავად, ახალმა მთავრობამ მაინც საჭიროდ სცნო დასავლეთ საქართველოში ქართველი ინტელიგენტების დელეგაცია გაეგზავნა ნოე ჟორდანიასთან მოსალაპარაკებლად. ამით მას, ალბათ, უნდოდა ლენინის წინაშე ფორმალური გასამართლებელი საბუთი ჰქონოდა.

როდესაც მიხაკო წერეთელი, გიგო ნათაძე, თედო ღლონტი და მე მთავრობის სასახლეში შევედით და თავდაპირველად ფილიპე მახარაძე ვინახულეთ, ხოლო შემდეგ მამია ორახელაშვილი და შალვა ელიავა, დავრწმუნდით, რომ მათ გარკვეული წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა წინადადებით უნდა მივსულიყავით ნოე ჟორდანიას მთავრობასთან. ფილიპე მახარაძემ გვითხრა, ნოე ჟორდანიას ურჩიეთ ჯარსა და გვარდიას იარაღი დააყრევინოს, ხოლო თვითონ საბჭოთა საქართველოში დარჩესო. რაც შეეხება ნოე რამიშვილს, მას გარანტიას ვერ მივცემთ, რომ თუ ხელში ჩაგვივარდა, არ დავსჯითო. მამია ორახელაშვილი აღშფოთებული იყო, რომ ნოე ჟორდანიას უგუნური პოლიტიკის წყალობით ამდენი ჯანსაღი ჭაბუკი გაიყლიტა. როდესაც კოჯრის სანგრებში ჩავიხედე და შიგ ახლად წვერ-ულვაშ აშლილი ჯარისკაცების და იუნკრების გვამები დავინახე, კინაღამ გული შემოლონდაო. შალვა ელიავა უფრო მხიარულ გუნებაზე იყო. მას უკვირდა, რომ ქართველმა ჯარ-

მა გამარჯვება არ გამოიყენა და იერიშზე არ გადავიდა ფართო მასშტაბით: უკანდახეულ წითელარმიელებს ძლივს ვაკავებდით, თუ ქართველ ჯარს ენერგიულად შემოეტია, შეიძლება ფეხი ვეღარ მოგვემაგრებინა ბაქომდეო. საერთოდ ყველანი იმ აზრისა იყვნენ, რომ ნოე ჟორდანიას და ქართველ ჯარს კაპიტულაცია უნდა მოეხდინა ყოველი წინასწარი პირობის გარეშე. ამას გარდა, ყველანი გულისწყრომას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ მენშევიკების მთავრობამ გაიტაცა სახელმწიფო ქონება, რომლის ღირებულება, მათი ანგარიშით, რაღაც ასტრონომიურ ციფრს აღწევდა.

როდესაც სასახლიდან გამოვედით, დავინახეთ, რომ დიდ ფიცარზე გამოფენილი იყო დასახიჩრებული გვამების ფოტოსურათები, იმ ძალმომრეობის ილუსტრაცია, რომელსაც მენშევიკების გვარდიელები და მილიციონერები კომუნისტებზე ახდენდნენ. ეს იყო აშკარა მოწოდება შურისძიებისაკენ.

თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენი დიპლომატიური მისია არავითარ რეალურ ნაყოფს არ გამოიღებდა, მაინც გადავწყვიტე მონაწილეობა მიმეღო მასში. ჩემი ოჯახი ამ დროს დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა, თბილისში მე მოუსვენარი ცხოვრება და უსაქმურობა მელოდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩემს აქ დარჩენას? არ ვიცოდი, რა მოტივები ამოძრავებდა სხვა დელეგატებს, მხოლოდ ვგრძნობდი, რომ მიხაკო წერეთელს ევროპაში უნდოდა წასვლა.

ჩვენს დელეგაციაში თავდაპირველად მიხაკო წერეთელსა, თედო ღლონტსა და ჩემს გარდა პროფესორი გიგო ნათაძე შედიოდა, მაგრამ ის

ჩქარა დააშინა მგზავრობის სიძენელემ და მცხეთიდან უკან დაბრუნდა. ჩვენ მომარაგებული ვიყავით სურსათით და თამბაქოთი და ორი ავტომანქანაც გვქონდა. მაგრამ სუსხიანი ზამთრის დღეები დაიჭირა და ჩვენს მანქანებს მოძრაობა უძნელდებოდა ატალახიანებულ გზაზე, გაფუჭებულზე ჯარების მოძრაობით. ერთი მანქანა მცხეთაში მისვლამდე ჩაგვეფლა ტლაპოში და ჩვენ იძულებული გავხდით ყველანი მეორეში მოვთავსებულიყავით; მაგრამ ისიც დაზიანდა და კავთისხევამდე ძლივს მიგვიყვანა. წითელარმიელებს ძალიან ეუცხოებოდათ ჩვენი გარეგნობა, ვინაობას და სადმიმავლობას გვეკითხებოდნენ. ხანდახან მანდატების ჩვენება გვიხდებოდა, რათა შტაბის ოფიცერი დაგვემშვიდებინა.

კავთისხევში გლეხებს სოფლის მოედანზე მოეყარათ თავი. ისინიც ძალიან დაინტერესდნენ ჩვენი ვინაობით. ჩვენ ვუპასუხეთ, ახალი მთავრობის მიერ ძველ მთავრობასთან ვართ გაგზავნილი წინადადებით, რომ სისხლის ღვრა შეწყდეს და მშვიდობა დამყარდეს-თქო. როგორც ეტყობოდა, გლეხკაცობის თანაგრძნობა უკვე ახალ რეჟიმს ეკუთვნოდა და ჩვენმა პასუხმა მათში ეჭვი გამოიწვია. ჩვენ ბინა შემოგვთავაზა ადგილობრივმა თავადიშვილმა - თარხნიშვილმა. ღამით, როცა უკვე გვეძინა, მასთან ახლად გაკომუნისტებული გლეხები მოსულიყვნენ და ჩვენი გაღვიძება მოეთხოვათ, რათა, თუ საჭირო იქნებოდა, დავესაჯეთ. ჩვენს მასპინძელს ენერგიული წინააღმდეგობა გაეწია.

კავთისხევიდან მოძრაობა კიდევ უფრო გაგვიძნელდა. ჟორდანიას მთავრობის განკარგულებით მთელი სარკინიგზო შემადგენლობა დასავლეთ სა-

ქართველოში იყო გადატანილი. გვირაბს აქეთ არც ერთი ხეირიანი სამგზავრო ვაგონი არ მოიპოვებოდა. ჩვენ ხან ფეხით მივდიოდით ქვეითთა წითელარმიელების გვერდით, ხან ღია პლატფორმაზე ვსხდებოდით, ხან დრეზინაზე. ერთი თივით დატვირთულ პლატფორმას ღამით ცეცხლი გაუჩნდა და ჩვენ იძულებული გავხდით იქიდან საბარგო ვაგონში გადავმსხდარიყავით. ისიც სანახევროდ თივით იყო სავსე. ვაგონში ბნელოდა, იქ რამდენიმე წითელარმიელი იწვა. მათი საუბრიდან ჩანდა, რომ უმრავლესობას უპარტიოები შეადგენდნენ. ერთი პარტიელი წითელარმიელი მათს გათვითცნობიერებას ცდილობდა. უმტკიცებდა: კომუნისტების მთავარი მტრები დღეს კადეტები და თეთრგვარდიელები კი აღარ არიან, არამედ მენშევიკებიო, მაგრამ წითელი არმია მათ შავ ზღვას იქით გადარეკავს, და თუ საჭირო იქნა, დედამიწის დასალიერამდე განდევნისო. საერთოდ, რუს ჯარისკაცებს ეტყობოდათ, რომ პროპაგანდას მათში ერთგვარი გარდატეხა მოეხდინა. მათ თავი უფრო ღირსეულად ეჭირათ, ლანძღვა-გინების სიტყვები შედარებით იშვიათად გაისმოდა. როდესაც ერთხელ ჩვენს გვერდით ფურგონში მჯდომმა ჯარისკაცმა ცხენს შეაგინა, მეორემ უთხრა: - ამხანაგო, ცოტა უფრო ზრდილობიანი გამოთქმები იხმარე, ხომ ხედავ, ჩვენს გვერდით უცხო ადამიანები სხედან.

ქარელში თუ გომში ერთი გზად მიმავალი გლეხი შეჩერდა და რუსულად წამოიძახა: - ძირს სიმინდის რესპუბლიკა! - ვის დასცინის, თავის თავს? - იკითხა გაოცებულმა რუსმა ოფიცერმა. ქვიშხეთის და მისი მახლობელი მთების კალთები

ღრმა თოვლით იყო დაფარული. თუმცა უკვე მარტის თვე იდგა, მაინც საშინლად ციოდა. კაცს ეგონებოდა, დარიალის კარი ფართოდ გაიღო და ჩრდილოეთის უსაზღვრო სივრცეებიდან საქართველოში სუსხიანი ქარები შემოიჭრნენო. პირქუში პეიზაჟის დანახვაზე მომაგონდა ბედნიერი ზაფხულის დღეები, რომელნიც ჩემს ცოლ-შვილთან და მეგობრებთან ერთად ქვიშხეთში მქონდა გატარებული. ბევრი სასიამოვნო წუთები გამიტარებია დიმიტრი და კოტე ყიფიანის კაბინეტში, სადაც თაროებზე კარგად შერჩეული წიგნები ელაგა, შექსპირის, მოლიერის, ვოლტერის, რუსოს, შატობრიანის, ჰიუგოს თხზულებანი. შალვა ამირეჯიბმა და ვერიკო ანჯაფარიძემ ქვიშხეთის პატარა ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი და საქორწინო სუფრა ყიფიანების ეზოში გაიშალა. გიორგი ლასხიშვილსა, სპირიდონ კედიასა და სხვებთან ერთად ხშირად ვსტუმრებივარ ამ სოფლის თავისებურ კულტურტრეგერს ლევან ყიფიანს, რომელსაც თავისი ვაჟიშვილების დახმარებით მტკვრის რიყე წალკოტად ექცია და იქ ვენახი, ხეხილი და ბოსტანი გაეშენებინა. ლევან ყიფიანი კარგი მებადური იყო, ხოლო მისი ახალგაზრდა ქალიშვილი საუცხოოდ უკრავდა პიანინოზე. ახლად დაჭერილ ციმორს და შოპენის ნოქტიურნებს პოეზია შეჰქონდა ჩვენს პატარა ნადიმში. ახლა კი ბორჯომის ხეობიდან მხოლოდ ქვემეხების ხმა ისმოდა.

ლიხის სადგურში უძილო ღამე გავატარეთ შტაბის ოფიცრებთან, რომელნიც განუწყვეტლივ ტელეფონით განკარგულებას აძლევდნენ ფრონტს ან დეპეშებს გზავნიდნენ თბილისში. ერთმა ახალგაზრდა ოფიცერმა გვითხრა, წითელი არმიის ძალა

მის მონოლიტობაშიაო; რაც შეეხება ქართველ ჯარს, მას ძალიან კარგი მეთაური ჰყავს, მაგრამ ჯარისკაცთა შემადგენლობა არ უვარგაო; მე ვფიქრობ, ქართველ ხალხს არ სურს ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაო.

ქართველი ჯარის მთავარ ნაწილს უკვე ორისამი დღის წინათ გადაელახა სურამის უღელტეხილი, მხოლოდ მცირერიცხოვან ნაწილებს დაეხიათ ბორჯომის მიმართულებით. გათენებისას შტაბში შემოვიდა გათოშილი წითელარმიელი და განაცხადა, სადგური წიფა უკვე აღებულიაო. მას ჯილდოდ ერთი კილო შავი პური მისცეს. წითელი არმიის შტაბმა ვერ შესძლო კონტაქტი დაემყარებინა ქართველი ჯარის შტაბთან, რათა მისთვის ეცნობებინა, რომ თბილისიდან დელეგაცია მიდიოდა, და ჩვენ ვამჯობინეთ თბილისში დავბრუნებულიყავით.

საბჭოთა ხელისუფლებამ საჭიროდ სცნო მეორეჯერ გავმგზავრებულიყავით ნოე ჟორდანიას მთავრობასთან მოსალაპარაკებლად, და თან ერთი ახალგაზრდა რუსი ოფიცერი გაგვატანა. არც ეს მეორე მოგზაურობა აღმოჩნდა ადვილი. წითელ არმიას წინ თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ ეღობებოდა და ის ჩქარი ტემპით მიიწევდა ბათუმისაკენ, სადაც იმჟამად მთავრობა და დამფუძნებელი კრება იმყოფებოდნენ. დატყვევებულ ქართველ ჯარისკაცებს და გვარდიელებს წითელარმიელები იარაღს ჰყრიდნენ და დაუყოვნებლივ ათავისუფლებდნენ. ეს აძლიერებდა ქართული სამხედრო ძალის დეზორგანიზაციას. ასე რომ, როდესაც ქართველი ჯარი საჯავახოსთან შეჩერდა რიონის მარცხენა ნაპირას, ის დაახლოებით ასი ათა-

სი კაცისგან შესდგებოდა. ამას გარდა, ბათუმში სამი ათასი კაცი იდგა.

წითელი არმიის შტაბს ბათუმისთვის ეცნობებინა ჩვენი ჩასვლა და იქიდან მატარებელს ელოდა. ღამე წისქვილში გავათიეთ, სადაც მოხუცი მეწისქვილე შემწვარი კვახით და იზაბელას ღვინით გაგვიმასპინძლდა. შემოვიდა ვიღაც ახალგაზრდა გლეხი, კომუნისტური პარტიის ახალი ნერგი და ჩვენი ღარიბი ტრაპეზი გაიზიარა. გვიამბო, ორი დღის წინათ ტყეში შევედი წნელის მოსაჭრელად და იქ მოულოდნელად ქაჯს შევეყარეო. სრულიად ტიტველი იყო, ლამაზი ქალის სახე ჰქონდაო. ხშირი თმა გაეშალა, წალდი შემოვკარი, იწივლა და მიიმალაო.

ჯერ კიდევ კარგად გათენებული არ იყო, რომ ჩვენს მასპინძელს და ქაჯების შემმუსვრელ გლეხს გამოვეთხოვეთ და სადგურისაკენ გავწიეთ, სადაც ორი კვირის დამქანცველი წინ და უკან ხეტიალის შემდეგ პირველად ვიხილეთ რბილი სამგზავრო ვაგონი. შიგ დაგვხვდა ნოე ჟორდანიას მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელიც სრულიად მართებულად ერთ-ერთ ჭკვიან და განათლებულ ადამიანად ითვლებოდა ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის. მას თან ახლდა ჩემი სიყრმის მეგობარი დავით შარაშიძე. ის განსაკუთრებით ცივად შემხვდა.

ნოე ჟორდანიამ სალონ-ვაგონში მიგვიღო ბათუმის სადგურზე. სავარჯელში იჯდა, მუხლებზე რბილი პლედი ჰქონდა გადაფარებული. მის კეთილშობილ სახეს უფრო დაღლილობის ბეჭედი ესვა, ვიდრე ტანჯვისა. აშკარად ეტყობოდა, რომ სულიერად უკვე დასავლეთ ევროპაში იყო. მიხა-

კო წერეთელმა და მე მას მხოლოდ მოკლედ გავაცანით ლენინის პირვანდელი წინადადება, რომლის დასამტკიცებლად არავითარი წერილობითი საბუთი არ გვქონდა, და სიტყვა თედო ღლონტს დავუთმეთ. როდესაც ამ უკანასკნელმა თბილისის მდგომარეობაზე დაუწყო ლაპარაკი, მე ვაგონიდან გავედი. მარტის ჩვიდმეტს ნოე ჟორდანიას მთავრობა და დამფუძნებელი კრების დეპუტატთა ერთი ნაწილი, უმთავრესად სოციალ-დემოკრატები, საფრანგეთის თუ იტალიის გემით საზღვარგარეთ გაემგზავრა. მათ საფრანგეთის რესპუბლიკა შეჰპირდა, რომ თავშესაფარს მიცემდა. ორი-სამი დღის განმავლობაში ბათუმის ნავსადგური ემიგრანტების რამდენიმე ჯგუფმა დატოვა. მათი საერთო რიცხვი მაინც და მაინც დიდი არ იყო.

ამბობენ, ლენინს ძალიან ეწყინა, რომ ქართველმა ბოლშევიკებმა ვერ შესძლეს ნოე ჟორდანიას შეთანხმებოდნენ და ორჯონიკიძეს და ბუდუ მდივანს გულისწყრომით უთხრა, თქვენ სოციალიზმის საქმე დააზიანეთ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოშიო.

ჯერ კიდევ ჟორდანიას მთავრობა ბათუმიდან გასული არ იყო, რომ ქალაქში თურქების ჯარის ნაწილები შემოვიდნენ. ისინი თავდაპირველად წყნარად დადიოდნენ ქუჩებში, შემდეგ მოულოდნელად თავს დაესხნენ ფორტებს და რამდენიმე მათგანი დაიჭირეს. მაგრამ მედგარ წინააღმდეგობას წაანყდნენ ქართველი ჯარის მხრივ და დიდად დაზარალებულებმა ჯერ ფორტები დაცალეს, ხოლო შემდეგ ქალაქი დატოვეს. ამ ბრძოლაში წითელი არმიის ნაწილებს მონაწილეობა არ მიუღიათ. ცხადი იყო, მათ ნაბრძანები ჰქონდათ წინააღმდეგო-

ბა არ გაეწიათ თურქებისათვის, ვინაიდან ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად ბათუმი, ისევე, როგორც ყარსი, არტაანი და ართვინი თურქეთს უბრუნდებოდა. ბათუმი საქართველოს შეუნარჩუნა ისეთმა პატრიოტმა ოფიცრებმა, როგორიც იყვნენ ძმები პეტრე, ლადო და დავით ქარუმიძეები, გენერლებმა მაზნიაშვილმა, ფრიდონ წულუკიძემ, და რიგითმა ჯარისკაცებმა, განსაკუთრებით სტუდენტების წრეებიდან.

ამრიგად, ბათუმი, რომელიც საბჭოთა რუსეთმა თურქეთს ორჯერ გადასცა, პირველად ბრესტ-ლიტოვსკის ზავის, ხოლო მეორედ - ანკარის შეთანხმების ძალით, შენარჩუნებული იქნა რუსეთის წითელი არმიის მიერ დამარცხებული ჯარის წყალობით.

როგორც უნდა შეფასდეს საბოლოოდ ნოე ჟორდანიას მართველობა, უცილობელია, რომ მან ხელი შეუწყო ეროვნული მთლიანობის და თავისუფლების იდეების აღორძინებას. ეს იდეები კი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მიჩქმალული იყო ქართველი ერის შეგნებაში. შემოფარგლულ იქმნა საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრები, რომლებიც დღემდე არსებითად აღარ შეცვლილან. ქართველობას განუმტკიცდა რწმენა, რომ მას საკუთარი სახელმწიფოს შექმნა შეუძლია ურთულეს საერთაშორისო პირობებში.

VIII

საქართველოს საბჭოთა მთავრობა ერთხანს მერყეობდა კომპრომისის პოლიტიკასა და მკაცრ ღონისძიებებს შორის. საგანგებო კომისიამ პირველ წელსავე, სხვათა შორის, დააპატიმრა სამოც-

დაათამდე ქართველი ინტელიგენტი, უმთავრესად საბჭოთა რეჟიმის მოწინააღმდეგე პოლიტიკური მოღვაწეები. მათ მთავრობამ წინადადება მისცა უცხოეთში წასულიყვნენ, რაზედაც თითქმის ყველამ თანხმობა განაცხადა. მხოლოდ ორმა-სამმა კაცმა ამჯობინა სამშობლოში დარჩენილიყო, რაც შემდეგ სანანებლად გაუხდათ რეპრესიების გაძლიერების გამო. ამ რეპრესიებს თავდაპირველად ნაკლებ სისტემატური ხასიათი ჰქონდა და თითქო უფრო თავდაცვის ღონისძიებას ჰგავდა. შემდეგ ისინი უფრო მეთოდური გახდნენ და დაშინების საშუალებად იქცნენ.

ერთმა ჩეკისტმა, გვარად ობოლაძემ გურიაში მრავალი სოციალ-დემოკრატი გლეხი დააჭერინა და დაახვრეტინა. როდესაც ის დღისით ლეხოურიდან, სადაც მრავალ სახლს მისი განკარგულებით ცეცხლი ჰქონდა წაკიდებული, ასი შეიარაღებული მხედრის ამალითურთ ოზურგეთში ბრუნდებოდა, ეტლში შეუვარდა ყოფილი გვარდიელი გოგია ღლონტი, რომელიც ცოლით ტყეში იყო გავარდნილი, მოკლა ობოლაძეც და მის გვერდით მჯდომი ოფიცერიც, და უვნებლად მიიმალა. ამის საპასუხოდ საგანგებო კომისიამ დახვრიტა ოთხმოცამდე კაცი, უმთავრესად სოფლის მასწავლებლები, რომელთაც არც ობოლაძისა და არც ღლონტის სახელი და გვარები გაგონილი არ ჰქონდათ. ამ მკაცრმა ღონისძიებამ მართლაც, შეანელა მთავრობის საწინააღმდეგო ინდივიდუალური ტერორი.

ჩქარა, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თბილისში სტალინი ჩამოვიდა. ის გამოვიდა დახურულ მიტინგზე, რომელიც ნაძალადევის თეატრში

მოეწყო. აუდიტორია უმთავრესად, მუშებისაგან შედგებოდა. - ქართულად ვილაპარაკო, თუ რუსულად? - ეკითხა სტალინს. - რასაკვირველია, ქართულად, - დაეყვირათ ადგილებიდან, - განა არ იცი, სად იმყოფები? თავის სიტყვაში, რომელიც სტალინს ქართულად წარმოეთქვა, ცდილიყო გაემართლებინა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა საქართველოს რესპუბლიკის მიმართ. ჩვენ ჟორდანიას მთავრობას კავშირის დადება შევთავაზეთ, მაგრამ მან ჩვენს მეგობრობას კაპიტალისტური ევროპის მეგობრობა ამჯობინაო. მან დაახვრეტინა კომუნისტები ივანოვი და მარდალეიშვილი, ხოლო მრავალი კომუნისტი დააჭერინაო. ბოლოს, მან ჩრდილოეთ-კავკასიის მთიელების შეიარაღებულ რაზმებს სათავეში ქართველი ოფიცრები ჩაუყენა, ისინი ემუქრებოდნენ ჩვენს საკომუნიკაციო ხაზებს, რომლებიც ბაქოს ნავთის საბადოებთან გვაკავშირებდნენ. უნავთოდ არსებობა კი ჩვენ არ შეგვიძლიაო. ნავთის სოციალისტები! - დაეძახათ აუდიტორიიდან. - თქვენ ევროპელი და ამერიკელი კაპიტალისტები გიყვართ, ჩვენ კონცესიონერებს მოვიყვანთ საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრის საექსპლოატაციოდ, - განეგრძო სტალინს. - არ გენდობიან, - ეპასუხათ მსმენელებს. - თუ არ გვენდობიან, ჯანდაბას იქით ჰქონიათ გზა. - ეთქვა სტალინს.

სტალინის სიტყვის დასრულების შემდეგ რამდენიმე სოციალ-დემოკრატი გამოსულიყო, მათ შორის ყოფილი სახალხო გვარდიის შტაბის წევრი ალექსანდრე დგებუაძე, რომელსაც განსაკუთრებით მკაცრად გაეკრიტიკებინა იგი. სხვათა შორის მას დაედასტურებინა ივანოვის და მარდალე-

იშვილის დახვრეტის ფაქტი. ისინი გვარდიის შტაბში მსახურობდნენ და ცნობებს აწვდიდნენ წითელ არმიასო, განუცხადებია დგებუაძეს. - თქვენ როგორღა მოეპყრობოდით ასეთ ჯაშუშებსო, - ეკითხა სტალინისთვის.

სტალინის მოსკოვში დაბრუნებისთანავე დაიწყო სოციალ-დემოკრატი მუშების მასობრივი დაპატიმრება თბილისში.

ლენინი, როგორც ეტყობოდა, შეშფოთებული იყო იმის გამო, რომ ქართველი ბოლშევიკები სტალინის და ორჯონიკიძის მეთაურობით, შეუბრალებლად უსწორდებოდნენ ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ის მუდამ ახსენებდა თავის მიმდევრებს, რომ საქართველოში არ შეიძლებოდა იმავე მეთოდებით მუშაობა, რომელსაც რუსეთში იყენებდნენ. 1923 წლის 5 მარტს უკვე მძიმედ დაავადებული ლენინი პირადად ტროცკის სწერდზა: "გთხოვთ ცეკაში საქართველოს დაცვა იკისროთ. ახლა ის იმყოფება სტალინისა და ძერჟინსკის "დევნის" ქვეშ. მე კი არ შემიძლია მათს მიუდგომლობას ვენდო".

ცოტა ხნის შემდეგ საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლამ უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო. საქართველოში ფარულად ჩამოვიდნენ ნოე ჟორდანიას მთავრობის ყოფილი წევრები და ემისრები, ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი, ვალიკო ჯუღელი და სხვები; თბილისში შედგა ეგრეთ წოდებული პარიტეტული კომიტეტი, რომელშიც სოციალ-დემოკრატებსა და ნაციონალ-დემოკრატებს გარდა უპარტიო სამხედრო პირებიც შედიოდნენ. ამ კომიტეტის თავმჯდომარე, ძველი სოციალ-დემოკრატი კოტე ანდრონიკაშვილი პატი-

ოსანი, მაგრამ საკმაოდ უფერული პოლიტიკური მოღვაწე იყო ნოე ჟორდანიას ხელისუფლების დამხობამდე და, რასაკვირველია, ხელმძღვანელად ვეღარ გამოდგებოდა გართულებულ პოლიტიკურ ვითარებაში. კომიტეტის ერთ წევრს სოციალ-დემოკრატ დავით ონიაშვილს მე ლაიპციგის უნივერსიტეტიდან ვიცნობდი. მან ქართულად გადმოთარგმნა გოეთეს "ფაუსტი" და მარქსის "კაპიტალი". ეს იყო პოეტური ბუნების ადამიანი. არა მგონია, ოდესმე რევოლვერი სჭეროდეს ხელში.

უფრო მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურებს წარმოადგენდნენ ევროპიდან ჩამოსული ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი და ჯუღელი. ისინი ხალხში ხმას ავრცელებდნენ, საფრანგეთი და ინგლისი მზად არიან საქართველოს მხარი დაუჭირონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მხოლოდ ელიან, რომ თაოსნობა თვით ქართველმა ხალხმა გამოიჩინოს და აჯანყება დაიწყოსო. სამივენი დატუსაღებული იქნენ, სანამ აჯანყება დაიწყებოდა. ჯუღელი შედრკა და სატუსაღოდან წერილით მიმართა შეთქმულთ, სადაც ატყობინებდა, საბჭოთა მთავრობისთვის ცნობილი ყოფილა შეთქმულების ყოველი დეტალი და გირჩევთ თავი შეიკავოთო. ამ წერილმა, რომელიც გაზეთებში გამოქვეყნდა, დიდი არევ-დარევა და შეშფოთება შეიტანა შეთქმულთა რიგებში, ხოლო თვით ჯუღელს ვერაფერი უშველა. ის დახვრეტილი იქნა ნოე ხომერიკსა და ბენია ჩხიკვიშვილთან ერთად, რომელთაც უკან არ დაუხევიათ და, როგორც ამბობენ, ვაჟკაცურად შეხვდნენ სიკვდილს.

პარიტეტული კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციას ყოფილი ბოლშევიკი ნიკოლოზ ქარცივაძე მე-

თაურობდა. თუმცა ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მენშევიკების მხარეზე გადავიდა და ნოე ჟორდანიას მთავრობაში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ეტყობოდა სავსებით გათავისუფლებული არ იყო პირადი სიმპათიებისაგან, რომლებიც მას ახალგაზრდობის მეგობრებთან აკავშირებდა; აჯანყების დაწყებამდე მან საჭიროდ დაინახა მოლაპარაკება გაემართა სერგო ორჯონიკიძესთან. ამიერკავკასიის დიქტატორმა თავის ყოფილ ამხანაგს ქარცივაძეს ყურადღებით მოუსმინა თურმე თავის საკუთარ კაბინეტში, მაგრამ ფარულად ტელეფონით აცნობა საგანგებო კომისიას, რომ ის ქუჩაში გასვლისთანავე დაეტუსაღებინათ. ეს ერთგვარი საპატიო დატუსაღება იყო. ნიკოლოზ ქარცივაძე დახვრეტას გადარჩა და გათავისუფლებულ იქნა, მაგრამ საწამებელში ჩავარდა თავისი შეთქმული ამხანაგების დაღუპვის გამო. შემდეგ ის 1937 წელს ისევ დააპატიმრეს და დახვრიტეს. თავისი ზნეობრივი სიძლიერით და ვაჟკაცობით მან თურმე თავისი მოსამართლეების და დამსჯელების გაოცება და მოკრძალება გამოიწვია.

მიუხედავად მეთაურების დატუსაღებისა, 1924 წლის აგვისტოს აჯანყებამ საკმაოდ ფართო მასშტაბი მიიღო. განსაკუთრებით ძლიერი გამოსვლები მოხდა დასავლეთ საქართველოში, სადაც აჯანყებულებმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაატუსაღეს. რადგან საფრანგეთის და ინგლისის დახმარების იმედი ფუჭი აღმოჩნდა. პირველი დღეების აღტაცებას ამბოხებულთა რიგებში ჩქარა გულის გატეხა მოჰყვა და მოძრაობა განელდა. საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიებს ისეთივე სტიქიონური ხასიათი ჰქონდა, როგორც

ამბოხებულთა მოქმედებას. თუმცა ამ უკანასკნელთ ადგილობრივი ხელისუფლების წევრები არსად სიკვდილით არ' დაუსჯიათ და ისინი უვნებლად გამოვიდნენ სატუსაღოებიდან და თავლებიდან, დამსჯელი ექსპედიციები მკაცრად გაუსწორდნენ მოწინააღმდეგეებს. შედარებით ადვილად გადარჩა გურია, სადაც საქმეში ფილიპე მახარაძე ჩაერია. სამეგრელოში და ზემო იმერეთში, სადაც განსაკუთრებით ძლიერი გამოსვლები მოხდა, დიდძალი შეთქმული და არასაიმედო ელემენტი დახვრიტეს და გადაასახლეს.

აღმოსავლეთ საქართველოში საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობას ნაკლებ მასობრივი ხასიათი ჰქონდა. ამისდა მიუხედავად, განადგურებულ იქნა თითქმის მთელი ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა, მეტისმეტად დაღლილი და ინერტული, რათა რაიმე პოლიტიკურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მიეღო. დაიღუპა აგრეთვე, ქართველი ოფიცრობის დიდი უმრავლესობა, რომელიც ნაწილობრივ შეთქმულებაში იყო ჩაბმული, ან მას აშკარად თანაუგრძნობდა, ხოლო ნაწილობრივ ყოველივე პოლიტიკის გარეშე იდგა. პარიტეტული კომიტეტის და მისი სამხედრო ორგანიზაციის წევრები თითქმის გამოუკლებლივ დაატუსაღეს თბილისში და შიო მღვიმის მონასტერში გამოკეტეს. ილია ჭავჭავაძის დისწული, ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის ყოფილი მარშალი კოტე აფხაზი, რომელიც სამხედრო ორგანიზაციას მეთაურობდა ნიკოლოზ ქარცივაძის გვერდით, ჯერ კიდევ აჯანყების დაწყებამდე დაატუსაღეს. დაკითხვის დროს მან თურმე რაინდულად აღიარა, საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ვმუშაობდი და არ-

ასოდეს მას არ შევურიგდებიო. ის დაუყოვნებლივ დახვრიტეს 23 სხვა შეთქმულთან ერთად.

საერთოდ, შეთქმულებმა მეტი რომანტიზმი გამოიჩინეს, ვიდრე საღი პოლიტიკური გონიერება. ამ რომანტიზმის განსახიერებას წარმოადგენდა კახელ აჯანყებულთა ბელადი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, სახელოვანი ბიძინა ჩოლოყაშვილის შთამომავალი; ის დიდხანს აწარმოებდა ვაუკაცურ ბრძოლას საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, შემდეგ კი, როდესაც დარწმუნდა, რომ მის პარტიზანულ მოქმედებებს არავითარი პერსპექტივა არ ჰქონდა, თავისი რაზმით თურქეთში გადავიდა, ხოლო იქიდან პარიზში.

პარიტეტული კომიტეტიდან დატუსაღებას მხოლოდ ჩემი ცოლისძმა, ნაციონალ-დემოკრატი შალვა ამირეჯიბი გადარჩა. ის უფრო თამამად დადიოდა თბილისის ქუჩებში და უფრო ნაკლებად იწვევდა ჩეკისტების ეჭვს, ვიდრე წვერ-ულვაშ შეღებილი და შავსათვალიანი შეთქმულები. მაგრამ ეტყობოდა, გამოცდილი კონსპირატორი არ იყო. ალბათ, თავის ამხანაგებს იმავე ბინაზე ხვდებოდა, სადაც თვითონ ღამეს ათევდა, და ამიტომ ბოლოს საგანგებო კომისიამ მიაგნო მის კვალს, თუმცა მისი დატუსაღება მაინც ვერ შესძლო.

ერთხელ სადილობის დროს ძლიერი დაკაკუნების ხმა მომესმა და კარი გავაღე. ბინაში შემოვარდა ოთხი თუ ხუთი რევოლვერამოღებული ჩეკისტი, რომელმაც გარუსებული გერმანელი ვინმე მიკი ხელმძღვანელობდა. მათ ცალკე ოთახში შემიყვანეს, გარს შემომისხდნენ და დაკითხვა დამიწყეს: სად იმყოფება ამჟამად შალვა ამირეჯიბი, როდის გაათია ღამე ჩემს ბინაში უკანასკნელად, მაქვს თუ

არა მისი სურათი და სხვ. შალვა ამირეჯიბის სადმყოფელობის შესახებ მე არავითარი ცნობის მიცემა არ შემეძლო, თუნდაც ამის სურვილი მქონოდა; მისი სურათი კი ვერ აღმოაჩინეს ჩემს კოლექციაში. ჩეკისტებმა გულდასმით გაჩხრიკეს, როგორც ჩემი, ისე ჩემს მეზობლად მცხოვრები ჩემი ძმის ბინა, მეორე დილამდე გააჩერეს ყველა სტუმარი, ვინც კი იმ საღამოს კარზე დამიკაკუნა, და იძულებული გახდნენ ხელცარიელი წასულიყვნენ. მხოლოდ ხელწერილი ჩამომართვეს, რომ თბილისიდან არსად წავიდოდი. ამის შემდეგ შალვა ამირეჯიბი რამდენჯერმე თითქმის მოემწყვდიათ თბილისში და პროვინციაში, მაგრამ ყოველთვის მათ გასხლტომოდა ბედნიერი შემთხვევის წყალობით.

შალვა ამირეჯიბი მთლიანი ბუნების, უკომპრომისო ზნეობის ადამიანი იყო. მისი ფელეტონები დიდ გემოვნებას და გონებამახვილობას მოწმობდნენ. როგორც პოეტი, დაგვიანებულ რომანტიკოსად უნდა ჩაითვალოს. მან გამოაქვეყნა ლირიკული ლექსების პატარა კრებული "მინანქრები": ესაა სიზმრებისა და აჩრდილების პოეზია, საიდანაც თვით ავტორის მეგობარი მიხაკო წერეთელი, თვით მისი ცოლი ვერიკო ანჯაფარიძე უფრო მომხიბლავ მოჩვენებებს ჰგვანან, ვიდრე რეალურ არსებებს. მით უფრო ეს ითქმის მის მიერ ასახულ პატარა კახსა და საშუალო საუკუნეების ჯავშნოსან რაინდებზე და მათ სატრფოებზე.

უბედურმა სიყვარულმა შალვა ამირეჯიბი იძულებული გახადა პოლიტიკურ მუშაობაში ეძებნა თავდავიწყება. მაგრამ შეეძლო თუ არა თანამედროვე რთულ პოლიტიკურ ვითარებაში გარკვეულიყო?

IX

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მე ერთხანს უმუშევრად დავრჩი. ერთხელ, ჩემმა მეგობარმა ალექსანდრე არაბიძემ, რომელიც ქართული წიგნის დიდი პატრიოტი და გამომცემლობის საქმის კარგი მცოდნე იყო, მითხრა, ჩვენ, ორივეს, სახელმწიფო გამომცემლობაში გვიწვევენ სამუშაოდო. სამწუხაროდ ეს არ გამართლდა: იქ ჩქარა დირექტორად გაკრეჭილი რუსი მღვდელი იონა ბრიხნიჩევი დანიშნეს. მას, ალბათ, რევოლუციურ სტაჟში ჩაუთვალეს ის, რომ 1905 წელს თბილისში უშვებდა მეტისმეტი ბუნდოვანი შინაარსის რუსულ გაზეთს "აღსდექ, მძინარევ!", შესაფერისს ოპოზიციურად განწყობილი ხუცების და დიაკვნებისათვის.

იონა ბრიხნიჩევი გამომცემლობის დირექტორის პოსტზე შეცვალა სომეხმა კომუნისტმა ვირაპმა, რომელსაც თავისი წინამორბედის წინაშე ის უდავო უპირატესობა ჰქონდა, რომ შოთა რუსთაველის სახელი გაეგონა და დროდადრო რესტორანში სადილობდა ნაცნობ ცისფერყანწელ პოეტებთან ერთად. მაგრამ, რასაკვირველია, მას წარმოდგენა არ ჰქონდა იმჟამად თბილისში მცხოვრებ შიო არაგვისპირელსა, დავით კლდიაშვილსა და ვასილ ბარნოვზე.

ერთხელ უწყება მომიტანეს: მიწათმოქმედების კომისარი სილიბისტრო თოდრია მოსალაპარაკებლად მიბარებდა. როგორც კი მის კაბინეტში შევედი, მითხრა: - თქვენ რაიმე სამუშაოს უნდა მოჰკიდოთ ხელი. სად? - ვკითხე მე. - თუნდაც აქ, მიწათმოქმედების კომისარიატში, ჩემი მოადგილის პოსტზე.

- ჰო, მაგრამ მე არც განათლება, არც ინტერესი, არც პოლიტიკური სტაჟი ხელს არ მიწყობს ასეთი თანამდებობა მივიღო. - არა უშავს რა, - მიპასუხა თოდრიამ, - პოლიტიკურ საკითხებს, კერძოდ აგრარული რეფორმის ჩატარებას მე გავუძღვები. თქვენ, როგორც უპარტიოს, მხოლოდ კომისარიატის შინაგანი საქმეების გაძღოლა გეკისრებათ.

თოდრიას ორი კვირის ვადა ვთხოვე მოსაფიქრებლად, და უნდა ვაღიარო, რომ შემდეგ დიდად ვინანე, რად დავთანხმდი-მეთქი. მიწათმოქმედების კომისარიატში თითქმის წელიწადნახევარი გავატარე და ეს ყველაზე არასასიამოვნო ხანაა ჩემს ცხოვრებაში. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ თანამდებობის მიღებაზე უარის თქმა საბოტაჟად ჩამეთვლებოდა, ეს კი ყველაზე მძიმე ბრალდება იყო გასაბჭოების პირველ წლებში.

სილიბისტრო თოდრია ძველი ბოლშევიკი იყო, დიდად უანგარო და პრინციპული კაცი, მაგრამ არც სტამბაში, სადაც დიდხანს ასოთამწყობად ემუშავა, არც იატაკქვეშ მას არ შეეძლო შეეძინა გამოცდილება და ცოდნა, რომელიც საჭირო იყო ასეთი პასუხსაგები საქმის გასაძღოლად. ის შემწყნარებლობიდან ადვილად გადადიოდა ფანატიზმზე, და ხან მრისხანების შეტევას ემორჩილებოდა, ხან გულკეთილობისა. ძალიან ეჭვიანი იყო და ყოველი სოფლიდან გამოძევებული აზნაური ჩემს პირად მეგობრად მიაჩნდა. საერთოდ, პოლიტიკურად არ მენდობოდა, ამიტომ ცდილობდა მუდამ თავისი მეთვალყურეობის ქვეშ ვყოლოდი და მის მახლობლად ვმჯდარიყავი, მისი საწერი მაგიდის გვერდით, რომელსაც ის თავისი ბიბლიური ჭაღარა წვერით ფარავდა.

აგრარული რეფორმა, ან უკეთ რომ ვთქვათ, აგრარული რევოლუცია საქართველოშიც ისევე, სტიქიონურად ხდებოდა, როგორც რუსეთში მოხდა. მასში სილიბისტრო თოდრია და, მით უმეტეს მე, ვერავითარ მნიშვნელოვან როლს ვერ შევასრულებდით. ნახევრად სტიქიონურად ხდებოდა თბილისის სახელმწიფო სარდაფის მდიდარი კოლექციის გატაცება. მის დაცვაში თოდრიას და მე ცოტაოდენი დამსახურება მიგვიძღვის. ჩვენ შევეცადეთ აგრეთვე, ძველი სპეციალისტები აღგვედგინა და დაგვეცვა უმართებულო თავდასხმებისაგან. ბოლოს, რუსეთში გავატანინეთ დიდძალი ღვინო, რომელიც საქართველოს სახელმწიფო სარდაფებში დაგროვდა და ხელს უშლიდა ახალი მოსავლის მიღებას და დამუშავებას. მაგრამ, საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩემი შეფი და მე მიწათმოქმედების კომისარიატში საკმაოდ პარადოქსულ შთაბეჭდილებას ვახდენდით.

ცენტრალურ კომიტეტში და კომისართა საბჭოში არ მოსწონდათ, რომ მე იქ არ დავდიოდი ინსტრუქციების მისაღებად. ჩემთვის უფრო სახიფათო იყო ამიერ-კავკასიის დიქტატორის სერგო ორჯონიკიძის გამოლაშქრება "ზარია ვოსტოკას" ფურცლებზე. ბრალს მდებდა, თითქო აგრარულ რეფორმას ხელს ვუშლიდი და მამულებს ვურიგებდი ჩემს პარიზელ მეგობრებს. ამას გარდა, იმავე წერილში ამტკიცებდა, ქართველი ინტელიგენტები სხვა ტაქტიკას იყენებენ, ვიდრე რუსები, ისინი ცდილობენ საბჭოთა რეჟიმს შიგნიდან გამოუთხარონ საძირკველიო. მაგრამ, საერთოდ სერგო ორჯონიკიძის შემოტევას არავითარი სერიოზული შედეგი არ მოჰყოლია ჩემთვის. მართალია, იმ

დღეებში შევატყე, რომ რამდენიმე საიდუმლო აგენტი მითვალთვალებდა, მათ შორის საღამოობით ერთი მიცვალებულის ნილაბაფარებული დედაკაციც ჩნდებოდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თავი დამანებეს. მხოლოდ მე, რასაკვირველია, საბოლოოდ გამოვეთხოვე მიწათმოქმედების მერყევ სავარძელს.

სერგო ორჯონიკიძე საერთოდ მოკლებული იყო წვრილმანი შურისძიების გრძნობას. მას ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა საქართველოს ეროვნულ კულტურაზე. რადგან ამა თუ იმ ერის ღირებულებას იმისდა მიხედვით აფასებდა, თუ რამდენად ვრცელი ტერიტორია ეჭირა მას, ამიერ-კავკასიის პატარა რესპუბლიკები და მათ შორის საქართველო, დიდი რუსეთის ნაკლებ მნიშვნელოვან პერიფერიებად მიაჩნდა.

სერგო ორჯონიკიძე მოკლებული არ იყო ირონიულ ჭკუას. ერთხელ მისთვის წარედგინათ სია, სადაც ჩამოთვლილი ყოფილიყო საკავშირო აკადემიის ქართული ფილიალის სასურველი კანდიდატები. სერგო ორჯონიკიძეს დიდი ყურადღებით გადაეკითხა ეს სია და ეთქვა, მიუღებლად მიმაჩნიაო. - რად მიგაჩნიათ მიუღებლად, - ეკითხა შემცბარ მომხსენებელს. - ჩემი ძმა პაპულია აკლიაო, - ეპასუხნა სერგო ორჯონიკიძეს. ეს პაპულია იმ დროს რკინიგზის სამმართველოში მსახურობდა. მომხსენებელს ირონია ვერ გაეგო და მოკრძალებით ეთქვა, არა უშავს რა, ეს სია საბოლოო არაა, შეიძლება მისი შევსებაო.

აკადემიის ფილიალი თბილისში მოგვიანებით მაინც დაარსდა და მას თავდაპირველად ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა. შემდეგ ეს ფილიალი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიად გადაკეთდა. ამ დროს არც სერგო ორჯონიკიძე იყო ცოცხალი, არც მისი ძმა. ამიტომ, როცა საქართველოს აკადემიამ რამდენიმე წლის არსებობის შემდეგ თავისი შევსება განიზრახა, ზოგიერთ აკადემიკოსს, ბიზანტიური სერვილიზმის კარნახით, აზრი დაებადა საპატიო წევრად ლავრენტი ბერია დაესახელებინა. უეჭველია, ამ კანდიდატურის წამოსაყენებლად ქართველმა აკადემიკოსებმა საკმაოდ მიიჩნიეს იმ დროს ფართოდ გავრცელებული ბროშურა "ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის ისტორიისათვის". მაგრამ, როგორც ეტყობა, უმაღლეს ოფიციალურ წრეებში უხერხულად სცნეს ამ აზრის განხორციელება. ამიტომ ლავრენტი ბერიას თავზე აკადემიკოსის ჩაჩი არ ეხურება, როდესაც საიქიოს სამსჯავროში წარსდგება, რათა იქ პასუხი აგოს ზემოხსენებული ბროშურის ნამდვილი ავტორის, მის მიერ დახვრეტილი ერიკ ბედიას წინაშე.

სილიბისტრო თოდრიას რამდენიმე დღით ჩემზე ადრე დაატოვებინეს მინათმოქმედების კომისარიატი: მას ბრალად დასდეს, რომ შინაპარტიული ერესისკენ გადაიხარა თავის მეგობარ ფილიპე მახარაძესთან ერთად. თოდრია თავის თავს დიდ ჰუმორისტ მწერლად თვლიდა და ერთხანს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პოსტზე მუშაობდა. იმ დროს საქართველოში ფრანგი მწერალი ანრი ბარბიუსი ჩამოვიდა. "ცეცხლის" ავტორს უნდოდა უფრო დაახლოებით გასცნობოდა საბჭოთა საქართველოს მდგომარეობას დაპასუხი გაეცა ევროპელი სოციალისტებისთვის, რომელნიც ამტკიცებდნენ, კომუნისტებმა ეს ქვეყანა უფსკრულის პირას მიიყვანესო.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ბარბიუსმა სურვილი გამოთქვა მესხეთში წასულიყო ვარძიის და სხვა ისტორიული ძეგლების გასაცნობად. მას სილიბისტრო თოდრია გაჰყვა. არ ვიცი რა კონსულტაცია გაუწია მან ფრანგ რომანისტსა და პუბლიცისტს, მხოლოდ უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელის ნაშრომი საქართველოზე არ ბრნყინავს, არც ცნობების სიუხვით და არც ანალიზის სიღრმით, და არავითარ შემთხვევაში პოლიტიკური პუბლიცისტიკის შედევრად არ ჩაითვლება.

მგონია, ცოტა ამაზე ადრე იყო, რომ ფილიპე მახარაძემ ცნობილი ჟურნალისტი ილიკო ნაკაშიძე და მე მიმიწვია თავის კაბინეტში. მან გვითხრა, რომ კომუნისტური პარტია დიდად აფასებს ინტელიგენციას, კერძოდ, ქართველ ინტელიგენციას და სურს მჭიდრო კონტაქტი იქონიოს მასთანო. ის ელის, რომ ქართველი ინტელიგენცია, თავის მხრით, დააფასებს საბჭოთა მთავრობის და პარტიის გულისხმიერებას და უფრო აქტიურად ჩაებმევა ახალი ცხოვრების მშენებლობაშიო. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ რამდენადაც ვიცით, ქართველი ინტელიგენცია, შეიძლება მცირეოდენის გამოკლებით, ყოველთვის მზად იყო და ახლაც მზადაა საბჭოთა ხელისუფლებასთან ითანამშრომლოს, მხოლოდ მას აფრთხობს მთავრობის რეპრესიები, რომლებიც ხშირად სრულიად სტიქიონური ხასიათისაა და უაზრო შურისძიებას ჰგავს. მას აფრთხობს, აგრეთვე, ღონისძიებები, რომლებიც ბღალავენ ეროვნულ თავმოყვარეობას. ფილიპე მახარაძემ გულდამშვიდებით მოგვისმინა, მაგრამ საერთოდ ჩვენს საუბარს არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

X

როდესაც ლენინმა 1917 წლის აპრილის თეზისებში კაცობრიობას აუწყა, რომ სოციალისტური ეპოქა იწყებოდა, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სოციალისტური საზოგადოების შენება დაიწყო, მან შეშფოთება და ყოყმანი გამოიწვია თავის მიმდევრების ზოგიერთ წრეში. რაც შეეხებოდა მის მოწინააღმდეგეებს სოციალისტური და ბურჟუაზიული ბანაკებიდან, ისინი აცხადებდნენ, ლენინმა მარქსიზმს უღალატა ყველაზე პრინციპულ საკითხში, მან დაუთმო რუს ნაროდნიკებს, რომელთა წინააღმდეგ მანამდე შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდაო.

თვით ლენინს, უეჭველია, იმედი ჰქონდა, რომ ოქტომბრის რევოლუცია ბიძგს მისცემდა დასავლეთის მუშათა კლასს და ამრიგად ის მოწმე გახდებოდა ძველი ბურჟუაზიული ევროპის დედაბოძების შერყევისა და დამხობისა.

საბჭოთა ყრილობაზე პეტერბურგში ის ამბობდა: "ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩქარა ყველა მეომარ სახელმწიფოებში რევოლუცია იფეთქებს. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით დაჟინებით მივმართავთ ფრანგ, გერმანელ და ინგლისელ მუშებს... ოქტომბრის რევოლუცია სოციალისტური რევოლუციების ერას ხსნის... მუშათა მოძრაობა მშვიდობიანობის და სოციალიზმის სახელით გამარჯვებას მიაღწევს და თავის დანიშნულებას შეასრულებს".

როდესაც ლენინს იმედები არ გაუმართლდა, როდესაც ბერლინელი სპარტაკელების აჯანყება დამარცხდა, მიუნხენის, უნგრეთის საბჭოთა ხელი-

სუფლება ხანმოკლე არსებობის შემდეგ დაემხო, ხოლო საფრანგეთისა და ინგლისის მუშათა კლასმა საერთოდ ზომიერება გამოიჩინა, მან გადაწყვიტა ერთგვარი სტრატეგიული უკან დახევა მოეხდინა: ეს იყო ნეპის, ესე იგი ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისი.

ამ უკანდახევამ, რომლის პოლიტიკურად და ზნეობრივად გამართლება ადვილი არ იყო სამოქალაქო ომში გაღებული უზარმაზარი მსხვერპლის შემდეგ, შეიძლება არანაკლებ დააზიანა ლენინის ჯანმრთელობა, ვიდრე კაპლანის ქალის ტყვიამ. მაგრამ სანამ გარდაიცვლებოდა, ლენინმა თავის მიმდევრებს უჩვენა გზა, რომლის შემწეობით მათ შეეძლოთ უკანდახევა შეეჩერებინათ და ხელახლა შეტევაზე გადასულიყვნენ. მან განაცხადა, კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება ელექტროფიკაციის დამატებითო. მაშასადამე სოციალიზმის განვითარება თვით ჩამორჩენილ და მტრების მიერ გარემოცულ რუსეთში უზრუნველყოფილი იქნებოდა, თუ საბჭოთა ხელისუფლება მოახერხებდა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განახლება და გაფართოება მოეხდინა ელექტროფიკაციის საფუძველზე.

ლენინის სიკვდილი არავისთვის არ ყოფილა მოულოდნელი: ყველა გრძნობდა, რომ ის თანდათან იფერფლებოდა გორკაში. გასაგები იყო, რომ დაღლილი იყო ცხოვრების მძიმე პირობებით, ციმბირის ეტაპებით, პარტიული ბრძოლებისგან გამოწვეული მღელვარებით, შეუჩერებელი გონებრივი შრომით, ბოლოს, ახალი სახელმწიფოს მშენებლობით და სამოქალაქო ომის ცვალებადი პერიპეტიებით.

თბილისმა დამშვიდებით მიიღო ლენინის გარდაცვალების ცნობა; კოტე მარჯანიშვილმა ღამით ქალაქის ჩაბნელებულ ქუჩებში მონუმენტური ლამპრობა მოაწყო: მდუმარე ხალხი, ჩირაღდნებით აღჭურვილი, ნელი ნაბიჯით მოძრაობდა და ერთი მრავალთავიანი იდუმალი არსების შთაბეჭდილებას ახდენდა. შენობათა ნიშებში შავარშიაშემოვლებული ელექტრომაშუქები ქვემოდან ანათებდნენ ბელადის თეთრ ბიუსტებს და მათ რაღაც მისტიკურ ელფერს აძლევდნენ.

ნეპის ეპოქაში საბჭოთა კავშირის ეკონომიური ცხოვრება გაცხოველდა, მაგრამ ამასთანავე ავადმყოფურმა მოვლენებმა იჩინეს თავი. სპეკულაციის ციებ-ცხელება ფართო საზოგადოებრივ წრეებს მოედო; ნაწილობრივ, თვით მუშები და გლეხები გამოვიდნენ ბაზარში და ყოფილი სოვდაგრების და მედუქნეების რიგებს შეუერთდნენ; შავ ბირჟაზე საზღვარგარეთის ვალუტა გაჩნდა. უცხოეთიდან ნამდვილი და ყალბი კომერსანტები ჩამოვიდნენ. ბევრმა წარმოიდგინა, რომ სრულიად იოლი გზით კაცს შეეძლო საბჭოთა როკფელერი გამხდარიყო. ქუჩების მიფარებულ კუთხეებში კომერციული გარიგებები ხდებოდა და ხელშეკრულებები იდებოდა, მთელი ვაგონობით ფანტაზიაში არსებული საქონელი იყიდებოდა, რაღაც ზღაპრული სიმდიდრეები იქმნებოდა და ნადგურდებოდა.

ამ გრანდზიოზულ აღებმიცემობაში ქალებიც იყვნენ ჩაბმული: ისინი თავიანთ პარტნიორებს რესტორნებსა და ყავახანებში უნიშნავდნენ პაემნებს, რათა შემდეგ ფინანსური გარიგება საწოლ ოთახში დაესრულებინათ. მაგრამ ხშირად ირკვეოდა, რომ ქალ-ვაჟის მთელი სიმდიდრე რომელიმე გავ-

ლენიანი ხელისუფალის შეპირებაზე იყო დამყარებული და არსებითად ნახევრად დამჭკნარ სილამაზესა და ნაცრისფერი კოვერკოტის პალტოში მდგომარეობდა. ბოლოს, მიჯნურები ხშირად სატუსაღოში მიდიოდნენ, ვინაიდან ირკვეოდა, რომ მათი ოფიციალური მფარველები ემხობოდნენ, ან რაიმე მიზეზის გამო ვერ ანაღდებდნენ თავიანთ დაპირებას.

ამ ბაკქანალიამ მრავალი სასარგებლო ადამიანიც იმსხვერპლა. 1934 წელს გამოქვეყნდა საშინელი კანონი ეგრეთ წოდებული ეკონომიური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, რომელსაც უკუქცევითი მოქმედების ძალა ჰქონდა. ამ კანონის მიხედვით ბოროტმოქმედებად გამოცხადდა ბევრი რამ, რაც წინათ ნებადართული იყო. მაგრამ ნეპის პოლიტიკას არსებითად უფრო ადრე მოეღო ბოლო, სახელდობრ, როდესაც სტალინი ახალ შეტევაზე გადავიდა სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის და ხუთწლედების დეკლარაციით.

ნეპის ეპოქა ახლად დასრულებული იყო, როდესაც მოსკოვი პირველად ვინახულე. მის გარეუბნებს მაშინ ჯერ კიდევ ძლიერ სოფლური იერი ჰქონდა. თვით ცენტრალურ ქუჩებსა და მოედნებზე რუსული ამპირის და ეკლექტიკური სტილის ქვის შენობების გვერდით ძველი რუსული სტილის ხის შენობები იდგა. იტალიელი ოსტატების მიერ აგებული კრემლის გალავანი და კოშკები დიდ კონტრასტს წარმოადგენდნენ ხახვისთავიანი ეკლესიების გვერდით; მინინისა და პოჟარსკის ანტიკური ფიგურები პარადოქსულ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ნეტარი ვასილის ტაძარსა და ისტორიული მუზეუმის შენობას შორის. უცხოელ მნახველს ეგ-

ონებოდა, ამ ქალაქში რამდენიმე სხვადასხვა ტომს უცხოვრია შვიდი-რვა საუკუნის მანძილზეო. ამას ზედ ერთვოდა დამღლელი ფუსფუსი, პრეტენზიული კომფორტი ყოფა-ცხოვრების მოუწესრიგებლობის გვერდით. შემდეგში მოსკოვი უფრო კეთილმოწყობილი გახდა, მაგრამ ბევრი არაფერი შეუძენია მთლიანობის თვალსაზრისით.

1934 წელს მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობას დავესწარი მოსკოვში. ყრილობა გახსნა მაქსიმ გორკიმ, რომელიც თავის შესავალ სიტყვაში შეეცადა მთელი კაცობრიობის კულტურის ისტორია მოეხაზა, გამოქვაბულის ადამიანიდან დაწყებული საბჭოთა წესწყობილების დამყარებამდე. მაგრამ მან თითქმის ვერაფერი თქვა ახალი სოციალისტური ხელოვნების განვითარების გზებზე.

საქართველოს დელეგაციას მალაქია ტოროშელიძე მეთაურობდა. ის ჯერ კიდევ თბილისის სემინარიიდან იცნობდა სტალინს. ყრილობის დაწყებამდე ერთი თვით ადრე მისულიყო მასთან და ეკითხა, რა ხასიათი მივცე ჩემს მოხსენებას, ძველ ქართულ ლიტერატურაზე ვილაპარაკო, თუ მარტო თანამედროვეზეო. - რასაკვირველია, ძველზეც, - უპასუხა თურმე სტალინმა. - რუსთაველზეც, ბარათაშვილზეც, ილიასა და აკაკიზეც? - ყველაზე, მხოლოდ ამათ გარდა, ყაზბეგზე, ვაჟა-ფშაველაზე, თვით ნიჭიერ ჰუმორისტებზე "ეშმაკზე" (ნესტორ კალანდაძე) და თაგუნაზეც (შალვა შარაშიძე).

მალაქია ტოროშელიძემ ყრილობაზე წაიკითხა ვრცელი მოხსენება, რომელიც ორ საათს გაგრძელდა. მან განაცხადა, რუსთაველი უფრო დიდი პოეტი იყო, ვიდრე პუშკინიო, რითაც უკმაყოფილება გამოიწვია რუს მწერლებში; სანახევროდ ან-

ექსია უყო "პეპოს" ავტორს გაბრიელ სუნდუკიანცს, რითაც გააოცა და ააშლოთა სომხეთის დელეგაცია. მაგრამ ყველა დარწმუნებული იყო, ქართველი მომხსენებლის უკან საბჭოთა კავშირის ბელადი დგასო, და ამიტომ ვერავინ ვერ გაბედა თავისი უკმაყოფილება აშკარად გამოეთქვა.

ყრილობაზე უცხოელი მწერლებიც იყვნენ მოწვეულნი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფრანგების დელეგაცია; მას მეთაურობდა ანდრე მალრო, რომელიც შემდეგ ეგრეთ წოდებული ატლანტიკური კულტურის აპოლოგეტი გახდა. უცხოელ სტუმრებს ძალიან ულოლიავებდნენ, შუამავლის როლს ილია ერენბურგი ასრულებდა. რომელიღაც ევროპელმა მწერალმა თავის სიტყვაში გაოცება გამოთქვა იმის გამო, რომ რუსი მწერლები ასე ჰგავდნენ ერთმანეთს, როგორც თავიანთი გარეგნობით, ისე საჯარო გამოსვლებით და შემოქმედებით. სტუმრები აგრეთვე გაოცებული იყვნენ, როდესაც სხდომის დროს დარბაზში მოულოდნელად თაიგულებით აღჭურვილი პიონერები შემოდიოდნენ, მუშები პრეზიდიუმის მაგიდაზე თავიანთ ხელსაწყოებს ალაგებდნენ, წითელარმიელები თითბრის ინსტრუმენტებს უკრავდნენ, ხოლო უნივერსალურ კომკავშირლები მწერლებს სხვადასხვა კრიტიკულ შენიშვნებს უკეთებდნენ და დარიგებას აძლევდნენ. გარეთ, ქუჩაში ყოველთვის ხალხი იდგა და თავისი ნაცნობი და უცნობი მწერლების გამოსვლას ელოდა.

ყრილობის დასასრულს სიტყვები წარმოთქვეს პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, ჟდანოვმა, ბუხარინმა, რადეკმა. მაგრამ ჩემს მეხსიერებაში განსაკუთრებით აღიბეჭდა ვიქტორ შკლოვსკის მოკლე გამოსვ-

ლა: მან საბჭოთა ჰუმანიზმისკენ მოგვიწოდა. იყო რაღაც ახალი, მაგრამ გაუბედავი ამ მოწოდებაში. რასაკვირველია, მას არ შეიძლებოდა რაიმე გამოხმაურება, ან მით უმეტეს, პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონოდა იმ წლებში, როდესაც მოსკოვში ადამიანის ბედს იაგოდა განაგებდა, ხოლო თბილისში ბერია.

XI

ლავრენტი ბერიას აღმავლობა ნეპის პერიოდში დაიწყო. ეს ადვილი გასაგებია. ძველი პარტიული გვარდიის რიგები, რომელთაც ვერ შეძლეს იდეური გადაიარაღება, შეთხელდნენ. ლენინის თანამებრძოლნი საეჭვოდ იქნენ გამოცხადებულნი მარჯვნივ ან მარცხნივ გადახრისკენ. მყარდებოდა სტალინის ერთპიროვნული დიქტატურა. ცხადდებოდა, რომ აზროვნება მის პრივილეგიას წარმოადგენდა. ძველი პარტიული ვეტერანების წინაშე ბერიას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ სრულიად თავისუფალი იყო ყოველგვარი მწიგნობრული დოგმებისა და სინდისის ქენჯნისაგან. მან ინსტინქტურად სწორად განსაჯა, რომ მისი კარიერისათვის უმჯობესი იყო ბელადის კეთილგანწყობილება მოეპოვებინა, ვიდრე ერკვია, რამდენად შეესაბამებოდა ენგელსის "ანტიდიურინგის" და მარქსის "კაპიტალის" სამი ტომის იდეებს ერთს განცალკევებულ ქვეყანაში სოციალიზმის დამყარების ცდა. და თავისი კარიერისთვის მან ოსტატურად გამოიყენა სტალინის პატივმოყვარეობის და იჭვიანობის გრძნობები.

პოლიტიკური მუშაობა ბერიამ ბაქოში დაიწყო

ჯერ კიდევ აზერბაიჯანის გასაბჭოებამდე, რომელიღაც დაბალი ტექნიკური სასწავლებლის დასრულების შემდეგ. მისი მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ, იქ ის ორმაგ როლს ასრულებდა, ნაციონალისტურ პარტიას, მუსავატსაც ემსახურებოდა და ბოლშევიკების ორგანიზაციასაცო. ბაქოს გასაბჭოების შემდეგ ბერია დატუსაღებულ იქნა საგანგებო კომისიის მიერ, მაგრამ ჩქარა გათავისუფლდა და აზერბაიჯანის დიქტატორის ბაგიროვის განსაკუთრებული ნდობა და მფარველობა მოიპოვა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ბერია სათავეში ჩაუდგა საგანგებო კომისიას, ჯერ როგორც მისი თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო შემდეგ, როგორც თავმჯდომარე. მამია ორახელაშვილი, პეტრე აღნიაშვილი და სხვები ხელს უწყობდნენ მის დანინაურებას; მაგრამ მან ეჭვი გამოიწვია სერგო ორჯონიკიძეში, რომელსაც მისთვის ამხანაგების ვინრო ნრეში პატარა აზეფი ეწოდებინა. ერთ თანამოსაუბრეს ამ წარჩინებული ტიტულისა მიღება დაუყოვნებლივ ეხარებინა ბერიასთვის: ამის შემდეგ ის ორჯონიკიძის დაუძინებელი მტერი გახდა.

სერგო ორჯონიკიძის მოსკოვში გადაყვანამ ხელი შეუწყო ბერიას შურისძიებას. მან ერთგული აგენტები მიუყენა მის ძმას პაპულიას, რომელსაც, როგორც ეტყობა, გულახდილი ლაპარაკი უყვარდა თავისი ამხანაგების წრეში და საკმაოდ კრიტიკულად აფასებდა თავისი ძველი მეგობრის სტალინის მოღვაწეობას. როგორც კი მისი ზეპირი რეცენზიები ბერიასთვის ცნობილი გახდა, მან დაუყოვნებლივ დააპატიმრებინა პაპულია ორჯონიკიძე. იმჟამად საბჭოთა კავშირის საგანგებო კომისიას ფაქტიურად სახელგანთქმული იაგოდა მეთა-

ურობდა და დატუსაღებულთა წამება ფართოდ იყო შემოღებული. არაადამიანური წამების შემნეობით პაპულია ორჯონიკიძე აიძულეს ეთქვა, სტალინის მოკვლას ვაპირებდი, როდესაც ის თბილისში მესტუმრებოდაო. მართლაც, სტალინს იმჟამად თბილისში ჩამოსვლა და ორჯონიკიძესთან გაჩერება ჰქონდა თურმე განზრახული.

ბერიამ დატუსაღებულ პაპულია ორჯონიკიძეს გამოსძალა წერილობითი აღიარების საბუთი და დაუყოვნებლივ სტალინს წაულო მოსკოვში პირადად. ადვილი წარმოსადგენია, რა გავლენას მოახდენდა ეს ქაღალდი ბუნებით ესოდენ ეჭვიან ადამიანზე, შეშფოთებულზე ლენინის დაჭრით, სვერდლოვის, ურიცკის და კიროვის მკვლელობით, ბოლოს, კრემლის ისტორიული სისხლიანი დრამების მოგონებით. ცხადია, მის თვალში ჩრდილი მიადგა სერგო ორჯონიკიძესაც. მაგრამ სერგო ორჯონიკიძე დიდად პოპულარული იყო მთელ საბჭოთა კავშირში, ის რევოლუციის უშიშარ და უებრო რაინდად ითვლებოდა, ბოლშევიკების ახლად მოვლენილ ბაიარდად. ამიტომ, თუმცა ის გაჩხრიკეს, დატუსაღება მაინც ვერ გაუბედეს. პაპულია ორჯონიკიძე დახვრიტეს, ხოლო მისი უმცროსი ძმა შორეულ ბანაკში გაგზავნეს. ამის შემდეგ არც სერგო ორჯონიკიძეს უცოცხლია დიდხანს: გამორკვეული არაა ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, ნელამომქმედი საწამლავის მსხვერპლი გახდა, თუ თავი მოიკლა.

ქართველი ათასწლოვანი ტრადიციების მქონე თავადაზნაურობის და ოფიცრობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გასაბჭოების პირველ წლებში განადგურდა. ბერიას ბატონობის წლები საქართველოში

განსაკუთრებით საბედისწერო იყო გლეხკაცობის შეძლებული ნაწილისა და ინტელიგენციისათვის. ის როლი, რომელსაც ბერია თბილისში ჯერ საგანგებო კომისიის თავმჯდომარის პოსტზე ასრულებდა, ხოლო შემდეგ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე, მით უფრო შავბედითი იყო, რომ მან საჭიროდ დაინახა საქართველოს კეთილის მსურველის ნიღაბი აეფარებინა და იმ ელემენტების პატრიოტულ გრძნობებზე ემოქმედნა, რომელნიც მის ტერორს გადაურჩნენ. სხვათა შორის, მან საგანგებოდ თავის ბინაზე მიიწვია და საქართველოს ისტორიაზე რამდენიმე ლექცია წააკითხა ახალგაზრდა მეცნიერს სიმონ ჯანაშიას, ცნობილს თავისი პატრიოტიზმით და პატიოსნებით. მაგრამ, როგორც ეტყობა, მთელი ამ კურსიდან ბერიას მხოლოდ ის ეპიზოდები ჩარჩა მეხსიერებაში, სადაც გამცემლობაზე, თვალების დათხრაზე და ყეენებთან დასმენაზეა ლაპარაკი.

ბერიამ, რასაკვირველია, ადვილად შეატყო, რომ სტალინს განსაკუთრებით პატივმოყვარეობის დემონი ჰქენჯნიდა. ამ დემონს შეეწირა მრავალი ქართველი მწერლის, მეცნიერის და ხელოვანის ადამიანური ღირსების გრძნობა. ეს ბერიას ინიციატივით მოხდა, რომ მლიქვნელობის სულმა თითქმის მთელი ქართული მწერლობა, პლასტიკური ხელოვნება და, ნაწილობრივ მუსიკა გაჟღინთა. ქართველმა პანეგირისტებმა სტალინი აიყვანეს იმ სიმაღლეზე, რომელზეც არასოდეს არც ერთი ეგვიპტელი ფარაონი ან რომაელების და ბიზანტიელების იმპერატორი არ აუყვანიათ. საქართველოს ისტორიული წარსული, თვით ჩვენი პლანეტის გეოლოგიური ეპოქები, ბოლოს თვით კოსმოსის გა-

ნვითარება სტალინის ცხოვრების პრელუდიად იქ-
ნა გამოცხადებული.

გასაკვირი არაა, რომ ამ თვალსაზრისით თავისე-
ბური განათება მიეცა შოთა რუსთაველის შემოქმე-
დებასაც. 1937 წელს, როდესაც თეთრი ტერორი სა-
ქართველოში და რუსეთში განსაკუთრებით მძვინვა-
რებდა, ბერიას თაოსნობით და სტალინის დასტუ-
რით შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთა-
ვი მოეწყო თბილისში. მთავარი საიუბილეო დღესა-
სწაული გაიმართა ოპერის თეატრში, რომლის ფა-
სადზე რუსთაველის დიდი სურათი სტალინის, ეჟ-
ოვის და ბერიას სურათების გვერდით იყო მოთა-
ვსებული. თვით მაყურებელთა დარბაზი სავსე იყო
ყურებდაცქვეტილი ჩეკისტებით; საზოგადოება იძუ-
ლებული იყო ფეხზე დამდგარიყო სტალინისა და
მისი თანამოღვაწეების სახელების გაგონებაზე. ეს
სახელები კი ბევრად უფრო ხშირად ისმოდა, ვიდ-
რე "ვეფხისტყაოსნის" ავტორის და გმირების სახე-
ლები. ბერიამ საჭიროდ სცნო, აგრეთვე, ხელი შე-
ეწყო "ვეფხისტყაოსნის" რუსულად გადათარგმნისა-
თვის, რათა მთელ საბჭოთა კავშირს დაენახა, რა
მაღალ კვარცხლბეკზე იდგა სტალინი. ამავე დროს
თბილისის და პროვინციის ბნელი ჯურღმულები სა-
ვსე იყო ქართველი ინტელიგენტებით და გლესებ-
ით. ბერია მზად იყო მთელი საქართველო თავისი
სამშობლო სოფლის მერხეულას გვიმრალად ექცია
და შემდეგ ნიანგის ცრემლები დაეღვარა "ვეფხის-
ტყაოსნის" რუსული თარგმანის ფურცლებზე.

XII

დამსჯელი ორგანოები თავდაპირველად საკმა-
ოდ უსისტემოდ მუშაობდნენ. თბილისში ამიერკა-

ვკასიის ფედერაციის არსებობის წლებში ორი საგანგებო კომისია მუშაობდა, ამიერ-კავკასიისა და საქართველოში: ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხალხის დატუსაღებასა, გადასახლებასა და დახვრეტაში. ბერიამ ამ ორგანოების ცენტრალიზაცია მოახდინა და ერთგვარი სისტემა შეიტანა მათს მუშაობაში. თბილისში შეიქმნა სამეული გოგლიძის, დეკანოზოვის და ქობულოვის შემადგენლობით, რომელიც უაპელაციოდ წყვეტდა ადამიანის ბედს. მთავარი ინკვიზიტორის როლი თვით ბერიამ შეინარჩუნა, როგორც ცეკას პირველმა მდივანმა.

საგანგებო კომისიის გამომძიებლების, საიდუმლო აგენტების, კომენდანტების და ჯალათების რიგებს ავსებდნენ უთვისტომო ადამიანები, რომელთაც, უმეტეს შემთხვევაში, არავითარი ხელობის ცოდნა, არავითარი განათლება არ ჰქონდათ და მხოლოდ ჯაშუშობა და კაცის კვლა ემარჯვებოდათ. ზოგიერთი ადამიანი სადისტი იყო ბუნებით, ზოგიერთი სამსახურში შევიდა თავის დაზღვევის მიზნით. როგორც შემდეგ თვით მთავრობის მიერ 1955 წლის შემოდგომაზე მოწყობილ სასამართლოს პროცესზე გამოირკვა, თბილისის საგანგებო კომისიაში დიდხანს გამომძიებლად მუშაობდა ვინმე ხაზანი, რომელიც ღამით ბრალდებულთა დაკითხვას და წამებას ხელმძღვანელობდა, ხოლო დღისით წიგნს წერდა "საბჭოთა ადამიანის მორალურ ფიზიონომიაზე".

იაგოდას, ეუოვისა და ბერიას ბატონობის დროს გამოძიებისა და სიკვდილით დასჯის პროცესი მეტისმეტად გამარტივდა და იაფფასიანი გახდა. მათ ჩამოეცალა ყოველივე რომანტიკის შარა-

ვანდი, რომელიც თვით ჭკუაზე შემცდარი რომაელი იმპერატორების, ესპანეთის ინკვიზიციის და საფრანგეთის იაკობინელების დიქტატურის დროს ჰქონდათ. სიკვდილმისჯილთ შესაძლებლობა არ ჰქონდათ საპყრობილეში მეგობრებთან საუბარი გაემართათ, თამამად ასულიყვნენ ეშაფოტის ფიცარნაგზე, იქიდან სიტყვა წარმოეთქვათ, ან მით უმეტეს, თავიანთი მტრები გაემასხარებინათ. დატყვევებულთა ერთ ნაწილს კონვეიერის სისტემით ხოცავდნენ, როგორც ხარებს ხოცავენ ჩიკაგოს სასაფლაოზე, ხოლო მეორე ნაწილს შრომის ბანაკებში გზავნიდნენ, სადაც მათ ნელ-ნელა ჩაფერფვლა ელოდა, აუტანელი შრომისა და საკვების ნაკლებობის გამო. ამისდა მიუხედავად ბევრმა ბრალდებულმა ნამდვილი ანტიკური სიქველე გამოიჩინა, მოასწრო თავი მოეკლა დაპატიმრებამდე, თავი მოეწამლა საკანში, ჯალათებს შებრძოლებოდა ხელცარიელი, არავინ დაესახელებინა აუტანელი წამების დროს. მაგალითად, ახალგაზრდა მეცნიერმა ბიძინა რამიშვილმა, რომელსაც საგანგებო კომისიაში მოთხოვეს, რომ ცნობები მიეცა გერმანე მგალობლიშვილის წინააღმდეგ, დრო იხელთა, როდესაც გამომძიებელი დაკითხვის ოთახიდან გავიდა, მესამე სართულის გაღებული ფანჯრიდან გადავარდა და თავი დაანარცხა ქვაფენილს.

რასაკვირველია, ამ თეთრი ტერორის მსხვერპლთა შორის ისეთებიც ერივნენ, ვინც მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ხოლო ზოგიერთი მათგანი სიამოვნებით მიიღებდა სტალინის სიკვდილის ცნობას. მაგრამ სტალინის მოწინააღმდეგეებს გარკვეული პოლიტიკური პროგრამა არ ჰქონდათ და ერთმანეთში შეთანხმებუ-

ლი არ იყვნენ შემდგომი გეზის არჩევაში; ისინი არც ორგანიზაციულად იყვნენ მჭიდროდ დაკავშირებულნი. ამიტომ, როდესაც მათი ფარული გასამართლება ხდებოდა, ძალიან ხშირად ერთ სკამზე სხდებოდნენ ბრალდებულნი, რომელნიც მანამდე ურთიერთშორის მტრულად იყვნენ განწყობილნი, არც ერთიმეორის ჭკუა სწამდათ და არც წმინდა ადამიანური ღირსებები. ეს ითქმის, მაგალითად, გერმანე მგალობლიშვილსა და ბუდუ მდივანზე, რომელნიც ერთ პროცესში მოხვდნენ და ერთად დაისაჯნენ 1937 წელს.

დასჯილ პარტიულ მუშაკებსა, როგორც ვეტერანებსა, ისე ახალგაზრდებს შორის ბევრი იყო სკეპტიკოსი, რომელნიც ეჭვმა შეიპყრო მშიერი მასების ცქერაზე. ზოგიერთი პარტიული მუშაკი დაიღალა, ზოგიერთმა წარმოიდგინა, რომ ნაკლებ ეკლიანი და ნაკლებ სისხლიანი გზით შეიძლებოდა კომუნიზმის სამეფოში შესვლა. ბოლოს, ბევრი დაშინდა იმის გამო, რომ კომუნიზმის ფრთოსანი რაშები მეტისმეტად სწრაფად მიჰქროდნენ საბედისწერო უფსკრულების ნაპირას და ლამის შიგ გადაცვივნულიყვნენ.

დასჯილ უპარტიოთა რიცხვი უფრო დიდი იყო. ზოგიერთ მათგანს ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა შინაპარტიულ უთანხმოებაზე და სრულიად ლოიალურად ასრულებდა თავის ვალდებულებას. ბევრი უპარტიო მოქალაქე დაიღუპა მხოლოდ იმიტომ, რომ ის რაიმე მიზეზის გამო საეჭვო გახდა თბილისის ტრიუმვირატისა და მისი პროვინციული ფილიალებისათვის, ან რომელიმე დამბეზღებელს შეშურდა მისი ბინა ან თანამდებობა. 1937 წელს დატუსაღებამ და დახვრეტამ იმდე-

ნად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ თბილისის სამეული და მისი აგენტები ხშირად თავს აღარ იწუხებდნენ სიების შედგენისა და ჩხრეკის ჩატარებით: მრუდე და მართალი ერთად ისჯებოდა ძველი წმინდა ინკვიზიციის წესის მიხედვით. მათი გარჩევა მამა ღმერთს ჰქონდა მინდობილი.

განსაკუთრებით საბედისწერო შედეგები მოჰყვა უფლებრივ შემეცნების შესწავლას, ყველა იმ იურიდიული ნორმების და იდეების უარყოფას, რომელნიც კაცობრიობამ შეიმუშავა გვაროვნული თემიდან გამოსვლის შემდეგ. აღიარებულ იქნა, რომ ცოლი პასუხს აგებდა თავისი ქმრის, შვილი თავისი მშობლების დანაშაულისათვის, და პირიქით; კიდევ მეტი: საბჭოთა მოქალაქეს პასუხს აგებინებდნენ რომელიმე ემიგრანტისათვის, რომელიც მასთან ნათესაობით იყო დაკავშირებული.

1937 წლის მიწურულში საქართველოში მასობრივად დატუსაღებულ იქნენ ბრალდებულთა ცოლები, უპარტიონი და პარტიულნი. ზოგიერთი მათგანი დახვრიტეს, ხოლო უმეტესობა სხვადასხვა შორეულ ბანაკებში გადაასახლეს. ამ ქართველი ქალების ერთმა ნაწილმა მხნედ აიტანა ზნეობრივი დამცირება და მძიმე ფიზიკური შრომა, და შეუბღალავად უკან დაუბრუნდა სამშობლოს. ხოლო მეორე ნაწილმა კომის რესპუბლიკის ტუნდრებში, ციმბირის ტყეებში და შუა აზიის შამბის პლანტაციებში დასტოვა თავისი ძვლები.

იმავე იურიდიული კოდექსის ძალით მრავალი მცირეწლოვანი ბავშვი დაისაჯა დედ-მამის დანაშაულისათვის.

ცამეტ-თოთხმეტი წლის მოწაფის ანდრო ბუაჩიძის ბოროტმოქმედება იმაში მდგომარეობდა, რომ

მას თავისი დედ-მამის დატუსაღების შემდეგ უპატივცემულობა გამოეჩინა სკოლის კედელზე ჩამოკიდებული ეუოვის სურათის წინაშე. ბერიამ ეს მისი უდიდებულესობის ეუოვის შეურაცხყოფად მიილო. ამიტომ პატარა ბუაჩიძე დაუყოვნებლად დაატუსაღეს და სამართალში მისცეს. მისი საჯარო გასამართლების დღეს მიიწვიეს მისი სკოლის ამხანაგებიც, რათა მათ ჩვენებაც მიეცათ და ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილსაც დასწრებოდნენ. მიუხედავად მათი მუდარისა, შეიარაღებულ მცველებს მათთვის ნება არ მიეცათ თავიანთი ამხანაგისთვის ტკბილეული და ორცხობილა გადაეცათ.

სასამართლომ ანდრო ბუაჩიძეს შუა აზიაში გადასახლება მიუსაჯა, მაგრამ ბერიამ ეს განაჩენი რბილად მიიჩნია და ის შორეული ციმბირის ბანაკში გადაასახლებინა. ბავშვმა მძიმე ეტაპის პირობებს ვერ გაუძლო და გზაში გარდაიცვალა.

ბოლოს, აღიარებულ იქნა, რომ მთელი ერი პასუხისმგებელი იყო რამდენიმე კაცის დანაშაულისათვის. გამოურკვეველია, რა დანაშაული მიუძღვით გერმანული ოკუპაციის დროს ჩეჩნებს, ინგუშებს და სხვა ჩრდილო-კავკასიელ პატარა ერებს; ამბიბდნენ ვილაცეებმა თეთრი ცხენი გაუგზავნეს ჰიტლერსო. მთელი ერები დედაბუდიანად აჰყარეს და შუა აზიაში გადაასახლეს, სადაც მათი დიდი ნაწილი დაილუპა მათთვის შეუფერებელ გეოგრაფიულ პირობებში. სტალინის სიკვდილის შემდეგ ისევ სამშობლოში დააბრუნეს, ვინც სიკვდილს გადარჩა.

XIII

ბერიას მიერ დასჯილ ქართველ ინტელიგენტებს შორის ყველაზე პოპულარული მისეილ ჯავა-

ხიშვილი იყო. ის რამდენიმე თვე სატუსაღოში იჯდა 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით, გამართლებულ იქნა და გათავისუფლებისთანავე ინტენსიურ ლიტერატურულ მუშაობას შეუდგა. მიხეილ ჯავახიშვილი თითქოს ჩქარობდა გამოეთქვა, რაც სათქმელი ჰქონდა, და რადგან მისი ოსტატობა მისი მდიდარი ცხოვრების გამოცდილების სიმაღლეზე იდგა, ათი-თორმეტი წლის განმავლობაში გამოაქვეყნა რამდენიმე რომანი და ნოველა, რომელთაგანაც ზოგიერთი უთუოდ დიდხანს დარჩება ქართული მხატვრული ლიტერატურის სალაროში.

პირველად მიხეილ ჯავახიშვილს 1910 წლის შემოდგომაზე შევხვდი მეტეხის ციხეში. როგორღაც შინაურულად, მყუდროდ იყო მოწყობილი თავისი საკანის კუთხეში და ყოველთვის აუჩქარებლად საშინაო ფლოსტებით გამოდიოდა შუადღის სეირნობაზე. მკითხველ საზოგადოებაში ის უკვე ცნობილი იყო რამდენიმე მოთხრობით, სადაც მშვენიერი ქართული ენით პატარა ადამიანების ცხოვრება იყო აღწერილი. ის ძალიან საინტერესო მოსაუბრე იყო: განცდილ ამბებს გადმოსცემდა, როგორც დაკვირვებული ადამიანი, რომელიც დიდი შემოქმედებითი ნიჭითაა აღჭურვილი. ჯავახიშვილი გამხდარი იყო, გამომცდელად იცქირებოდა სათვალიდან, ნაყვავილარი სახე და მაღალი შუბლი ჰქონდა და მახვილ ჭკუასთან ერთად რაღაც ბავშვურ გულუბრყვილობას აერთებდა. მას გამძაფრებული პატრიოტული შეგნება ჰქონდა. რუსულ-ქართული ჟარგონი, დამახინჯებული ქართული ნარნერა მაღაზიის აბრაზე ან დაწესებულების ფასადზე თითქო პირადშეურაცხყოფას აყენებდა. შეიძლება მისი მტკივნეული პატრიოტიზმი იმითაც

აიხსნებოდა, რომ საქართველოს განაპირა პროვინციიდან წარმოსდგებოდა, მარაბდის რაიონიდან, სადაც ქართველ ხალხს ყველაზე მეტი სისხლი დაულვრია მტრის ურდოებთან ბრძოლაში.

მიხეილ ჯავახიშვილს არც იალტის სამეურნეო სასწავლებელი დაუსრულებია და არც სორბონის კურსი. ამისდა მიუხედავად თანამედროვე რუს და ქართველ მწერლებს შორის არავის ჩამოუვარდებოდა განათლებით. სიუჟეტის განვითარება, ტიპიური მოვლენების დანახვა და ასახვა ისე ეხერხებოდა, როგორც სიტყვის ყველაზე გამოჩენილ ოსტატებს ეხერხებათ.

უნდა ითქვას, რომ თავისი დიდი ტალანტი მიხეილ ჯავახიშვილმა უპირატესად გამოამჟღავნა არა რომანის, არამედ ნოველის ჟანრში. მისი ნოველები "ყბაჩამ დაიგვიანა", "მართალი აბდულა", "ჩანჩურა", "ჯილდო", "ეშმაკის ქვა", "ტყის კაცი" და მრავალი სხვა უსათუოდ შევლენ ქართული მხატვრული ლიტერატურის საგანძურში.

ლიტერატურულ ასოციაცია "არიფიონში", რომელიც 1927 წელს დაარსდა, მიხეილ ჯავახიშვილთან ერთად მეც შევდიოდი. ამ ასოციაციის კრებულში, სხვათა შორის, დაიბეჭდა მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა "დამპატიჟე". ჩვენმა კრებულმა დიდი შემოტევა გამოიწვია, როგორც პარტიულ პრესაში, ისე კრებებზე. განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევდა ჯავახიშვილის მოთხრობა და ჩემი დიალოგი "არიფიონი ჰერეთში". მწერალთა კავშირში რამდენიმე საგანგებო სხდომა გაიმართა, კომუნისტმა და უპარტიო მწერლებმა ჩვენს წინააღმდეგ იერიში მოიტანეს ფილიპე მახარაძის მეთაურობით, რომელმაც მთელ ჩვენს იდეოლოგიას

წარმართული მისტიციზმი უწოდა. ბრძოლა "არიფიონის" წინააღმდეგ კარგა ხანს გაგრძელდა, ზოგიერთი ჩვენი თანამებრძოლი შედრკა და დაშინდა, და ჩვენ იძულებული გავხდით თვითლიკვიდაცია მოგვეხდინა.

რასაკვირველია "დამპატიჟეს" გამოქვეყნება პოლიტიკურ აქტივში არ ჩაეთვლებოდა მიხეილ ჯავახიშვილს, რომელიც საგანგებო კომისიის თვალში ისედაც სახელგატეხილი იყო თავისი პოლიტიკური წარსულით.მისი მოთხრობა საკოლმეურნეო მოძრაობის ბოროტ სატირად მიიღეს. მართლაც, "დამპატიჟეში" კოლმეურნეობის სუსტი მხარეები ძალიან გონებამახვილადაა გაკრიტიკებული. ამას გარდა, უეჭველია, გულმოდგინე დამბეზღებლების წყალობით, მიხეილ ჯავახიშვილის ბასრმა რეპლიკებმა მიაღწიეს ბერიას ყურებამდე, რომელთაც ყველაფერი ესმოდათ, თვით ქალ-ვაჟის ჩურჩული სიყვარულის სარეცელზე, თვითმრგვალი მაგიდის გარშემო მსხდომარე მეგობრების ნელი საუბარი; რაც შეეხება სულთმობრძავთა ხრიალს, მას თბილისის დიქტატორი ისე იყო შეჩვეული, რომ ალბათ, მის შეწყვეტისთანავე ეღვიძებოდა, როგორც ეღვიძება მეწისქვილეს, როცა დოლაბის ხრიალი ჩერდება.

სანამ მიხეილ ჯავახიშვილს გაუსწორდებოდა, ბერიამ მწერალთა კავშირის იმდროინდელ თავმჯდომარეს დავით დემეტრაძეს დაავალა მას მოლაპარაკებოდა და, ასე ვთქვათ, წინასწარი გამოძიება დაეწყო. ამ გამოძიების თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ თვით გამომძიებელი დავით დემეტრაძე თურმე უკვე განწირული იყო: ამის შემდეგ ის ჩქარა დაატუსაღეს. ჯავახიშვილის დაკი-

თხვას მწერალთა კავშირში შემთხვევით ორიოდე მისი მეგობარი დაესწრო. ჯავახიშვილი სახტად დარჩენილიყო, როდესაც დემეტრაძეს მისთვის ეთქვა, ბრალად გედებათ, რომ უცხოეთის წყაროებიდან ფულს ღებულობდით, ამის დასამტკიცებლად სავსებით ურყევი საბუთები გვაქვსო. ჯავახიშვილს თავისი ადამიანური ღირსების დამცირებად მიეჩნია ამ ბრალდების უარყოფა, ხოლო თავისი წვრილი კისერი წინ წაენია იმის ნიშნად, რომ მზად იყო ჯალათის დარტყმა მიეღო; მას ეთქვა, თუ მსხვერპლი გინდათ, მზად ვარ თავი გავწიროო. ამის შემდეგ ის ჯერ რუსთაველის საიუბილეო კომისიიდან გამოიყვანეს, ხოლო შემდეგ დაატუსაღეს. ამბობდნენ, საკანში პირჯვარს იწერდა და გულზე ემთხვეოდა ახლად შემოსულ ტუსაღებსო. მიხეილ ჯავახიშვილი ცემის დროს გარდაცვლილიყო.

რადგან მიხეილ ჯავახიშვილი დიდად პოპულარული მწერალი იყო, ბერიამ საჭიროდ სცნო საზოგადოების თვალში გაემართლებინა მისი დასჯა. ამ მიზნით თავის კაბინეტში მიიწვია მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სრული შემადგენლობა. როდესაც წვეულნი მასთან შესულიყვნენ, ბერიას გაკვირვება გამოეთქვა, ძალიან ბევრი ყოფილხართო. შეიძლება ითქვას, რომ ის არასოდეს ასე მართალი არ ყოფილა: თხუთმეტი კაცისგან შემდგარი კოლეგია, მართლაც, მეტისმეტად მრავალრიცხოვანი და ძვირი ორგანო იყო კავშირისათვის, სადაც ორას წევრში ათიოდე ნამდვილი ლიტერატორი თუ აირჩეოდა.

შემდეგ ბერიას რამდენიმე გულისშემაღონებელი შენიშვნა მიეცა თავისი სტუმრებისათვის და ბოლ-

ოს, მიხეილ ჯავახიშვილის ხელით დაწერილი აღსარება ნაეკითხა. ბრალდებული, თურმე აღიარებდა, რომ უცხოეთის აგენტებისაგან სისტემატურად ღებულობდა ვალუტას, ხოლო ბოლო დროს პოლონეთის კონსულისაგან სამი ათასი მანეთი ჰქონდა მიღებული. რასაკვირველია, თუ ყველა დამსწრესთვის არა, ყოველ შემთხვევაში, დიდი უმრავლესობისთვის ნათელი იყო, რა ღონისძიებებით ღებულობდა ბერიას მიერ შექმნილი ტრიუმვირატი ასეთ აღსარებებს; მაგრამ ვინ გაბედავდა მაშინ ეჭვი შეეტანა მის სინამდვილეში.

ამავე დღეს ბერიას კაბინეტში მეორე ქართველი მწერლის პავლე საყვარელიძის ბედი გადაწყდა. ეს იყო ძველი ბოლშევიკი, ხანგრძლივად მეფის კატორღაში ნამყოფი. მას წვივებზე რკინის ბორკილების ნაჭდევი აჩნდა. ცხოვრების მძიმე პირობებს ის თითქოს ნაკლებ გაებოროტებინა: მისი მრგვალი გადმოკარკლული თვალები, მისი დიდი უხეში ტანი, რომელსაც ფეხებს გარდამსხვილი კეტიც სჭირდებოდა საყრდენად, მას უფრო ხნიერ სოვდაგარს ამსგავსებდნენ, ვიდრე მწერალს. თავის რომანებში "ქვა და რკინა", "გზები და ბილიკები", "გაფანტული ფურცლები" ის შეეცადა აესახა ყველა ტიპი, რომელიც ციმბირის სატუსაღოებსა და ტაიგებში შეხვედროდა. პავლე საყვარელიძეს საკმაოდ ბევრი მკითხველი ჰყავდა.

ბერია პავლე საყვარელიძეს არ იცნობდა როგორც მწერალს, მისი მოწამებრივი წარსული და მისი წვივების ჭრილობები კი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდნენ მის თვალში. ამას გარდა, ბერია უკვე გადაჩვეული იყო რაიმე წინააღმდეგობის დანახვას; ამიტომ საშინლად გაა-

ფთრებულიყო, როდესაც მისი მოულოდნელი თავდასხმის საპასუხოდ საყვარელიძეს გაებედნა და ეთქვა, მე ხელისუფლების წინაშე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, თუ დანაშაულად არ ჩამეთვლება ის, რომ ძველი პარტიული მუშაკი ვარო. როგორც ეტყობა, ბერიას ამ სიტყვებში თავისი თავის შეურაცხმყოფელი ნართაული აზრი დაენახა: მას წამოეყვირა, ეს პროვოკაციაა, ჩვენ არავის ვსჯით ხანგრძლივი პარტიული მოღვაწეობისთვისო.

როდესაც მეორე დღეს პავლე საყვარელიძე მწერალთა კავშირის გამომცემლობაში მისულიყო, სადაც დირექტორის ვალდებულებას ასრულებდა, თან საცვალი მოეტანა ხელჩანთით. მას ფანჯარაში გადაეხედა და პირჯვარი გამოესახა ქაშვეთის ეკლესიის დანახვაზე: წმინდა გიორგის მადლს ვფიცავ, წარმოდგენა არა მაქვს, რა ბრალი მიმიძღვის პარტიის და ხელისუფლების წინააღმდეგო, ეთქვა მას. ჩქარა მის დასაპატიმრებლად ჩეკისტები მოსულიყვნენ.

ასე დაიღუპა ორი ხანშიშესული ქართველი მწერალი, ერთი - სკეპტიკოსი, რომელმაც პირჯვრის წერა დაიწყო სიკვდილმისჯილთა საკანში, ხოლო მეორე - დაჯერებული ათეისტი, რომელმაც, უეჭველია, მთავარმოწამე გიორგის სახელი პირველად ახსენა მას შემდეგ, რაც ქუთაისის გიმნაზიაში ყოფნის დროს თანამშრომლობა დაიწყო მონაფეების არარეგალურ ხელნაწერ ჟურნალ "სხივში".

იმ ქართველ ინტელიგენტებს შორის, რომელნიც ბერიას პატივმოყვარეობის და შურისძიების გრძნობას შეეწირნენ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა დიმიტრი შევარდნაძე იყო. მას დიდი ორ-

განიზაციული ნიჭი ჰქონდა; მან თავი მოუყარა თბილისში გაბნეულ კერძო მხატვრულ კოლექციებს, მრავალი ახალი სურათი შეიძინა, ძველი ფრესკოების ასლები გადმოაღებინა და სამხატვრო გალერეა შექმნა.

1937 წელს რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით ბერიამ განიზრახა სამხატვრო გალერეის შენობა აეგო მეტეხის ციხის გალავანში და იქვე რუსთაველის ძეგლი დაედგა. მას განზრახული ჰქონდა ეს შენობა და ძეგლი ქართული ქვისა და მარმარილოსაგან გაეკეთებინებინა. თავისთავად ეს პროექტი არ იყო ცუდი, მაგრამ მის განსახორციელებლად მეტეხის ეკლესიის დანგრევა იყო საჭირო. დიმიტრი შევარდნაძე ფიქრობდა, რომ ასეთი ისტორიული ძეგლის განადგურება არქიტექტურული ნაშთებით ესოდენ ღარიბ თბილისში, არავითარ შემთხვევაში გამართლებული არ იქნებოდა. მან ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია ბერიას და ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას. თავისი სუსტი აგებულების მიუხედავად, დიმიტრი შევარდნაძე გამბედავი და პირდაპირი ადამიანი იყო. მან თავი მოუყარა სპეციალისტების და საზოგადო მოღვაწეების ჯგუფს და ბერიასთან წაიყვანა მოსალაპარაკებლად. როდესაც ბერიას პროფესორ გიორგი ჩუბინაშვილის განმარტებანი მოესმინა და გაეგო, შესაძლებელია, თბილისის მეტეხის ტაძარი, ანჩისხატის გვერდით, ერთადერთი გადარჩენილი შენობა იყოს, სადაც თამარ მეფეს და რუსთაველს დაუდგამთ ფეხიო, მას უთქვამს, განა საკმაო არ იქნება ამ შენობის მაკეტი გავაკეთოთ და მუზეუმში შევინახოთო. შევარდნაძეს ეპასუხნა, ჰო, ეს შეიძლება, მაგრამ მაკეტის მნახვე-

ლები იტყვიან, რა წინდაუხედავი ყოფილან ჩვენი წინაპრები, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლი დაუნგრევიათო.

ამ თავისებური არქეოლოგიური დისკუსიის შემდეგ ბერიას თავის კაბინეტში მარტოდ-მარტო დაეტოვებინა შევარდნაძე და მისთვის წინადადება მიეცა, მეტეხის ტაძრის დანგრევა პირადად თქვენ იკისრეთ და სამაგიეროდ მომავალი მუზეუმის დირექტორად დაგნიშნავთო. შევარდნაძეს ეპასუხნა, ეს ჩემი სინდისის საწინააღმდეგო საქმე იქნებაო. სინდისისადმი აპელაცია ყველაზე ცუდი გამოსავალი იყო ბერიას თვალში და დიმიტრი შევარდნაძე ორიოდე კვირის შემდეგ დატუსაღებულ იქნა.

იმავე 1937 წელს დაიღუპა ევგენი მიქელაძე, რომელიც თავისი ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, უკვე მთელს საბჭოთა კავშირში სახელგანთქმული იყო, როგორც დირიჟორი. მისთვის დაკითხვის დროს ცინიკურად განეცხადებინათ, თქვენი მთავარი დანაშაული ისაა, რომ მამია ორახელაშვილის ქალიშვილი შეირთეთო. მამია ორახელაშვილის უბედურება კი ის იყო, რომ თბილისში ბერიამდე ეჭირა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ადგილი და მას შეუდარებლად სჭარბობდა განათლებით და კულტურით. ამიტომ მისი სახელის გატეხას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბერიას კარიერისთვის. ევგენი მიქელაძისათვის თავში ეცემათ და მას მხედველობა დაჰკლებოდა. ამის შემდეგ ნიღაბაფარებულ ბერიას პირადად დაეკითხა ევგენი მიქელაძისთვის. ამ უკანასკნელს ის ეცნო. - როგორ მიცანით, თუ დაბრმავებული ხართო, - ეკითხა ბერიას, - თვალს დამაკლდა, მაგრამ სმენა წინანდებურად მახვილი მაქვსო - ეპ-

ასუხნა ევგენი მიქელაძეს. ამის შემდეგ ის თავში ცემით დააყრუეს.

ახოვანი, შავგვრემანი, გრუზათმიანი პაოლო იაშვილი, რომელიც ორი წლის პარიზში ყოფნის შემდეგ საქართველოში ბოდლერის, ვერლენის და რემბოს პოეზიის და მარინეტის ფუტურისტული ესთეტიკის პროპაგანდისტად გამოვიდა, ყოველი ლიტერატურის სამკაულად გამოდგებოდა თავისი იმპროვიზაციული ლექსებით და სიტყვებით. თავდაპირველად ის გულწრფელად მიემხრო საბჭოთა ხელისუფლებას. მაგრამ 1924 წელს ჭიათურაში მისი ერთ-ერთი ძმა დახვრიტეს აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის და ამან გაორება გამოიწვია პაოლო იაშვილში. მას ბევრი მეგობარი ჰყავდა პარტიულ წრეებში. ზოგიერთი მათგანი 1937 წელს დატუსაღებულ იქნა. ამას მოჰყვა პაოლო იაშვილის დაუსრულებელი მიკერძოებული დაკითხვები საგანგებო კომისიაში. მან 1937 წლის ზაფხულის ცხელ საღამოს თავის ქალა აიფეთქა მწერალთა კავშირის შენობის მეორე სართულზე, როდესაც პირველ სართულზე კრება მიმდინარეობდა. ეს იყო თავისებური ხარაკირი, ერთგვარი შურისძიება კავშირის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რომელმაც პაოლო იაშვილი ზნეობრივად გაამარტოვა და დასაჯა, სანამ ის თვითონ დასჯიდა თავის თავს.

ტიციან ტაბიძე გვიანდელი ეპოქის რომაელ პატრიციელს ჰგავდა თავისი გარეგნობით, მაგრამ ოსკარ უაილდის წაბაძულებით მუდამ ყვავილს ატარებდა ღილკილოში: მხოლოდ ეს ყვავილი იყო არა ორქიდეა, არამედ წითელი მიხაკი. ის განათლებული კაცი იყო, გულთბილი და ენაკვიმატი ერთსა და იმავე დროს და ძალიან კარგად იცნო-

ბდა ქართულ, ევროპულ და რუსულ ლიტერატურას. "მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე, შენ ჩემს სიკვდილში არ გიძევს ბრალი", - წერდა ტიციან ტაბიძე ჯერ კიდევ ათი წლის ადრე დაღუპვამდე.ხოლო სერგეი ესენინის თვითმკვლელობის გამო დაწერილ ლექსში ამბობდა: "ხოლო ჩვენ სხვა დრო წამოგვეწევა, ჩვენ მალე სადმე ჩაგვაძაღლებენ". ტიციან ტაბიძემ თავისი მეგობრის პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის საჯარო გაკიცხვაზე უარი თქვა. ამის შემდეგ ის მალე დააპატიმრეს.

მესამე ცისფერყანწელი ნიკოლო მიწიშვილი რამდენიმე წლის მანძილზე ძალიან ნაყოფიერად მუშაობდა, როგორც სახელმწიფო გამომცემლობის სამხატვრო განყოფილების უფროსი, და როგორც მწერალთა კავშირის ჟურნალის რედაქტორი. მას უნდოდა ერთგვარი შემარიგებელი შუამავლის როლი ეთამაშნა ხელისუფლებასა და ოპოზიციურად განწყობილ ქართულ ინტელიგენციას შორის, მაგრამ საბოლოოდ ეს ვერ მოახერხა. თავისი დაღუპვის თარიღი მან უფრო მეტი მათემატიკური სიზუსტით გამოიანგარიშა. მოგონებებისა და დღიურების წიგნში "ეპოპეაში" ის 1922 წლის 17 დეკემბრის თარიღით წერდა: "მე ოცდაექვსი წლისა ვარ და ყველაფერი ისე ეწყობა, რომ ახლა ვიწყებ თავიდან ცხოვრებას. ჩემი ანგარიშით მე კიდევ გავძლებ თხუთმეტ წელს და ღირს ამისათვის თავის ტეხა?" ნიკოლო მიწიშვილი, მართლაც სწორედ თხუთმეტი წლის შემდეგ დაიღუპა.

XIV

რადგან "ცისფერი ყანწის" ასოციაცია თავდაპირველად უმთავრესად ახალგაზრდა და საზოგა-

დოებისათვის უცნობი მწერლებისაგან შედგებოდა, მათ გადანყვიტეს რომელიმე გამოჩენილი მოღვაწე მიემსროთ ძველი თაობიდან. იმედი ჰქონდათ, რომ თავიანთი ორდენის ინტერესებისათვის გამოიყენებდნენ პოპულარულ ორატორს გრიგოლ რობაქიძეს.

გრიგოლ რობაქიძეს დერპტის, ლაიფციგის, პეტერბურგის უნივერსიტეტებში ფილოსოფიური და იურიდიული ფაკულტეტების ლექციები ჰქონდა მოსმენილი; ნაკითხი კაცი იყო და თავისი მჭევრმეტყველებით ახლად მოვლენილი იოანე ოქროპირის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. მისმა მოხსენებებმა ბარათაშვილსა, აკაკი წერეთელსა, ვაჟა-ფშაველასა, სქესის ფილოსოფიასა,შპენგლერსა და დასავლეთის კულტურის დაისზე ხელი შეუწყო გონებრივი ინტერესის გაცხოველებას ქართულ საზოგადოებაში. ის კარგად ფლობდა ქართულ ენას, მხოლოდ მისი სტილი ნაძიები და პათეტიკური იყო.

"ცისფერ ყანწელებთან" დაკავშირებით შემდეგ გრიგოლ რობაქიძემ თავდაპირველად ლირიკული პოეზიის და დრამის დარგში სცადა ბედი; მისმა ლექსებმა მკითხველ საზოგადოებაში უფრო მეტი ირონიული ღიმილი გამოიწვია, ვიდრე აღტაცება, მისი ორი-სამი დრამა კი კოტე მარჯანიშვილმა წარმატებით დადგა რუსთაველის სახელობის თეატრში.

ქართველი საზოგადოება საკმაოდ გულგრილად შეხვდა გრიგოლ რობაქიძის რომანს "გველის პერანგს", მაგრამ ამ ნაწარმოების თარგმანის გამოქვეყნებამ ინტერესი გამოიწვია გერმანიაში, სადაც რეცენზიებს წერდნენ, "გველის პერანგი" დიდი გამარჯვებაა ქართველი პოეტისაო.

ამის შემდეგ გრიგოლ რობაქიძემ, რომელიც ფიქრობდა, რომ სამშობლოში მის ნიჭს ღირსეულად არ აფასებდნენ, გადაწყვიტა უცხოეთში წასულიყო. საზღვარგარეთის პასპორტი სერგო ორჯონიკიძის დახმარებით მიიღო. სამოგზაურო თანხის შოვნაში კი მეგობრები დაეხმარნენ. თავდაპირველად გრიგოლ რობაქიძე ალბათ, მართლა ფიქრობდა სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ განზრახვაზე სამშობლოში მიმდინარე რეპრესიებმა ააღებინეს ხელი.

თუ გრიგოლ რობაქიძე ცისფერი ყანწელების ორდენში ფილოსოფიური აზროვნების ინტერესს იცავდა, გიორგი ლეონიძე ამ ორდენს საქართველოს ისტორიასთან აკავშირებდა. ის კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიულ ქრონიკებს, გრძნობდა წარსული ეპოქების სულს და თავისი მსოფლმხედველობით არავითარ შემთხვევაში ფრანგი დეკადენტების და სიმბოლისტების, ან, მით უმეტეს, იტალიელი ფუტურისტების ეპიგონად არ გამოდგებოდა.

გიორგი ლეონიძეს ისეთივე ტრაგიკულ პირობებში მოუხდა სიცოცხლისათვის ბრძოლა, როგორშიც მისი საყვარელი გმირები იბრძოდნენ ფეოდალურ ეპოქაში. "ცისფერი ყანწის" ასოციაციის დარბევისა და თავისი უფროსი ძმის ლეო ლეონიძის დატუსაღების შემდეგ გიორგი ლეონიძემ საშინელი იერიშები განიცადა ოფიციალური პირებისა და პრესის მხრიდან.

გიორგი ლეონიძემ ბევრი ლირიკული ლექსი დაწერა, რომელთაც მას სახელი გაუთქვეს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

XV

1937 წელს ტერორმა ერთგვარი სისხლიანი შეჯიბრების ხასიათი მიიღო. თავი და თავი ის იყო, ვინ მოახერხებდა მოწინააღმდეგის უნაგირიდან ჩამოგდებას: შემდეგ უკანა რიცხვით ყოველთვის შეიძლებოდა მისი ყელის გამოღადვრის გამართლება.

მოსკოვის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე იაგოდა, რომელიც სკანდალური სასამართლოს პროცესის შემდეგ დახვრეტილ იქნა ყოველგვარი შანტაჟისა, ქალების გაუპატიურებისა, ფულის გამოძალვისა, მაქსიმ გორკის მოწამვლისა და სხვა სასახელო საქმეებისათვის, არანაკლებ ღირსეულმა ადამიანმა შეცვალა: ეს იყო რკინის კომისრად წოდებული ეჟოვი. თავისი წინამორბედის წინაშე ეჟოვს ის უდავო უპირატესობა ჰქონდა, რომ გარდა სადიზმისა, მეორე უკურნებელი სენით, ფილტვების ჭლექით იყო დაავადებული და ფიზიკურად მახინჯი იყო: ამიტომ მზად იყო მთელი საბჭოთა მოსახლეობა წინ წარემძღვარებინა საიქიოს გზაზე.

ეჟოვმა განსაჯა, რომ ბერია თბილისში მეტ თაოსნობას და დამოუკიდებლობას იჩენდა, ვიდრე მის მდგომარეობას შეეფერებოდა და გოგლიძეს საიდუმლო მოწერილობით დაავალა თავისი შეფი დაეტუსაღებინა და მოსკოვში გაეგზავნა. გოგლიძემ თავის მხრივ სწორად განსაჯა, რომ თუ თავის მფარველს დაატუსაღებდა, თვით მასაც კარგი დღე არ დაადგებოდა. ამიტომ ბერიას დაუყოვნებლივ აცნობა საქმის ვითარება. ბერია მეორე დილითვე აეროდრომზე ცრემლთა ფრქვევით გამოე-

თხოვა თავის ცოლ-შვილს და მოსკოვში გაფრინდა; იქ სტალინს თავისი მრავალწლოვანი ერთგული სამსახური გაახსენა და დაარწმუნა, რომ მისი ნამდვილი მოღალატე ეჟოვი იყო. ეს უკანასკნელი დატუსაღებულ იქნა, ხოლო მის ადგილზე ბერია დაინიშნა. ამის შემდეგ ბერიას მდგომარეობა არ შერყეულა სტალინის სიკვდილამდე, პირიქით, თანდათან განმტკიცდა.

თბილისში ცეკას პირველ მდივნად კანდიდ ჩარკვიანი დაინიშნა. ჩარკვიანი მოკლებული არ იყო კაცთმოყვარეობის გრძნობას, ადვილად არ უჯერებდა დამბეზღებლებს, ზომიერი და თავმდაბალი კაცი იყო და საერთოდ საკმარის კეთილგონიერებას იჩენდა რესპუბლიკის საქმეების გაძღოლაში. ის თავის სავარძელში თხუთმეტი წელიწადი იჯდა. ეს რეკორდად უნდა ჩაითვალოს აღმოსავლეთის ნაზირ-ვეზირების ისტორიაში.

კანდიდ ჩარკვიანის დროს დაიწყო ის გრანდიოზული ცვლილებები, რომლებმაც საბჭოთა საქართველოს სახე შეუცვალა. სწრაფი ნაბიჯით წინ წავიდა ინდუსტრიალიზაცია, ელექტროფიკაცია და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. ქუთაისი, ზესტაფონი, ტყვარჩელი, მახარაძე, გორი მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებად იქცნენ. მოხდა ჭიათურის და ტყიბულის მაღაროების სრული რეკონსტრუქცია. თბილისი უზარმაზარ საერთაშორისო ქალაქად იქცა. კოლხიდის ჭაობების გაშრობისა, აღმოსავლეთ საქართველოში ახალი არხების გაყვანისა, სამგორის ველის მორწყვისა და დასახლებისა, შირაქის ველის დამუშავების წყალობით ქვეყანას საკმაო ბაზისი მიეცა თავისი მოსახლეობის ეკონომიური დონის ასამაღლებლად. განსაკუ-

თრებით გასაოცარი იყო მეტალურგიული ქალაქ-
ის რუსთავის აშენება მტკვრის უდაბურ ნაპირებ-
ზე, სადაც მონღოლების შემოსევის შემდეგ მხო-
ლოდ გარეული ტახები ბინადრობდნენ, ხოლო
ციხის ნანგრევები და ქვის სარკოფაგები ძველი
აყვავებული კულტურული ცენტრის არსებობას
მოწმობდნენ. რაღაც ათიოდე წლის მანძილზე თა-
ნამედროვე კეთილმოწყობილი ქალაქი აშენდა, პა-
რკებით და ჩრდილოვანი ხეივნებით, კერძო და
საზოგადო შენობებით, ქარხნებით, კინოთეატრებ-
ით და კლუბებით.

იმ გრანდიოზულმა ცვლილებებმა, რომლებიც
ეკონომიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოხ-
და ხუთწლედების ეპოქაში, საქართველოში ხელი
შეუწყო ძველი პროვინციული განკერძოების მოს-
პობას და ერთი მთლიანი ეროვნული შეგნების გა-
ნმტკიცებას. ქართლ-კახელები, იმერლები, მეგრე-
ლები, აჭარლები, გურულები ერთმანეთში აირივ-
ნენ, წარმოიშვა მთლიანი საქართველოს შეგნება,
რომელიც მძაფრ წინააღმდეგობას უწევს ყოველი
სახის პარტიკულარიზმს. ეს განსაკუთრებით ნათე-
ლი გახდა, როდესაც ეპიზოდურად თავი იჩინა მე-
გრული ავტონომიის იდეამ, რომელსაც მკაცრად
შეებრძოლა თვით მეგრელი ინტელიგენციის დიდი
უმრავლესობა და კოლმეურნე გლეხკაცობა.

მეორე მხრივ, პოლიტიკურ და ეკონომიურ
ცხოვრებაში თავი იჩინა ტენდენციებმა, რომლებიც
საფრთხეს უქადდნენ ქართველი ერის არსებობას.
სახელმწიფოს ცენტრალიზაციამ სტალინის დიქტა-
ტურის დროს უკიდურეს საზღვარს მიაღწია. სა-
გარეო პოლიტიკა, ბიუჯეტის შედგენა და დამტ-
კიცება, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო გე-

გმების შემუშავება და მათი შესრულების კონტროლი ცენტრალურ ხელისუფლებას ეკითხებოდა. მასვე ეკითხებოდა პროგრამების შედგენა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისათვის, თვით წიგნების საგამომცემლო გეგმების დამტკიცება. ადგილობრივ ხელისუფლებას მოსკოვის ნებადაურთველად არ შეეძლო კინოსცენარი გადაეცა წარმოებაში, იატაკების დამგველი დედაკაცი დაექირავებინა დაწესებულებაში, ინვენტარი შეეძინა სასწავლებლისა და კლუბისათვის. ასეთმა წვრილმანმა მეურვეობამ გამოიწვია ადგილობრივი თაოსნობის შებოჭვა, ეკონომიური ცხოვრების არევ-დარევა და ნაციონალური კულტურის მოდუნება.

ქართველი ხალხი იძულებული იყო ლონის დამცველი შრომა გაეწია, რათა აჭარის, გურიის და სამეგრელოს ზეგნები დაემუშავებინა და მთელი საბჭოთა კავშირისათვის ჩაი მიეწოდებინა. ამას გარდა საქართველო საბჭოთა კავშირს უხვად ამარაგებდა ციტრუსებით, თამბაქოთი, ახალი ხილითა და კონსერვებით, მატყლით, აბრეშუმით, მარგანეცით, მარმარილოთი, თვით თავისი მეტალურგიული მრეწველობის პროდუქტებით; ამის სამაგიეროდ ზამთარ-ზაფხულ დამსვენებლების და ტურისტების მთელ არმიებს ღებულობდა. იყო წლები, როდესაც თბილისში და პროვინციულ ქალაქებში საშუალო შეძლების კაცისათვის ერთი კილო ვაშლის ყიდვა ძნელად განსახორციელებელ ოცნებას წარმოადგენდა, ხოლო ერთი ცალი ლიმონის გატანა ბაზარში სახელმწიფო დანაშაულად ითვლებოდა.

რადგან მოსახლეობის მოძრაობა არაფრით არ იყო შეზღუდული, ომითა და ტერორით შეთხელე-

ბული ქართველი ხალხი ვერ ასდიოდა ახლად აგებული ქარხნების და უზომოდ გაფართოებული პლანტაციების მზარდ მოთხოვნილებას, ქვეყანა აივსო უცხო ელემენტებით, განსაკუთრებით რუსებით, რომელთა ასიმილაცია ადვილი არ იყო, ერთი იმიტომ, რომ ისინი მეტად მრავალრიცხოვანნი იყვნენ, და მეორეც იმიტომ, რომ მათთვის თვით სოფლებში რუსული სკოლები იხსნებოდა. ამავე დროს ქართველი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული იყო სამშობლოს გარეთ ეძებნა სამუშაო და დენაციონალიზაციის გზას დასდგომოდა.

კანდიდ ჩარკვიანი ცდილობდა შეეჩერებინა ის სტიქიონური პროცესები. მან ხელი შეუწყო რაჭველების, სვანების და მეგრელების დასახლებას აფხაზეთში; მის დროს მოხდა აგრეთვე, გათურქებული გლეხკაცობის აყრა სამცხედან და მის ადგილას ქართველი გლეხკაცობის დასახლება.

მაგრამ იმისდა მიუხედავად, რომ ქართველი მოსახლეობა რესპუბლიკაში შედარებით შემცირდა, მან ეკონომიური ცხოვრების და კულტურის ყოველ დარგში უპირატესი როლი შეინარჩუნა თავისი კულტუროსნობის და აქტივობის წყალობით.

XVI

მეორე მსოფლიო ომის დროს რამდენჯერმე გამოვედი პრესაში და პოლიტიკურ მიტინგებზე. საოპერო თეატრში გამართულ მიტინგზე რუსეთიდან ჩამოსული ინტელიგენტებიც იღებდნენ მონაწილეობას. მათ შორის იყო სამხატვრო თეატრის ცნობილი მსახიობი კაჩალოვი.

ერთხელ დიდი პოლიტიკური მიტინგი რუსთა-

ველის სახელობის თეატრში მოეწყო. ეს ყველაზე მძიმე მომენტი იყო მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში. გერმანელები კავკასიონის ქედს იყვნენ მომდგარნი. საქართველოს სოფლებში მათი პარაშუტისტები ეშვებოდნენ. მიტინგზე ჩემამდე, სხვათა შორის, აკადემიკოსმა ორბელმა და კონსტანტინე გამსახურდიამ ილაპარაკეს. ორბელის მაღალფარდოვან სიტყვაში ხშირად გაისმოდა არწივების ყივილის და ოკეანეების ღმუილის ხმა. გამსახურდიამ პირდაპირ პრუსიელ ნაცისტებს მიმართა: იმ დროს, როდესაც თქვენ მდინარე შპრეეში ღორჯოებს იჭერდით, ჩვენ ბიბლიას ვთარგმნიდით, ტაძრებს ვაშენებდითო, და სხვ. არ ვიცი, დისონანსივით ხომ არ გაისმა ამის შემდეგ ჩემი სიტყვა, სადაც მე გავიხსენე ძველი ალბანიის, იბერიის და სომხეთის ტრადიციული მეგობრობა და ამიერ-კავკასიის ერების სოლიდარობისკენ მოვუწოდე. როდესაც ტრიბუნიდან მთავრობის ლოჟისკენ გავიხედე, დავინახე, რომ იქ კანდიდ ჩარკვიანი იჯდა. მისი მრგვალი, წვერულვაშგაპარსული სახე გაფითრებული მეჩვენა, მისი თვალები შეშფოთებულად იცქირებოდნენ სათვალიდან.

უკანასკნელად კანდიდ ჩარკვიანს 1947 წლის მიწურულში შევხვდი. ნაშუადღევს მწერალთა კავშირში შევიარე. იქ მითხრეს, საჩქაროდ ჩარკვიანთან ხარ გამოძახებულიო. ცეკას შენობაში შესვლისთანავე ახალგაზრდა კაცმა პირველი მდივნის კაბინეტის კარი გამიღო. გრძელ, მაუდგადაფარებულ მაგიდას თავში თვით ჩარკვიანი უჯდა, ხოლო ცოტათი მის მოშორებით, კედლის გასწვრივ მეორე მდივანი პეტრე შარია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჩხუბიანიშვილი და უშიშ-

როების მინისტრი აქვსენტი რაფავა ისხდნენ. როცა ჩარკვიანმა წინადადება მომცა მის პირდაპირ დავმჯდარიყავი სკამზე, შევამჩნიე, რომ ჩემი სახე ფანჯრის შუქით იყო განათებული, სხვების სახეებს კი ჩრდილი ადგა და ამიტომ ჩემი სუსტი თვალებისათვის ძნელი იყო მათი გამომეტყველების დანახვა.

- თქვენ ბრალად გედებათ, რომ მთავრობის შედგენას აპირებდით იმ შემთხვევაში, თუ გერმანელების ჯარი საქართველოში შემოიჭრებოდა და საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდებოდა ამიერ-კავკასიის ევაკუაცია მოეხდინა, - მითხრა ჩარკვიანმა უშესავლოდ და მკვახე ხმით.

არაფერი არ შეიძლებოდა ამ სიტყვებზე უფრო მოულოდნელი ყოფილიყო ჩემთვის.

- ჰო, მაგრამ, - ვთქვი მე, - თუკი გერმანელი ფაშისტები მართლაც საქართველოში შემოვიდოდნენ, ნუთუ ისინი ადგილობრივი მთავრობის შესადგენად უკეთეს კაცს ვერ იპოვნიდნენ, ვიდრე მე ვარ, ხანში შესული ლიტერატორი, რომელიც ომის პირველი დღიდანვე პრესაშიც და კრებებზეც ასე მძაფრად გამოდიოდა მათ წინააღმდეგ?

- ეს მე და თქვენ ძალიან კარგად ვიცით, როგორ ეწყობა ასეთი გამოსვლები, - მითხრა რაფავამ, რაც შეიძლება უფრო გესლიანად.

- მაშ თქვენ ფიქრობთ, რომ მე წინასწარ შევუთანხმდი ადოლფ ჰიტლერს, მიტინგებზე და გაზეთებში შენს წინააღმდეგ გავილაშქრებ, მაგრამ გთხოვ, არავითარ შემთხვევაში ეს საწყენად არ მიიღო, შენს ერთგულ მოკავშირედ მიგულე და როდესაც თბილისს დაიჭერ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დამნიშნე-მეთქი. მე ერთხელ

თვით საბჭოთა მთავრობამ დამნიშნა კომისრის მოადგილედ, მაგრამ არ ჩავბღაუჭებივარ ამ თანამდებობას.

- რა შეთანხმება გაქვთ თქვენ ჰიტლერთან, ამას მე სხვა ადგილას უკეთ გამოვარკვევდი, - მითხრა რაფავამ მომხიბლავი გულახდილობით. ცხადი იყო, ძალიან ნანობდა, რომ ეს ჩემი დაკითხვა პირველი მდივნის კაბინეტში ხდებოდა და არა ბნელ ჯურღმულში, სადაც მას უფრო მომქმედი იარაღების გამოყენება შეეძლო.

- თქვენი სახელი და გვარი მოხსენებულია მრავალ საბრალდებო ოქმში, - მითხრა ჩარკვიანმა, კარადას მიუთითა და წამოდგა თითქოს იმისთვის, რომ იქიდან ჩემი მამხილებელი საბუთები გამოელო, მაგრამ ისევ დაჯდა, - ამას გარდა, თქვენ დასახელებული ხართ რამდენიმე ბრალდებულის მიერ. ჩვენ შეგვიძლია ისინი პირისპირ შეგახვედროთ. მაგალითად, იცნობთ, თუ არა, ლევან გოთუას?

ლევან გოთუა დაპატიმრებული იყო ახალციხეში ყოფნის დროს. მას, მგონია, ბრალად ედებოდა, რომ იქიდან თურქეთში აპირებდა გაპარვას. ეს იყო ჟურნალისტ პარმენ გოთუას ვაჟიშვილი, მასავით შეუდრეკელი პატრიოტი, რამდენიმე კარგი პატარა ნოველის და დრამის "დავით ალმაშენებლის" ავტორი. მასთან არასოდეს არავითარი საუბარი არ მქონია, გარდა წმინდა ლიტერატურულისა, ამიტომ მასთან პირისპირ შეხვედრა ჩემთვის არაფერს წარმოადგენდა სახიფათოს. მაგრამ, როგორც შემდეგ შევიტყე, ვილაც ჩემთვის უცნობ ახალგაზარდა კომუნისტს, რომელიც უშიშროების ორგანოებს დაეტუსაღებინათ, გამომძიებლის-

თვის მართლაც, განეცხადებინა, უკმაყოფილო ელ-ემენტებს ეროვნული მთავრობის შედგენა უნდოდ-ათ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა ხელისუფლება ევაკუაციას მოახდენდაო. "ვინ გინდოდათ ამ მთა-ვრობაში შეგეყვანათ?" - ეკითხა გამომძიებელს. ბრალდებულს რამდენიმე პიროვნება დაესახელები-ნა, მათ შორის მეც ვყოფილიყავი. მაგრამ ჩემი დაკითხვის დროს ის ჩემი გამინისტრების მოსურ-ნე კომუნისტი უკვე დახვრეტილი იყო.

რაც შეეხება ჩარკვიანების საიდუმლო კარადას, იქ შეიძლება, მართლაც დასტებად ეწყო დაქირა-ვებული და მოხალისე ჯაშუშების მოხსენებები, ნა-წილობრივ ხელმოწერილი, ხოლო ნაწილობრივ ხე-ლმოუწერელი, სადაც, სხვათა შორის, მეც ვიქნე-ბოდი მოხსენიებული.

- საბჭოთა ხელისუფლება ამჟამად იმდენად ძლიერია, რომ მას შეუძლია უფრო ლმობიერად მოეპყრას დამნაშავეებს, - თქვა ბოლოს ჩარკვიან-მა. - ჩვენ მაინც თბილისში ვერ შევძელით თქვე-ნი საქმის ასე თუ ისე დაბოლოვება და მისი ვი-თარება ბელადს მოვახსენეთ, როდესაც ის რიწის ტბაზე ისვენებდა. მან მითხრა, ჩვენ ვიცით, რო-გორი მწერალია გერონტი ქიქოძე, მაგრამ არაფე-რი ვიცით მის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაზე და არ გვგონია, რომ ამ საქმეში გამოდგებოდე-სო. ამიტომ, - დაასრულა ჩარკვიანმა, - ჩვენ გვი-პატიებია დღესდღეობით, მაგრამ მეორეჯერ შებ-რალებას ნუღარ ელით, თუ კიდევ რაიმე დანაშა-ული ჩაიდინეო.

- რა დანაშაული! - წამოვიძახე აღშფოთებით, - მე დიდად შეურაცხყოფილი გავდივარ აქედან. პასუხს მე ჩემი საკუთარი განზრახვებისა და მოქ-

მედებებისათვის ვაგებ და არა ვიღაც უცნობი პირების ჩვენებისთვის.

სანამ კართან მივიდოდი, კანდიდ ჩარკვიანი დამეწია და მითხრა: - თქვენ რას მოითხოვთ, ბოდიში ხომ არ უნდა მოვიხადოთ თქვენი შეურაცხყოფისათვის? - შემდეგ მთხოვა, სრული საიდუმლოება დამეცვა ამ ამბის შესახებ, და გამომემშვიდობა.

მთელი ამ საუბრის დროს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ჩხუბიანიშვილს კრინტიც არ დაუძრავს; როგორც ეტყობოდა, მხოლოდ ფსიქოლოგიური დაკვირვებებით კმაყოფილდებოდა. პეტრე შარიამ კი ორიოდე რეპლიკით ჩემი გამხნევება სცადა. მეგონა, იმ დღეს მარტო მე ვიჯექი ბრალდებულის სკამზე, მაგრამ გამოირკვა, რომ იმავე კაბინეტში რამდენიმე ინტელიგენტი დაეკითხათ, საგულვებელი ნევრების საქართველოს ვეზირთა საბჭოს თუ დივანხანისა.

ცოტა ხნის შემდეგ თვით საბჭოთა ხელისუფლებისთვის აშკარა გახდა, რომ მთელი ამ შეთქმულების ამბავი მოგონილი იყო უშიშროების მინისტრის რაფავას მიერ, რომელიც ორიოდე წლის შემდეგ თვითონ დატუსაღებულ იქნა, როგორც სახელმწიფოს მოღალატე. თუ არ ვცდები, მას ბრალად დასდეს, რომ ომის დროს თავისი ძმის შემწეობით კავშირი გააბა გერმანიის და თურქეთის ხელისუფლებასთან. შეიძლება, ფიქრობდა დიდი პროცესის მოწყობით საკუთარი დანაშაული მიეჩქმალა.

XVII

იოსებ სტალინის დიქტატურის სუსხიან წლებში საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში ორმაგმა, რა-

მდენიმედ ერთიმეორის საწინააღმდეგო ტენდენციამ იჩინა თავი. როგორც სხვა ისტორიულ ეპოქებშიც მომხდარა, ხანგრძლივმა რეპრესიებმა და ტერორმა, ერთი მხრივ ადამიანის ხასიათის განმტკიცებას შეუწყეს ხელი, მეორე მხრივ, დამსჯელი ორგანოების უკონტროლო მოქმედებამ საწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია. კერძო საკუთრების შეზღუდვას, კომუნისტური ტენდენციების გაძლიერებას თითქო სოციალური ინსტინქტების განმტკიცება უნდა გამოეწვია. სინამდვილეში საზოგადოებრივი ცხოვრება მოიშალა, თავი იჩინა ყველაზე აღვირახსნილმა და ველურმა ეგოცენტრიზმმა. ადამიანს თითქო დაავიწყდა, რომ შეუძლებელია ის ბედნიერი იყოს, თუ მისი გარემომცველი წრე უბედურია.

გაძლიერდა სახელმწიფო ქონების დატაცება, ქურდობა, რაიცა ნანილობრივ იმით აიხსნებოდა, რომ მუშა-მოსამსახურე უზრუნველყოფილი არ იყო ხელფასით. საზოგადოების ერთი დიდი ნაწილი დაემსგავსა ცეცხლისმფრქვეველი მთის ძირას აშენებული ქალაქის მცხოვრებლებს, რომლებიც ჩქარობენ სიამოვნების ფიალა ამოსწურონ, ვინაიდან ხვალინდელი დღე უზრუნველყოფილი არა აქვთ. მაგრამ რადგან ნამდვილი სიამოვნების მიღება კულტუროსან ადამიანს, მხოლოდ სანდო ან თავისუფლად მოაზროვნე თანამოქალაქეების წრეში შეუძლია, თვით ამ ეპიკურულად განწყობილი ელემენტების სიამოვნება მოწამლული იყო. საზოგადოდ არც ერთ სოციალურ წრეში, თვით პრივილეგიურში, არავინ იყო უზრუნველყოფილი, რომ მისი თანამეგობრობა ან ბინა შურის გრძნობას არ აღძრავდა რომელიმე გავლენიან ადამიანში. არავ-

ინ უზრუნველყოფილი არ იყო, რომ მას პასუხს არ მოსთხოვდნენ რაიმე უწყინარი ხუმრობისა ან ანეგდოტისათვის. ახლად გაღვიძებული მოხელეები და მოქალაქეები შიშით ელოდნენ, რომ მათი გვარები გაზეთის ფურცლებზე ან რადიოგადაცემაში მოხვდებოდა პროსკრიპციების სიაში. ასეთ შემთხვევაში ისინი საზოგადოებიდან იკვეთებოდნენ, მარტოვდებოდნენ და ზნეობრივად ისჯებოდნენ, სანამ ფიზიკურად განადგურდებოდნენ. ბოლოს, არავინ უზრუნველყოფილი არ იყო, რომ ნაშუალამევს მისი ბინის შესავალთან საშინელი ავტომანქანა არ გაჩერდებოდა და მას ბნელ საკანში არ შეაგდებდნენ, რათა იქ საკუთარ ლოშგინში დაწყებული ღამისთევა განეგრძო.

ამავე დროს ხალხს ეუბნებოდნენ: ყველა შინაური ან გარეული მტერი, რომელიც დღემდე ხელს გვიშლიდა, შემუსვრილი ან დაშინებულია, ყველა შინაპარტიული ერესი დარღვეულია. ამრიგად, ჩვენ უკვე მივაღწიეთ საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ მთლიანობას. თქვენ ყველანი ბედნიერი ხართ, ყველას საამური ცხოვრება გაქვთ. იცეკვეთ, ჭადრაკი და კალათბურთი ითამაშეთ, ჭამეთ გაყინული ღორის ხორცის კატლეტები, სვით ბურახი, ტაში დაგვიკარით, გააჩინეთ თორმეტი ბავშვი და მიიღეთ გმირის სახელწოდება. რაც შეეხება აზროვნებას, ხუთწლიანი გეგმების შედგენას, საშინაო და საგარეო პოლიტიკის გაძღოლას, ამისთვის რამდენიმე მეთაური და ერთი ზებელადი გვყავს, ეს ყოველივე მათ ეკითხებათ. ხოლო, თუ ეს არ გწამთ, ან არ მოგწონთ, მიბრძანდით კომის რესპუბლიკაში ქვანახშირის და ტორფის ამოსაღებად, ციმბირში

ხე-ტყის საჭრელად, ან შუააზიაში ბამბის საკრეფად: ყოველ შემთხვევაში იქ უფრო ბედნიერი იქნებით, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნების მცხოვრებლები არიანო.

ხოლო მწერლებს, მხატვრებს, მოქანდაკეებს, კომპოზიტორებს ეუბნებოდნენ, ასახეთ ჩვენი გმირობა და ჩვენი სულიერი სილამაზეო. ეს ადვილი საქმე არ იყო, ვინაიდან ყოველ ათ კაცზე ცხრა თავის თავს ან გმირად თვლიდა, ან გმირობის პრეტენდენტად. გმირობამ მასობრივი ხასიათი მიიღო და ყოველი მწველავი დედაკაცი, რომელიც ძროხას და თხას ისე სწველიდა, რომ ხბოს და თიკანს ერთ წვეთ რძეს არ უტოვებდა, დიდად განანყენებული დარჩებოდა, თუ მისი ფოტოსურათი ცენტრალურ გაზეთებში არ გამოქვეყნდებოდა პირველ გვერდზე, ხოლო ზოგიერთ რაიკომის მდივანს და მით უმეტეს უფრო მაღლა მდგომ პირებს, თავი ისე ეჭირათ, თითქოს ყველა ანეტიკური ოლიმპიადის დაფნის გვირგვინების ღირსნი ყოფილიყვნენ. უბედურება ის იყო, რომ ვინც დღეს უბადლო გმირად იყო აღიარებული, ხშირად, ხვალ უდიდეს არამზადად ცხადდებოდა და წიგნების მაღაზიებიდან და ბიბლიოთეკების თაროებიდან სამუდამოდ იდევნებოდა ლექსების და მოთხრობების კრებულები, რომელთაც მის შესაქებად აპოლოგეტები წერდნენ. ეს დიდ ზიანს აყენებდა გამომცემლობებს, მაგრამ თვით მლიქვნელები, ჩვეულებრივ არაფერს კარგავდნენ. როდესაც, მაგალითად, ბერია ჯერ ხალხის მოღალატედ იქნა გამოცხადებული, ხოლო შემდეგ სიკვდილით დაისაჯა, მარტო საქართველოს ბიბლიოთეკებიდან ამოღებულ იქნა მრავალი

ლექსების კრებული, მოთხრობა და სამეცნიერო წიგნი, სადაც ყოფილი დიქტატორი შექებული, ციტირებული ან უბრალოდ მოხსენებული იყო. მაგრამ ამ წიგნების უმრავლესობა დაუყოვნებლივ ხელახლა გამოიცა, ოღონდ, რასაკვირველია, ბერიას მოუხსენებლად. ამრიგად მლიქვნელებმა ორმაგი პრემია მიიღეს.

როგორც ყველგან დედამიწის ზურგზე, ისე საბჭოთა საზოგადოებაშიც მრავალი მახინჯი ადამიანი არსებობდა. მოღალატეობამ, ჯაშუშობამ, გამცემლობამ, ქურდობამ, მექრთამეობამ, სიხარბემ, გამოძალვამ, ნეპოტიზმმა მასობრივი ხასიათი მიიღო. ჯერ კიდევ ლენინი წერდა: "იმის გამო, რომ რევოლუცია დაიწყო, ადამიანები წმინდანებად როდი გადაქცეულან. უშეცდომოდ რევოლუციის მოხდენა არ შეუძლიათ იმ მშრომელ კლასებს, რომელნიც საუკუნეების მანძილზე იჩაგრებოდნენ, იტანჯებოდნენ და ძალმომრეობის წყალობით სიღატაკის, უმეცრების, გაველურების მუხრუჭებში იყვნენ ჩაჭედილნი". ლენინის საქმის გამგრძელებლები კი აცხადებდნენ, ყოველი უარყოფითი მოვლენა, რომელიც საბჭოთა საზოგადოებაში იჩენს თავს, წყეული წარსულის გადმონაშთიაო, ხელოვნებამ უპირატესად "დადებითი გმირი" უნდა ასახოსო. ამრიგად, აკრძალული იქნა ის, რაც რუსეთში ნებადართული იყო თვით ნიკოლოზ პირველის დროს. როდესაც გოგოლმა თავის "მკვდარ სულებსა" და "რევიზორში" მხოლოდ უარყოფითი ტიპები გამოიყვანა და მეფეს ათქმევინა, ყველაზე მეტად მაინც მე მომხვდაო. ამ მავნე ტენდენციამ ყველა ხელოვნების დარგზე იქონია საზიანო გავლენა, მაგრამ ის განსაკუთრე-

ბით გამანადგურებელი მხატვრულ ლიტერატურაში და თეატრში იყო. ფერწერისა და განსაკუთრებით მუსიკის ცოდნა სპეციალურ მომზადებას მოითხოვდა, პოეზიისა და პროზის დარგში კი ყოველი ცეკას მდივანი და ინსტრუქტორი თავის თავს ახლად მოვლენილ პეტრონიუსად თვლიდა და მწერლებს მითითებებსა და შესწორებებს აძლევდა. უმთავრესად ამით აიხსნება, რომ საბჭოთა პერიოდში მხატვრულმა ლიტერატურამ მცირეოდენის გამოკლებით, დაკარგა ის მნიშვნელობა, რომელიც მამხილებელ ხელოვნებას აქვს. და ეს მოხდა იმისდა მიუხედავად, რომ მრავალი პოეტი, ბელეტრისტი და დრამატურგი მოკლებული არ იყო, არც ნიჭსა და არც ცოდნას.

განსაკუთრებით გამანადგურებელი კატასტროფა განიცადა ქართულმა არქიტექტურამ. წინაფეოდალურ და ფეოდალურ ეპოქებში ქართველმა ერმა შექმნა არქიტექტურული ძეგლები, რომელთაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვთ. ტაძრები, ციხე-დარბაზები და ციხე-კოშკები, გლეხური დარბაზები, ბანიანი და აივნიანი საცხოვრებელი სახლები. ყველა ამ ნაგებობათა მშენებლები ანგარიშს უწევდნენ ჩვენი ქვეყნის რელიერეფს, კლიმატურ პირობებს და საუცხოოდ სჭრიდნენ სივრცის პრობლემას. ჩვენი დროის ქართველი არქიტექტორები ცდილობდნენ დაეცვათ ეროვნული არქიტექტურის ტრადიციები და ისინი თანამედროვე სოციალური პირობებისთვის შეეგუებინათ. ამრიგად, თავდაპირველად თბილისსა და პროვინციაში რამდენიმე რიგიანი შენობა შეიქმნა. მაგრამ ბოლო დროს მოსკოვის მთავრობამ, ეკონომიის კარნახით, გადაწყვიტა ერთგვარი სტანდარტი

დაეკანონებინა არქიტექტურაში. ამის შემდეგ ყველგან საბჭოთა კავშირში არხანგელსკიდან და კოტლასიდან თბილისსა და ბაქომდე და რიგიდან და ვილნიუსიდან ვლადივოსტოკამდე სავალდებულო გახდა ერთი და იმავე მრავალსართულიანი ყაზარმული საცხოვრებელი სახლების აგება რკინა-ბეტონისაგან, რომელთაც დაბალჭერიანი ბინები და უდეკორაციო კედლები ახასიათებენ. ამ შენობებმა საბოლოოდ დაამახინჯეს თბილისის ახალი გარეუბნები და მთელი ქალაქის ეროვნული სტილი შეცვალეს. ძველი თბილისი, სადაც ერთ დროს ბანებზე ქალ-ვაჟნი ცეკვას მართავდნენ ზაფხულის საღამოს საათებში, ხოლო აივნები მეგობრული შეხვედრების და დროსტარების ადგილს წარმოადგენდა, მოსაწყენ ქალაქად იქცა, თუ შეიძლება მოსაწყენი გახდეს ადგილი, რომელსაც ასეთი ბედნიერი ზეცა, ასეთი საუცხოო რელიეფი აქვს და ასეთი სიცოცხლის მოყვარული მოსახლეობა ჰყავს.

XVIII

რადგან ტუნდრებში, ტაიგებში და უდაბნოებში სამუშაოდ თავისი ნებით არავინ მიდიოდა, საჭირო გახდა პოლიტიკური და სისხლის დანაშაულის ცნების უსაზღვროდ გაფართოება, რათა დამსჯელ ორგანოებს, რაც შეიძლება მეტი ხალხის დატყვევება და გადასახლება შეძლებოდათ. საბრალო პურის მწონავი, რომელიც ნახევარ კილო პურს იპარავდა, რათა მშიერი ბავშვები დაეოკებინა, დაბალი რანგის მოსამსახურე, რომელიც თავისი თვიური ხელფასით ერთწყვილ ფეხსაცმელსაც ვერ იყიდდა და რაიმე მარტივ კომბინაციას მიმართა-

ვდა, ხუთ და ათი წლის იგზავნებოდა შრომის ბანაკში. და ამ მონური შრომის არმიამ რამდენიმე მილიონს მიაღწია.

როგორც ყოველმა დიდმა სოციალურმა გარდატეხამ, ოქტომბრის რევოლუციამ შემუსრა საზოგადოების ერთი დიდი ნაწილი, მაგრამ სამაგიეროდ, მეორე ნაწილი აამოძრავა და დააკმაყოფილა. უამისოდ ის ვერ გაიმარჯვებდა და ამდენ ხანს ვერ გაძლებდა. ძველი რუსეთის იერარქიული საზოგადოება მოისპო, სამაგიეროდ შეიქმნა ახალი იერარქიული საზოგადოება სხვანაირი შემადგენლობითა და ფსიქოლოგიით. თუმცა მას სტალინის დიქტატურის დროს დემოკრატიის ნიღაბი ჰქონდა აფარებული, მაგრამ მაღალ და დაბალ ფენებად იყო დაყოფილი. საბჭოთა არისტოკრატია ცვალებადი და დენადი იყო, მუდმივ მისი განახლება ხდებოდა. მაგრამ, საერთოდ, მასში მსხვილი პარტიული და პროფკავშირული მუშაკების, მაღალი რანგის მოხელეების და სამხედრო პირების, გამოჩენილი მეცნიერების, მწერლების და ხელოვნების მოღვაწეების გვერდით ეგრეთ წოდებული სტახანოვური მუშათა არისტოკრატია არსებობდა. სოფლად, კოლმეურნე გლეხკაცობის მასას მატერიალურად უზრუნველყოფილი ელემენტები უპირისპირდებოდნენ სხვადასხვა თავმჯდომარეების, მდივნების და ბრიგადირების სახით. რადგან საბჭოთა ქვეყანაში ოპოზიციური პარტიები აკრძალული იყო, ამ ახლად წარმოშობილი არისტოკრატიის შეცდომების და ნაკლის გამომჟღავნება ეგრეთ წოდებული თვითკრიტიკის წესით ხდებოდა. ეს თვითკრიტიკა მისი ობიექტისათვის ხშირად საბედისწერო იყო.

ყველაზე პირნათლად თავისი აღთქმები საბჭოთა ხელისუფლებამ მრეწველობის მუშებს გაუმართლა და მათი მატერიალური და მორალური მდგომარეობა უდავოდ გააუმჯობესა. ამას მით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციის გამო მუშათა რიცხვი და ხვედრითი წონა ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში დიდად გაიზარდა. როგორც მუშათა უბნების, ისე ფაბრიკა-ქარხნების და მაღაროების სახე შეიცვალა, მათ ბევრი შეიძინეს კეთილმოწყობილობის და სილამაზის თვალსაზრისით. მუშა არათუ უკეთ იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებებს, არამედ აგრეთვე გრძნობდა, რომ მისი ადამიანური ღირსება განმტკიცდა და მან ურყევი ზნეობრივი პოზიცია დაიჭირა ახალ მშრომელ საზოგადოებაში. იგივე არ ითქმოდა კოლმეურნე გლეხკაობაზე. რთული და ძვირადღირებული სახელმწიფოებრივი აპარატი, ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების უჩვეულოდ გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დიდ მსხვერპლს მოითხოვდა გლეხკაცობისაგან; მაგრამ მისთვის მაინც ერთგვარი სანაზღაურო იყო, რომ მისი ჭირნახულის დიდი ნაწილი სახელმწიფოს მიჰქონდა და არა უქმ მემამულეს.

ფართო შინაგანმა ბაზარმა, დაკეტილმა უცხოეთის საქონლისათვის, სწრაფი განვითარების შესაძლებლობა მისცა საბჭოთა ინდუსტრიას და როგორც მუშათა კლასი და ტექნიკური ინტელიგენცია, ისე გლეხკაცობიდან გამოსული ახალგაზრდობა დიდი ხალისით ჩაება სტალინის ხუთნლედებით გამოწვეულ მშენებლობაში.

ზოგიერთი აღთქმა ისეთი იყო, რომ არავითარ

საზოგადოებაში არ შეიძლებოდა მისი დაკმაყოფილება. ლენინმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში ყოველ მზარეულ ქალს შესაძლებლობა მიეცემა სახელმწიფოს მმართველობაში მონაწილეობა მიიღოსო. ამის შემდეგ ბევრმა დედაკაცმა თავი დაანება სამზარეულოსაც და სამრეცხაოსაც. გლეხკაცობის დიდი ნაწილი სოფელს მოსწყდა, ვინაიდან ქალაქში მას გზა გაეხსნა უფრო კეთილმოწყობილი და კულტურული ცხოვრებისაკენ. ამან გამოიწვია სოფლის მეურნეობის კრიზისი, განსაკუთრებით იმ დარგებში, რომლებშიც ადვილი არ არის შრომის მექანიზაცია.

საბჭოთა ხელისაუფლებამ სტალინის ეპოქაში სტიპენდიების შემწეობით ახალგაზრდობას ფართოდ გაუღო საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების კარები. რადგან ამ ახალგაზრდობამ დაინახა, რომ ათწლედები და ტექნიკუმები მას არ უზრუნველყოფდნენ არსებობისათვის ბრძოლაში, მან უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებს მიაშურა. ამან გამოიწვია ინტელიგენტური პროფესიების ავსება მშიერი ბედისმაძიებლებით, ექიმებით, რომელთაც ერთი რეცეპტის გამოწერაც არ უხდებოდათ მთელი წლის განმავლობაში, იურისტებით, რომელთაც არავინ საქმეს არ ანდობდა და არც არავინ ანგარიშს არ უწევდა სასამართლოში, ინჟინრებით, რომელნიც ხშირად უბრალო ტექნიკოსების ადგილზე მუშაობდნენ, პოეტებით, რომელთაც სასვენი ნიშნების დასმა არ ეხერხებოდათ. გადამდებ ავადმყოფობად იქცა დისერტაციების წერა და მეცნიერებათა კანდიდატის და დოქტორის ხარისხის ძიება. და, შეიძლება ითქვას, რომ ძველ რუსეთში იმდენი სტუდენტი არ ყოფილა, რამდენიც

საბჭოთა კავშირში აკადემიკოსი, პროფესორი, დოცენტი ან ასპირანტი იყო. საქართველოში, სადაც თბილისის უნივერსიტეტის დაარსებამდე, ე.ი. 1918 წლამდე არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ ყოფილა, ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში უკვე 19 უმაღლესი სასწავლებელი და ორმოცი ათასი სტუდენტი იყო. რადგან პატარა ერს არ შეეძლო სამუშაო მიეცა ასეთი მრავალრიცხოვანი ინტელიგენციისთვის, მისი დიდი ნაწილი ან სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში მიდიოდა ან გონებრივი პროლეტარიატის რიგებს ავსებდა.

XIX

კომუნისტური სამყარო თავისი საიდუმლოებით ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა, როგორც მტრულად, ისე მეგობრულად განწყობილ უცხოელებში. თავის მხრივ, საბჭოთა ხელისუფლება დიდ სტუმართმოყვარეობას იჩენდა იმ უცხოელებისადმი, რომელთაც ამა თუ იმ მოსაზრებით თავის კარებსაც უღებდა. კლასიკური მარშრუტი, რომლითაც უცხოელი სტუმრების ქარავნები მოძრაობდნენ, ერთხანს მოსკოვი, თბილისი, ზაჰესი იყო. შემდეგ, როდესაც საბჭოთა მთავრობა დარწმუნდა, რომ ზაჰესის ნაგებობა არავითარ ენთუზიაზმს არ იწვევდა დასავლეთ ევროპის მუშებსა და ტექნიკურ ინტელიგენციაში, ხოლო სხვებს ის სრულიად არ აინტერესებდათ, მარშრუტი რამდენიმედ შეიცვალა. თბილისის შემდეგ სტუმრები ჩვეულებრივ გორის, ნატანების შრომის კოლმეურნეობებსა და წინანდალის საბჭოთა მეურნეობაში მიჰყავდათ. გახშირდა, აგრეთვე, მოსკოვიდან სტალინგრადში, კიევში და შუა აზიაში გამგზავრება.

ძნელი წარმოსადგენია, რომ რომელიმე უცხოელს, რომელიც თბილისში ან საქართველოს პროვინციაში სამ-ოთხ დღეს რჩებოდა და, ინტერესის მიხედვით, ცალი თვალით შეიხედავდა აკადემიის ან უნივერსიტეტის შენობაში, პიონერთა ან მწერალთა კავშირის სასახლეებში, რუსთაველის მეტალურგიულ ქარხანაში, წინანდლის ღვინის სარდაფში და ბოლოს გორში გაემგზავრებოდა, რათა იქ სტალინის ქოხი ენახა, რაიმე სწორი და ნათელი წარმოდგენა შექმნოდა საქართველოს ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე. მისი ინფორმაციის შევსებას ხელს ვერ შეუწყობდა ვერც ოფიციალური ბანკეტი შაბლონური სადღეგრძელოებით, ტრადიციული მწვადებით და სუფრის გარშემო უსიტყვოდ მსხდომი უმოძრაო ნიღბიანი ქართველი მზეთუნახავებით.

ფრანგი რომანისტის ანდრე ჟიდის სტუმრობას რამდენიმე კაცი შეეწირა საქართველოში. მათ შორის იყო ჩემი ძმისწული, ფილოსოფიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი გივი ქიქოძე, რომლისთვისაც საბედისწერო აღმოჩნდა მისი ფართო ლიტერატურული და მეცნიერული ინტერესი და ნაადრევი გონებრივი მომწიფება. მან ფრანგ მწერალს უწყინარი წერილი მიუძღვნა გაზეთ "კომუნისტში". ეს წერილი დიდ დანაშაულად ჩაუთვალეს, როდესაც გამოირკვა, რომ ანდრე ჟიდმა საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ ნაკლები აღფრთოვანება გამოიჩინა საბჭოთა წესწყობილებისადმი და კრიტიკულად შეაფასა მისი მიღწევები. ჩემი ძმისწული დაუყოვნებლივ დააპატიმრეს. მან ვაუკაცურად აიტანა ყველა წამება, რომელიც მიკერძოებულ დაკითხვასთან იყო დაკავშირებული

და ერთ ნაშუალამევს შინ დაბრუნდა სრულიად სახეშეცვლილი. მისი თავისუფლება ხანმოკლე აღმოჩნდა. არ გაუვლია ორიოდე თვეს, ის ხელახლა დააპატიმრეს. ამის შემდეგ მისი კვალი სამუდამოდ გაქრა.

ანდრე ჟიდს აშკარად ეტყობოდა, რომ ძალიან აღიზიანებდნენ მზვერავები, რომელნიც სულ ბოლო წლებამდე მუდამ თან სდევდნენ უცხოელ სტუმრებს. ფრანგი მწერალი, რომელიც თავისი მრავალრიცხვოვანი მოგზაურობის დროს შეჩვეული იყო დამოუკიდებლად ენახა ყველაფერი, შეეცადა საბჭოთა კავშირშიც უმეშვეოდ გასცნობოდა საგნებსა და ადამიანებს. როდესაც დონბასში მისთვის ერთი მაღაროელი მუშა წარედგინათ და ეთქვათ, ეს გამოჩენილი სტახანოველია და ერთ დღეში სამი დღის სამუშაო ნორმას ასრულებსო, მას დაცინვით ეპასუხა, ეს ძნელი არაა ადამიანისათვის, რომელიც წინათ დღეში, ალბათ ორიოდე საათის სამუშაოს ასრულებდაო. გორის და თელავის სასტუმროები მას ჭუჭყიანი და მოუწყობელი სჩვენებოდა. ბორჯომის ხეობაში ანდრე ჟიდს მოეხერხებინა რომელიღაც გლეხის ქოხში შესულიყო და გაოცებული დარჩენილიყო ცუდად გამოკვეთილი და ნახევრად ტიტველი ბავშვების დანახვით. მაგრამ გორის ციხესა და ბელადის ქოხს ანდრე ჟიდზეც დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა, და იქიდან მას სტალინისათვის დეპეშა გაეგზავნა.

პირადად მე რამდენჯერმე შევხვდი საფრანგეთის ყოფილ მინისტრს პიერ კოტს. მან აღტაცებით მიამბო, როგორ მიიღეს ველისციხის კოლმეურნეობაში, სადაც მასთან ერთად ყოფილიყო საქართველოს მეცნიერებათა ვიცე-პრეზიდენტი ნი-

კო კეცხოველი, რომელიც ბანკეტის დროს ამდგარიყო, ღობეზე გადამხტარიყო და კოლმეურნეებთან ერთად ეცეკვნა. ასეთი დაახლოება მეცნიერებასა და ხალხს შორის შეუძლებელია დასავლეთ ევროპაშიო, მითხრა პიერ კოტმა. ის ფიქრობდა, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ხსნა იქნებოდა ფრანგი ერისათვის, რომლის მოსახლეობა არ მრავლდებოდა საკუთრების დაქუცმაცების შიშით.

- საფრანგეთის პოლიტიკური წონა დიდად შემცირდება, - მითხრა პიერ კოტმა, - შეიძლება ფრანგულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ კიდევ დიდხანს წასაბაძი მაგალითი მისცეს კაცობრიობას, მაგრამ ჩვენ მომავალში აღარც ლუი მეთოთხმეტის ეპოქა გვექნება, არც დიდი რევოლუციის, არც ნაპოლეონ პირველის.

მე უფრო გულწრფელი რწმენის, ვიდრე მასპინძლის თავაზიანობის კარნახით ყველა იმ დიდი ადამიანების სახელები გავიხსენე, რომელნიც კაცობრიობას საფრანგეთმა აჩუქა: მოლიერის, ვოლტერის და ბალზაკის სამშობლო კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს კულტურულ ჰეგემონიას, თუნდაც პოლიტიკური ჰეგემონია ხელიდან გაუშვას, და პარიზი დიდხანს დარჩება იმად, რაც ანტიკური სამყაროსთვის ათენი იყო-მეთქი.

ზოგიერთი საზღვარგარეთელი სტუმარი აშკარად სკეპტიკურად, თვით მტრულადაც კი იყო განწყობილი. ერთმა ახალგაზრდა შვეიცელმა მწერალმა განაცხადა, მე ბევრი მიმოგზაურია ევროპასა და ამერიკაში და გარწმუნებთ, ჩემ სამშობლოში ხალხი უკეთ ცხოვრობს და უფრო ბედნიერია, ვიდრე საბჭოთა კავშირში და შეერთებულ შტატებ-

შიო. ვეთანხმები კნუტ ჰამსუნს, რომელმაც ამ ნახევარი საუკუნის წინათ თქვა, ყველაზე ნაკლებ რუსეთში და ჩრდილო ამერიკაში ვისურვებდი ცხოვრებასო.

დანიელ დელეგატებს საბჭოთა საქართველო დიდი პარადოქსების ქვეყანად ეჩვენათ: ჩვენ დავათვალიერეთ კარგად მოწყობილი თანამედროვე ქარხნები და მაღაროები, მზით განათებული ჩაის და ციტრუსების პლანტაციები, დავრწმუნდით, რომ ქართველები დიდი ოსტატები არიან ბანკეტების გამართვაში, მაგრამ, როდესაც გორიდან თბილისში ვბრუნდებოდით, გზაში შეგვხვდა ფანატიკური ბრბოს პროცესია, რომელმაც უცებ საშუალო საუკუნეების უბნელეს პერიოდში გადაგვიყვანაო. და მათ აგვიწერეს შახსეი-ვახსეი, რომელიც სოფელ აღაიანის შიიტებს გაემართათ ქსნის ნაპირას; დანიელი მწერლები და თეატრის მუშაკები ამ პროცესიას შემთხვევით წასწყდომოდნენ.

ზოგიერთი სტუმარი განსაკუთრებულ გულთბილობას და თანაგრძნობას იჩენდა ამ მისთვის უცნობი სამყაროსადმი. ესენი იყვნენ იმ დიდი გონებრივი ინტერნაციონალის წარმომადგენლები, რომელნიც თანამედროვე გათიშულ და შეშფოთებულ კაცობრიობაში ერთმანეთს ხელს უწვდიან, რწმენას ინარჩუნებენ ადამიანის გონების ძლიერებისადმი და ცდილობენ ანთებული ლამპარი ერთიმეორეს გადასცენ მარათონელი მორბენალებივით. ისინი გაოცებულნი იყვნენ, როცა ხედავდნენ, რომ მათი სამშობლოს დიდი მოაზრეები და ხელოვნების ოსტატები ახლობელი და გასაგები იყვნენ პატარა, მანამდე უცნობი ქართველი ერის ინტელიგენციისათვის. გაოცებულნი იყვნენ აგრეთვე, რო-

დესაც მათ ქართველი ერის ტრაგიკული და გმირული ისტორიის ეპიზოდებს ვუამბობდით და ხალხური ბალადების შინაარსს ვაცნობდით. და ჩვენ ვრწმუნდებოდით, რომ როგორც მორალური შეგნების საფუძვლები, ისე მშვენიერების შეგრძნება კულტუროსან კაცობრიობაში დამოკიდებული არაა გეოგრაფიულ გრძედსა და განედზე.

XX

იოსებ სტალინის სიკვდილით დასრულდა ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი საბჭოთა კავშირის ისტორიაში. როგორც უნდა დააფასონ მისი მემკვიდრეობა შემდგომმა თაობებმა, მტრებიც და მეგობრებიც იძულებული იქნებიან აღიარონ, რომ ეს იყო პოლიტიკური მოღვაწე, ერთნაირად ძლიერი, როგორც ნგრევის, ისე შენების საქმეში. მან წარმატებით განაგრძო ლენინის საქმე და რუსი ხალხი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდე ალკოჰოლის, ეპიდემიური ავადმყოფობის და უმეცრების ტყვეობაში იმყოფებოდა, მატერიალური და პროგრესის გზას დააყენა. თუმცა სტალინი ხშირად იმეორებდა, მე მხოლოდ ლენინის მოწაფე ვარო, მაგრამ სინამდვილეში მან სრულიად ახალი გზები უჩვენა საბჭოთა კავშირს. და ყოველივე, რაც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის საქმეში, ბოლოს, მსოფლიო ომში გაკეთდა, მისი ტიტანური ნებისყოფის სიძლიერეს და გონებრივი ჰორიზონტის სიფართოეს მოწმობს.

სტალინი არასოდეს ცხოვრების მიერ განებივრებული არ ყოფილა და არც უძებნია ნებივრობა: თავის თავს სუსხიან ატმოსფეროში უკეთ

გრძნობდა, ვიდრე კრემლის სასახლეში, და დამახასიათებელია, რომ ახალგაზრდობაში ფილტვების ტუბერკულოზისაგან ციმბირის მკაცრი ყინვების შემწეობით განიკურნა. სტალინი, ალბათ, იმდენად გენერალ დენიკინის პარტიული ოპოზიციონერების, ფელდმარშალ გუდერიანის წინააღმდეგ ბრძოლას არ დაუღლია, როგორც ჯერ ჰიტლერთან შეთანხმებამ, ხოლო შემდეგ რუზველტსა და ჩერჩილთან დამეგობრებამ დაღალა. როგორ შეეძლო ვინმეს ხანგრძლივად დამეგობრებოდა ეს ადამიანი, რომელიც ცხოვრებას საყოველთაო შეუნელებელ ომად თვლიდა. კაცი მას ან უნდა გასცლოდა, ან დამორჩილებოდა. მისი მძაფრი ცალი ხელის მოძრაობა (მეორე ხელი შემხმარი ჰქონდა), მისი დამცინავი ღიმილი თხელ ტუჩებზე, მისი გამსჭვალავი თვალების გამომეტყველება მოწმობდნენ, რომ ის ათვალისწუნებით ან უნდობლად უყურებდა ადამიანებს და უმრავლესობას ან ადვილად მოსაყიდად თვლიდა, ან მონური მორჩილების და დასჯის ღირსად.

სტალინი ყოველთვის დროს პოულობდა წიგნები ეკითხა, მაგრამ ცალმხრივად განათლებული კაცი იყო და, არსებითად, ვერ იცნობდა დასავლეთ ევროპის კულტურას. ფაშისტური კოალიციის დამარცხების შემდეგ მას იმედი მიეცა, რომ დიდი ხნის ნანატრი მსოფლიო რევოლუციის საათმა დაჰკრა. ეს იმედი არ გაუმართლდა. აღმოჩნდა, რომ ბურჟუაზია ბევრად უფრო ჯანსაღი ყოფილა, ხოლო დასავლეთ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ხალხები ისე არ გადაგვარებულან და დაბერებულან, როგორც ზოგიერთ მოაზროვნეს ჰქონდა წარმოდგენილი. მეორე მსოფლიო ომ-

ის წლებში, ხოლო განსაკუთრებით მისი დასრულების შემდეგ დასავლეთმა ევროპამ მოახდინა თავისი იდეური და ტექნიკური საჭურველის განახლება და თავისი რიგები გადააჯგუფა. ყველგან დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში გაძლიერდნენ პოლიტიკური პარტიები და იდეოლოგიური დაჯგუფებანი, რომელნიც სოციალური რეფორმების და ქრისტიანობის ჰუმანიზმის იდეებს იცავენ და ცდილობენ მშრომელი ხალხის გაზრდილი ეკონომიური და კულტურული მოთხოვნილებანი დაკმაყოფილონ. კლასთა ბრძოლამ დაკარგა თავისი სიმწვავე. კლასობრივი წინააღმდეგობანი შესუსტდნენ; და სრულიად უცილობელია, რომ დღეს დიდი ბრიტანეთის მუშათა კლასი ბევრად უკეთეს პირობებში იმყოფება, ვიდრე ამ ასი წლის წინათ იმყოფებოდა, როდესაც ფრიდრიხ ენგელსი თავის წიგნს წერდა ინგლისის მუშათა კლასის მდგომარეობაზე. ხოლო საფრანგეთისა უკეთესში, ვიდრე ზოლას რომანების "ხაფანგის" და "ჟერმინალის" მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. და თუ მართალი იყო მარქსი, რომ სოციალისტური რევოლუცია უინგლისოდ ერთ ჭიქა წყალში მომხდარი ქარიშხალი იქნებოდა, მსოფლიო რევოლუციას ძველი მარქსისტული გაგებით, ძალიან უიმედო პერსპექტივები აქვს.

დასავლეთის ინტელიგენციამ და ბურჟუაზიამ შესძლო არა მარტო სოციალური შუღლის განელებაც, პანაევროპის იდეა გაფართოვდა, ის ატლანტიკური კულტურის იდეამდე ამაღლდა. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის სოციალისტურ რევოლუციას, საბჭოთა კავშირის ექსპანსიას შორეული აღმოსავლეთისაკენ ერთგვარი ძა-

ლთა გადალაგება მოჰყვა ბურჟუაზიულ სამყაროში; ეს მოძრაობა რამდენიმედ იმ კონტრრეფორმაციას ჰგავს, რომლითაც კათოლიკურმა ეკლესიამ პროტესტანტების პირველ მძლავრ შეტევას უპასუხა მეჩვიდმეტე საუკუნეში.

ჩინეთის გაკომუნისტება სტალინის საგარეო პოლიტიკის უკანასკნელი ტრიუმფი იყო. იაპონიის დამარცხების შემდეგ მოიშალა ძლიერი ბარიერი, რომელიც საბჭოთა კავშირს წინ ეღობებოდა შორეულ აღმოსავლეთში, და იმ დღეს, როდესაც შეერთებული შტატების ატომურმა ბომბებმა ხიროსიმა და ნაგასაკი აღგავეს, ნიადაგი გამოეცალა ამერიკისადმი მეგობრულად განწყობილ ჩანკაიშის. ის ნაციონალური დროშით გამოდიოდა აგრესიულად განწყობილი იაპონიის წინააღმდეგ და თანაგრძნობას პოულობდა ჩინელი ხალხის ფართო მასებში. მაგრამ ეს დროშა მას ხელიდან გამოგლიჯეს ჩინელმა და რუსმა კომუნისტებმა, რომელნიც ურთიერთშეგუების და დახმარების პოლიტიკას აწარმოებდნენ.

თავისი მხრით ჩინეთის გაწითლებას გრანდიოზული შედეგები მოჰყვა. ჯერჯერობით ძნელი გასათვალისწინებელია, რა სახეს მიიღებენ ლონდონის ბიბლიოთეკაში დაწერილი მარქსის "კაპიტალის" იდეები, როდესაც ისინი კრემლიდან პეკინში გადაინაცვლებენ. აზიის, აფრიკის, სამხრეთ-ამერიკის ერების გააქტივება ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო; ჩინეთის, ინდოჩინეთის, ინდოეთის განთავისუფლება ევროპის და ჩრდილო-აფრიკის მეურვეობისაგან პირველი მნიშვნელოვანი ეპიზოდებია იმ მსოფლიო ისტორიული რევოლუციისა, რომელიც რადიკალურად სახეს

უცვლის პოლიტიკური გეოგრაფიის რუკას. ეროვნული განთავისუფლების იდეამ ნილოსის სათავეებამდე და ზამბეზის ნაპირებამდე მიაღწია. ძნელი წარმოსადგენია, რომ დასავლეთმა ევროპამ და შეერთებულმა შტატებმა დიდხანს შეინარჩუნონ პოლიტიკური და ეკონომიური ჰეგემონია. რაც შეეხება მათ კულტურულ როლს, მოსალოდნელია, რომ ისიც მნიშვნელოვნად შეიცვლება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სტალინი ისევე ეპირფერებოდა რუს ხალხს, როგორც თავის მხრივ ეს ხალხი ეპირფერებოდა მას. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მან საჭიროდ სცნო ძველი არსენალიდან გამოეტანა რუსი ნაციონალისტების დაჟანგებული იარაღი და გამოეცხადებინა, რომ რუსეთი კაცობრიობის სათავეში მიაბიჯებდა , მატერიალური და სულიერი კულტურის ყოველ-დარგში. ლომონოსოვი, გლინკა, რეპინი, პავლოვი, მიჩურინი და სხვები უბადლო გენიოსებად იყვნენ გამოცხადებულნი. აღმოჩნდა, რომ კაცობრიობა რუსებს უნდა უმადლოდეს ყველა მნიშვნელოვან აღმოჩენას თანამედროვე ტექნიკის დარგში. სტალინის ერთმა საჯარო სიტყვამ, ომის დასრულების შემდეგ წარმოთქმულმა კრემლის ბანკეტზე, რომელშიც მან რუსობას უჭკვიანესი და უნიჭიერესი ერი უწოდა, ნამდვილი შეზარხოშება გამოიწვია თვით რუსეთში, მაგრამ გააღიზიანა სხვა საბჭოთა ერები, რომლებიც მართებულად თუ უმართებულოდ ფიქრობდნენ, რომ ჩვენს პლანეტაზე განაწილებული ჭკუის თუ უჭკუობის გაზომვა ასე ადვილი არაა, თვით ყველაზე მაღლა მჯდომი დიქტატორისათვის.

ბოლოს სტალინი უმძაფრეს წინააღმდეგობათა

ქსელში გაება. ის ერთი მხრით ცდილობდა საიდუმლოებით მოცულ, განცალკევებულ სამყაროდ ექცია საბჭოთა კავშირი, გაეძნელებინა ნორმალური ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის დამყარება დასავლეთის სახელმწიფოებთან, მეორე მხრით კი აცხადებდა, სრულიად ადვილი მისაღწევია სოციალისტური და კაპიტალისტური სამყაროს მშვიდობიანი თანაარსებობაო. ერთი მხრით აღიარებდა, რომ რევოლუციური იდეების გატანა არ შეიძლება ხიშტების წვერზეო, მეორე მხრით, უარს ამბობდა ჯარები გამოეყვანა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და სამხედრო დახმარებას უწევდა ჩინელებსა და კორეელებს. ერთი მხრით, ახალი, ყველაზე დაწინაურებული საბჭოთა დემოკრატიის მაუწყებლად გამოდიოდა, მეორე მხრით, სახელმწიფოს მესაჭეობას თავის სამუდამო პრივილეგიად თვლიდა. კომუნისტური პარტიის მეცხრამეტე ყრილობაზე, რომელიც მისი გარდაცვალების წინ შედგა, მას ფიზიკური სისუსტის გამო ძალიან გაუჭირდა სიტყვის წარმოთქმა: ეს იყო მოწოდება დამსწრე და დაუსწრებელი უცხოელი ამხანაგებისადმი, წაჰბაძეთ ძველ ბოლშევიკებს, რომელთაც ბევრად უფრო ძნელ პირობებში მოახდინეს ოქტომბრის რევოლუციაო. ეს მოწოდება არ ეთანხმებოდა მშვიდობიანი თანაარსებობის და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს.

ბოლო დროს სტალინის თვითგანდიდებამ ავადმყოფური და საშიში ხასიათი მიიღო. ნაწილობრივ უსაზღვროდ მლიქვნელი გარემოცვის, ნაწილობრივ ნიცშეს და დოსტოევსკის იდეების ზეგავლენით, რომელთაც, როგორც ეტყობა, იმოქმედეს სტალინის აზროვნებაზე, მან თავი წარმოიდ-

გინა ზეკაცად, რომლისთვისაც არ არსებობს გა-
ნსხვავება ბოროტებასა და სიკეთეს შორის და
ყოველივე ნებადართულია. ვეღარავინ ბედავდა
სტალინის სახელი ისე წარმოეთქვა, რომ თან მი-
სთვის უდიდესი გენიოსი არ ეწოდებინა. გაზეთე-
ბში მისი სურათი თითქმის ყოველდღე იბეჭდებო-
და, სამხატვრო გამოფენებზე თითქმის არაფერი
ჩანდა, გარდა მისი პორტრეტებისა და მისი ბი-
ოგრაფიის ამსახველი კომპოზიციებისა. პოეტები,
კომპოზიტორები მას ჰიმნს უმღეროდნენ განუწყ-
ვეტლივ. ძნელი იყო რაიმე მეცნიერული ნაშრო-
მის გამოქვეყნება, თვით უმაღლესი მათემატიკის,
თვით გინეკოლოგიის დარგიდან, თუ ავტორი ცი-
ტატებს არ მოიყვანდა მისი ნაწერებიდან. თითქ-
მის ყოველ პროვინციულ ქალაქში ან დაბაში
სტალინის ძეგლი იდგა. ხშირად ის წარმოდგენი-
ლი იყო იმპერატორ მარკ ავრელიუსივით ხელგა-
წვდილი, მხოლოდ უკვერთხოდ და უცხენოდ. ყო-
ველი მისი საჯარო გამოსვლა ტაშის გრიალს იწ-
ვევდა, ეს ოვაცია ათ-თხუთმეტ წუთს გრძელდე-
ბოდა და ფეხზე მდგომ აუდიტორიის სრულ და-
ოსებას იწვევდა. დაუსრულებელი ტაშის ცემით
ხვდებოდნენ აგრეთვე მისი სახელის ხსენებას სა-
ჯარო სხდომებზე. ბოლოს სტალინმა თავის თავს
დაუწყო ტაშის დაკვრა. პროვინციელმა ორატო-
რებმა ეს წასაბაძ მაგალითად მიიჩნიეს და შემო-
ღებულ იქნა საკუთარი სიტყვის საკუთარი ტაშის
დაბოლოვება.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სტალი-
ნმა გულწრფელად დაიჯერა, რომ უბადლო გენი-
ოსი იყო ყოველ დარგში. იმ გარემოებამ, რომ ნი-
კო მარი, როგორც ეტყობა, ხანგრძლივი გონებ-

რივი მუშაობით დაიღალა და ბოლო დროს უიმ-ედოდ დაიბნა თავისი ლინგვისტიკური თეორიებ-ის შამბნარში, სტალინს გაუადვილა მისი გაკრი-ტიკება. მაგრამ ის შეუდგა აგრეთვე სიმფონიების და ოპერების გაკრიტიკებას, მითითებების მიცემას რომანების და კინოსცენარების ავტორებისათვის. არქიტექტურული ანსამბლების დაგეგმვას. ბოლოს, თითქმის გარდაცვალების წინა დღეებში მან დაწე-რა "სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები", მა-რქსისტული სქოლასტიკის შედევრი, რომელიც მა-შინვე ახალ კატეხიზმოდ იქნა გამოცხადებული, და, როგორც სავალდებულო სახელმძღვანელო, მთელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობას ჰიპერტო-ნიით დაასნეულებდა, თუ თვით მისი ავტორი არ გარდაცვლილიყო.

სტალინს გადაწყვეტილი ჰქონდა რადიკალური შესწორებანი შეეტანა საბჭოთა კავშირის ფიზიკ-ურ გეოგრაფიაში. მდინარეებს მიმართულება უნ-და შესცვლოდათ, ისინი ერთი ზღვის მაგივრად მეორეს უნდა შერთვოდნენ. ტრამალები ტყეებს უნდა შეემოსათ, უდაბნოები წალკოტებად უნდა გადაქცეულიყდვნენ, პოლარული ტუნდრები - სუ-ბტროპიკებად. ამ გრანდიოზულ გეგმას, შთაგო-ნებულს ეგვიპტის ყველა ოცდარვა დინასტიის ფარაონთა მუმიების მიერ, მთელი საბჭოთა მო-სახლეობის შრომა და სიცოცხლე უნდა შესწირე-ბოდა. მაგრამ რადგანაც ანტირელიგიურად მოა-ზროვნე მოქალაქეებს პირადი უკვდავება არ სწა-მდათ, მათთვის ძნელი გასაგები იქნებოდა, რად უნდა შეეწირათ თავიანთი კეთილდღეობა მომავა-ლი უცნობი თაობების საეგებისიო კეთილდღეო-ბისათვის.

XXI

1951 წელს სტალინი საქართველოს ეწვია და ორი-სამი თვე წყალტუბოში გაატარა. მისთვის საგანგებოდ სწრაფი ტემპით განაახლეს ლიკანის დიდი სასახლე და წყალტუბოს აგარაკი. საჭირო მასალა თვითმფრინავებით მოდიოდა მოსკოვიდან. თუმცა სტალინი ყველგან მცველების მჭიდრო რაზმებით იყო გარემოცული, ხალხი თავის პატივისცემას და სიყვარულს უცხადებდა, სადაც კი ამას ახერხებდა. ცნობისმოყვარენი და პატივისმცემელნი ყველგან ცდილობდნენ ბელადის ავტომანქანას მიახლოებოდნენ და მისთვის თითებით ენიშნათ, რამდენი ათეული წლის სიცოცხლეს უსურვებდნენ კიდევ. ეს წმინდა ბავშვური აღტაცება ჩქარა საშინელმა გამოფხიზლებამ შეცვალა.

საქართველოში ყოფნის დროს სტალინს პირადად მიელო უშიშროების მინისტრი გენერალი რუხაძე, რომელსაც კარიერისტული მოსაზრებით, თავისი უზომო ერთგულების და სიფხიზლის დასამოწმებლად, მისთვის მოეხსენებინა, რომ საქართველოში რაღაც უცნაური ორმაგი სეპარატისტული შეთქმულება მზადდებოდა, საერთო ქართული და კერძო მეგრული, და ეს შეთქმულება უცხოეთის ფინანსური წყაროებით საზრდოობდა. მართალია, ამის შემდეგ სტალინს კანდიდ ჩარკვიანი მიეწვია და საქმის ვითარება ეკითხა, მაგრამ მისი განმარტებისათვის ანგარიში არ გაეწია. ამას მოჰყვა მეგრელი ხელმძღვანელი მუშაკების დატუსაღება, კანდიდ ჩარკვიანის გადაყენება და ოცდათხუთმეტი ათასი სულის გადასახლება საქართველოს ყოველი კუთხიდან.

ეს მასობრივი გადასახლება ყველაზე აღმაშფოთებელი აქტი იყო, რომლის ანალოგიას ძნელად მოვძებნიდით თვით საქართველოს უბნელესი ეპოქების მატიანეებში. გადასახლებულ იქნენ მეორე მსოფლიო ომში დასახიჩრებული ჯარისკაცები, სამშობლოში დაბრუნებული სამხედრო ტყვეები, რომელთაც ბრალად დასდეს, რატომ თავი არ მოიკალით გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში, ან რატომ იქ ამბოხება არ მოახდინეთო; ინტელიგენტები, რომელთა ცოლებს შორეული ნათესავები ჰყავდათ ემიგრაციაში; ქალები, რომელთაც ოდესღაც საჩუქრად ხელთათმანები ან კომბინეზონი მიეღოთ პარიზიდან; ბოლოს, შემთხვევითი ადამიანები, რომელნიც უშიშროების ორგანოებს საეჭვოდ მიაჩნდათ რაიმე მიზეზის გამო.

ეს გადასახლება ერთ ღამეს ჩატარდა, 1951 წლის 25 დეკემბერს. წინა დღით არავინ იცოდა, რომ ყველაფერი მზად იყო ამ გრანდიოზული ოპერაციისათვის, ჯარის ნაწილებიც, რაიმე წინააღმდეგობის დასათრგუნად, მატარებლებიც, გამყოლთა რაზმებიც, ექიმებიც, მწირი საგზალიც. უბედურებს თან მიჰქონდათ, რისი წაღებაც შეიძლებოდა. ერთი ტომარა სიმინდის ფქვილი, დაშაშხული ღორის ხორცი, საკერავი მანქანა ან სხვა რაიმე სამუშაო ხელსაწყო, ბოლოს, ერთი მუჭა მიწა. ბევრი გზაში დაიხოცა, ბევრიც შუა აზიის პლანტაციებში. მათი ბინები სხვებს გადაეცა, მათი ავეჯი და სულადი საქონელი გაიყიდა.

როდესაც სტალინი გარდაიცვალა, მთავრობამ დაიწყო ამ გადასახლებული ქართველების უკან დაბრუნება, მაგრამ რადგან საიქიოდან დაბრუნება ყოველთვის უფრო ძნელია, ვიდრე იქით გამგ-

ზავრება, გადასახლებულთა ერთი დიდი ნაწილი ყაზახეთის და უზბეკეთის უდაბნოებში დიდხანს ამაოდ ელოდა თავისი ბედის გადაწყვეტას.

სტალინის სულთმობრძაობა ორი-სამი დღე გაგრძელდა და ამიტომ მისი სიკვდილი მოულოდნელი არ იყო. ოფიციალურმა სამგლოვიარო ცნობამ მაინც დიდი შეშფოთება გამოიწვია თბილისში. ქართველ ხალხს ეშინოდა, რომ ბელადის სიკვდილს კიდევ უფრო მეტი უბედურება არ მიეყენებინა მისთვის, ვიდრე მისი სიცოცხლის უკანასკნელმა წლებმა მიაყენა. ნაცნობები შეშინებული სახეებით ხვდებოდნენ ერთმანეთს და ახალ ამბავს კითხულობდნენ. ხალხის ერთი ნაწილი გულწრფელად გლოვობდა; ზოგს ცრემლი სდიოდა, მაგრამ ხშირად ძნელი გასარჩევი იყო, მწუხარების ცრემლები იყო ეს, თუ სიხარულისა. ბევრს აშკარად ეტყობოდა, რომ ეშინოდა, მრისხანე დიქტატორი კუბოდან არ წამოდგეს და პასუხი არ მომთხოვოს ნაადრევი და უმართებულო გრძნობების გამომჟღავნების გამოო. ბევრი მკითხაობდა, შეიცვლებოდა თუ არა პოლიტიკური გეზი და სახელდობრ, რა მიმართულებით. ბოლოს, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ცოტათი თავისუფლად ამოისუნთქა: მან იგრძნო, რა მძიმე ტვირთი აწვა მხრებზე ოცდაათი წლის მანძილზე. განსაკუთრებით დიდი შვება, როგორც ეტყობოდა, სტალინის უახლოესმა თანამშრომლებმა იგრძნეს; მათ ცხედარი საჩქაროდ მოიშორეს თავიდან: სტალინი დასაფლავებულ იქნა გარდაცვალების მეოთხე დღეს, ორშაბათს, რომელსაც ქრისტიანული ეკლესია ჩვეულებრივ არ იყენებს ამ მიზნით.

სტალინის გამოგლოვებამ და დასაფლავებამ აპოთეოზის ხასიათი მიიღო. მოსკოვიდან რადიოტა-

ლღებს დაუსრულებლად სიტყვების და მუსიკის ხმები მოჰქონდათ. მოცარტის რექვიემს ბეთჰოვენის საგმირო სიმფონია სცვლიდა, ბერლიოზის სამგლოვიარო და ტრიუმფალურ სიმფონიას - შოპენის სამგლოვიარო მარში; ფალიაშვილის "დაისის" მაროს მოთქმას ქართველი ქალის ხმები შეჰქონდა ამ გრანდიოზულ ქორალში, და მსმენელს ადვილად შეიძლებოდა სჩვენებოდა ეგვიპტელი ფარაონის ან პრეისტორიული გვაროვნული საზოგადოების ბელადის დამარხვას ვესწრები და წარმართი მოგვების ჰიმნი მესმისო.

რუსეთში მთელი მოსახლეობა ადგილიდან დაიძრა, რათა სტალინის ცხედარს გამოსთხოვებოდა. მდაბიო ხალხს დედაქალაქისაკენ იზიდავდა არა მარტო ცნობისმოყვარეობა, არამედ ნამდვილი მწუხარებაც. მთავრობა არ ელოდა ასეთ მასობრივ ფსიქოზს და იძულებული გახდა მოსკოვის გარშემო სამხედრო კორდონი შეექმნა, რათა ეს აზღვავებული ბრბოები შეეჩერებინა. ქალაქს მაინც დიდძალი ხალხი მიაწყდა. ყველა ცდილობდა გვირგვინებით შეემკო ბელადის კუბო, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო და ყვავილების ზვინებმა მთელი მოედნები დაფარა. ყველა ცდილობდა ყვავილის ფურცელი ან ღერო მოეწყვიტა და თან წაელო მიცვალებულის სამახსოვროდ. მოსკოვის ქუჩებში და მოედნებზე ამ ჭედვაში უამრავი ადამიანი გაიჭყლიტა. სტალინის დასაფლავებამაც ისეთივე მსხვერპლთ შენირვა მოითხოვა, როგორსაც მისი ამქვეყნიური ცხოვრება ითხოვდა.

XXII

ისეთი კაცის მემკვიდრეობის მიღება, როგორიც სტალინი იყო, ყოველ მხრივ ძნელია. მან თავის

მიმდევრებს დაუტოვა მძიმე ტვირთი, რომელიც ისევე ძნელი ასაწევია, როგორც სტალინისათვის ლენინის მემკვიდრეობის აწევა იყო. ჯერ საბჭოთა კავშირის ომმა ფინლანდიის წინააღმდეგ, შემდეგ პოლონეთის გაყოფამ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის, კიდევ შემდეგ პოლონეთის საზღვრების მიყვანამ ელბასა და ნეისემდე, კენიგსბერგის ანექსიამ, წითელი არმიის ნაწილების დაბანაკებამ ელბის ნაპირებზე, ბოლოს, ჩინეთის გაკომუნისტებამ და კორეის ომმა დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ წრეებში გამოიწვიეს ეჭვიანობის და შეშფოთების გრძნობა, რომლის განელება არ შეიძლებოდა პროფესორ ჟოლიო-კიურის სიტყვებით, ილია ერენბურგის პუბლიცისტიკით და პოლ რობსონის სიმღერებით.

სტალინის სიკვდილის შემდეგ ბერიამ, როგორც ეტყობა, წარმოიდგინა, რომ რაკი დიდი ჯავშნოსანი გემი, რომელზეც მისი პატარა კატარღა იყო მიბმული, ჩაიძირა, მას შეეძლო მთელი ფლოტის ადმირალი გამხდარიყო და ის ნავსადგურში შეეყვანა. მაგრამ მან ანგარიში არ გაუწია ზოგიერთ ახალ მძლავრ პოლიტიკურ და მორალურ ფაქტორს. ამ ფაქტორთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო რუსი ხალხის ეროვნული სიამაყის გრძნობის გაძლიერება მეორე მსოფლიო ომის მოგების შემდეგ. რუსი ხალხი, რომელიც სტალინს მის სიცოცხლეში ლენინის უახლოეს მეგობრად თვლიდა და თითქმის არც კი გრძნობდა მის არარუსულ წარმოშობას, ბერიას არასოდეს არ აპატიებდა არც ლენინის გზიდან გადახვევას და არც მის მკვეთრ ქართულ-მეგრულ აქცენტს.

რადგანაც ბერიას არც ფართო შემოქმედებითი

ჭკუა ჰქონდა და არც ზნეობრივი ავტორიტეტი, თუ ის შემთხვევით ხელისუფლების სათავეში მოექცეოდა, მოსალოდნელი იყო, რომ დაიწყებოდა სამოქალაქო ომი, რომელიც, ალბათ, საბედისწეროდ დამთავრდებოდა ქართველი ერისთვის, ვინაიდან მას პასუხს აგებინებდნენ ბერიას ავანტიურისთვის. როგორც ცნობილია, ეს ავანტიურა ტრაგიკულად დამთავრდა თვით ბერიასთვის.

ბერიას გასამართლების დღეებში თბილისში ნახევრად დახურულ კრებებზე, სადაც უპარტიონიც იყვნენ დაშვებულნი, წაკითხულ იქნა გრძელი საბრალმდებლო ოქმი, რომელიც ერთ დიდ ტომს შეადგენდა და, როგორც ამბობდნენ, რამდენიმე ტომის ექსტრაქტი იყო. მთავარი ბრალდება, რომელიც ბერიას ჰქონდა წაყენებული, ის იყო, რომ მას უნდოდა პარტიული და სახელმწიფოებრივი ორგანოები შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის დაექვემდებარებინა; სხვა სიტყვებით, ეს ნიშნავდა ხელისუფლების დაპყრობას ბერიას მიერ და ერთპიროვნული დიქტატურის დამყარებას. შემდეგ მას უნდოდა რუსული ელემენტების შესუსტება მოკავშირე რესპუბლიკებში, რითაც დიდ უთანხმოებას გამოიწვევდა საბჭოთა კავშირშიო. მას უნდოდა ინდივიდუალური მეურნეობა გაეძლიერებინა კოლმეურნეობის ხარჯზეო. მან ფარული კავშირი დაიჭირა იუგოსლავიასა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან და აპირებდა გერმანიისთვის კენიგსბერგის ოლქი დაებრუნებინა, ფინლანდიისთვის - ვიბორგი, ხოლო იაპონიისთვის - კურილიის კუნძულებიო.

საბრალმდებლო ოქმის ავტორები ბერიას დანაშაულად უთვლიდნენ ერთი სამხედრო ღონისძი-

ების მიღებას, რომელიც შეიძლება, ყველაზე გონიერი აქტი იყო მის პოლიტიკურ მოღვაწეობაში. 1942 წლის მიწურულში, როდესაც გერმანელების ჯარები კავკასიონის ქედს მოადგნენ, კავკასიის ფრონტზე, სტალინის დავალებით, ბერია ჩამოვიდა. მან გადააყენა რუსი სარდალი, რომელიც შეუჩერებლად უკან იხევდა, და მის მაგივრად გენერალი ლესელიძე დანიშნა. ახალი სარდალი ენერგიულ შეტევაზე გადავიდა, მტრის ჯარი უკუაქცია და შორს სდია, სანამ თვითონ სასიკვდილოდ დაიჭრებოდა. საბრალმდებლო ოქმში ნათქვამი იყო, საჭირო არ იყო რუსი სარდლის შეცვლა ქართველითო.

ცალკე მუხლს შეადგენდა საწამლავის ლაბორატორიის შექმნა ბერიას მითითებით და ვინმე მაირანოვსკის ხელმძღვანელობით. ამ ლაბორატორიაში ყოველგვარი საწამლავი მზადდებოდა, ფხვიერი, თხევადი, გაზისებური, სწრაფმომქმედი და ნელა მომქმედიო. მაირანოვსკი ბერიას დავალებით ცდებს ახდენდა სრულიად უდანაშაულო ადამიანებზე და მრავალი მათგანი გამოასალმა წუთისოფელსო.

ბოლოს, ბერიას და მის ხელქვეითებს სქესობრივი აღვირახსნილობა და ოჯახური მორალის გახრწნა ედებოდა ბრალად. თავისი საგანგებო აგენტების შემწეობით მან შექმნა უზარმაზარი ჰარამხანა, სადაც ყოველი ასაკის და კანისფერის ქალი მოიპოვებოდაო. ამ ქალებს ინტიმური კავშირი ჰქონდათ აგრეთვე, უცხოელ დიპლომატებთან და ჯაშუშურ ცნობებს აწვდიდდნენ ბერიასო.

ჯერ კიდევ ბერიას დახვრეტამდე საბჭოთა ხელისაუფლება შეეცადა გაენელებინა სტალინის ჰე-

როიზაცია და ამასთან დაკავშირებით გადასინჯა გმირული პიროვნების როლის საკითხი. წინ წამოწეულ იქნა კოლექტიური შემოქმედების, კოლექტიური ხელმძღვანელობის იდეა; აღიარებულ იქნა, რომ ცალკე პიროვნება, რარიგ მაღალნიჭიერიც უნდა იყოს ის, დაზღვეული არაა შეცდომებისაგან. ბოლოს, სტალინი ლენინის საქმის უბრალო გამგრძელებლად გამოცხადდა; მისი სიკვდილის და დასაფლავების დღეების წლისთავი გაზეთებში მხოლოდ მოკლე წერილებით აღინიშნა, სამგლოვიარო მიტინგები აიკრძალა.

უბრალო ხალხმა უსამართლოდ სცნო ასეთი მოულოდნელი გადაფასება ადამიანისა, რომელიც მანამდე ყველა ეპოქების უდიდეს გენიოსად იყო აღიარებული. განსაკუთრებით ძლიერი იყო თბილისის ახალგაზრდობის პროტესტი. ამ პროტესტმა ერთგვარი ნაციონალური დემონსტრაციის ხასიათი მიიღო.

1954 წლის ხუთ მარტს, სტალინის გარდაცვალების წლისთავზე ვიღაც ქართველ გოგონას იების კონა მიეტანა სტალინის ძეგლთან და კვარცხლბეკზე დაედო. მისთვის წაებაძათ სხვა მოსწავლეებს. პატარა კონებს გვირგვინები და ყვავილწნულები მოჰყვა და ბოლოს მთელი უზარმაზარი ბრინჯაოს ძეგლი, მისი კვარცხლბეკი და საფეხურები ყვავილებით დაიფარა.

ეს გლოვა ათი დღე გაგრძელდა. თითქმის მთელი თბილისის მოსახლეობამ მოკრძალებით გაიარა ბელადის ქანდაკების წინ. ზოგიერთი იქ ღვინით მივიდა, რათა განსვენებულის შესანდობარი დაელია. კვარცხლბეკის საფეხურებზე საპატიო დარაჯები იდგნენ განთიადიდან შუაღამემდე. ისინი უმ-

თავრესად სტუდენტებისა და მოსწავლეებისაგან შედგებოდნენ. არც ერთხელ არ დარღვეულა წესიერება, წესრიგს თვით მონაწილეები იცავდნენ მორიგეობით. სიტყვებს ლექსები ცვლიდა, ლექსებს - საგალობელი ჰიმნები. ხალხი ხშირად მუხლს იდრეკდა "ნანასა" და "გაფრინდი, შავო მერცხალოს" გაგონებაზე. ძალიან ხშირად გაისმოდა სიტყვა უკვდავება. ხშირად ისმოდა აგრეთვე, ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, პატარა კახის სახელები. აშკარად ჩანდა, რომ დიდი ხნის მანძილზე ჩახშულმა პატრიოტულმა გრძნობამ გამოსავალი იპოვა და სტიქიონური ძლიერებით გადმოხეთქა. ქართველმა ახალგაზრდობამ თითქო დაივიწყა ის ზიანი, რომელიც საქართველოს სტალინის დიქტატურამ მიაყენა ოცდაათი წლის მანძილზე, აპატია მისი სიმკაცრე და სატანური თავმოყვარეობა და შეეცადა რომანტიკული შარავანდით შემოსილი ბელადი მითოსში გადაეყვანა.

თბილისი - 1954 წლის 12 მარტი.